ახალი განათლება

13-19.06.2019

№23-24 (857-858) გაგრძელება 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურა კრედიტქულების მოსაპოვებლად

რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა სქემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დამატებითი აქტივობაა. გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებელთა დოკუმენტაციის ატვირთვამ 24 ივნისს ჩათვლით გაგრძელდა, რეაქციამ გაითვალისწინა მასწავლებელთა მოთხოვნა და, კრედიტქულების დაგროვების სელშეწყობის მიზნით, სპეციალური ნომერი დაუთმო პედაგოგთა სტატიებსა და მეთოდური ლიტერატურის გამოქვეყნებას.

სტატია

სასწავლო-მეთოდური სტატია შესაძლებელია გამოქვეყნებული იყოს ჰოგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

✓ ბეჭდური სახით გამოქვეყნებული სტატიის შემთხვევაში – სტატიის დასჯანერებული გვერდები, ჰომლებიც იძლევა ინფორმაციას გამომცემლობის შესახებ, აღასტურებს მის ავტორობას და აჩვენებს გამოყენებული ლიტერატურას.

✓ ელექტრონული სახით გამოქვეყნებული სტატიის შემთხვევაში – ელექტრონული ჟურნალის ან გამომცემელი ორგანიზაციის ვებგვერდის მისამართი

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

სტატიის შეფასების სქემა: შეესაბამება – 1 ქულა, არ შეესაბამება – 0 ქულა.

სტატიის შეფასების მაქსიმალური ქულაა 5. იმის მიხედვით, სტატია ბეჭდური სახითაა გამოცემული თუ ელექტრონულით, ის უნდა აკმაყოფილებდეს 1ა ან 1ბ კრიტერიუმს (1ა სტატია გამოქვეყნებულია სასწავლო-სამეცნიერო ჟურნალის მქონე რეგიონული, ეროვნული ან საერთაშორისო გამომცემლობის სამეცნიერო რეცენზირებულ გამოცემაში 1ბ ელექტრონული სტატია გამოქვეყნებულია სასწავლო-სამეცნიერო ჟურნალის მქონე რეგიონული, ეროვნული ან საერთაშორისო დანესებულების, ან სახელმწიფო/საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციის, ან პროფესიული გაერთიანების ოფიციალურ ვებ-გვერდზე).

მასწავლებელს მიენიჭება 1 კრედიტქულა, თუკი ის დააკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს და მოიპოვებს მაქსიმალურ 5 ქულას.

მეთოდური ლიტერატურა

დამხმარე მეთოდური ლიტერატურა შესაძლებელია გამოქვეყნებული იყოს ჰოგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

✓ ბეჭდური სახით გამოქვეყნებული მეთოდური ლიტერატურის შემთხვევაში – გამოცემის თავფურცლისა და შიდა გვერდის დასჯანერებული ასლები, სადაც მითითებულია გამოცემის სათაური, გამომცემლობა, გამოცემის წელი, ავტორი/ავტორები, სარედაქციო ჯგუფი, **ISBN**; რეცენზიები.

✓ ელექტრონული სახით გამოქვეყნებული მეთოდური ლიტერატურის შემთხვევაში – ელექტრონული გამოცემის და/ან ორგანიზაციის ვებგვერდის მისამართი.

მეთოდური ლიტერატურის შეფასების მაქსიმალური ქულაა 5. მასწავლებელს მიენიჭება 2 კრედიტქულა, თუკი ის დააკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს.

მასწავლებლის აქტივობები არ შეფასდება და მას კრედიტქულა არ მიენიჭება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მასწავლებელი წარმოადგენს აქტივობას, ჰომელიც შეფასებულია სხვა აქტივობის, ან 2011-2014 წლების „მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის" ფარგლებში;

ბ) თუ მასწავლებელი არ იცავს საავტორო უფლებებს (პლაგიატია);

გ) თუ მასწავლებელი სრულად არ წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას;

დ) თუ მასწავლებლის შეფასების ჯგუფს აქვს საფუძვლიანი და დასაბუთებული ეჭვი, ჰომ ჰეალეჰად არ განხორციელებულა მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი აქტივობა;

ე) თუ მასწავლებელი წარმოადგენს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილების მიხედვით „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში" შეტანილი ცვლილების დოკუმენტით გათვალისწინებულ აქტივობებს, ჰომლებიც განახორციელა 2016-2017 სასწავლო წლამდე.

მისურვებთ წარმატებებს!

ფურცელზე გაყინული სათხოვარი ვუძღვნი პედაგოგებს!

უკიდეგანო სიმწვანეში სოლივით შეჭრილ ხეობას არაგვის ხმაურიანი ზვირთები აფხიზლებს. მდინარისაგან დაღარულ ჭალებს საცალფეხო ბილიკები უწყვეტ ზოლებად მიჰყვება. დახავსებული კლდის ნაპირები სიძველის ბურუსში ეხვევა და ცადაზიდულ მთებთან ერთად ხეობას დაურღვეველი სიმტკიცის სილუეტს უქმნის. აქა-იქ სოკოებივით გაფანტული სახლები, ნარინჯისფერი თივის ზვინები, მთების სიმწვანეში ამოგლეჯილი სიშავე, კლდეებს ამოფარებული რძისფერი ღრუბელი ერთბაშად ირევა კაცის თვალსაწიერში.

გარიჟრაჟისას, როცა ცეცხლისფერი ბურთი ჯერ კიდევ ნახევრადაა ამოგორებული მთების სიღრმიდან, თითოეული ოდიდან უკვე სიცოცხლის კვამლი ამოდის. ხვდები, რომ იქ დიდი ფაცაფუცია ბუნებასთან ჭიდილში დაღლილი ადამიანებისა, რომლებიც ახალი დღის არსებობისათვის იბრძვიან. თაობებიდან თაობებში იბრძმიდება რკინის ნებისყოფა, გაკაჟებული სხეული, გულუბრყვილო ხასიათი და არაგვის წყალივით გამჭვირვალე კაცური ბუნება. მთის კალთებზე შეფენილ ცხვარ-ძროხას პირტიტველა ბიჭები მწყემსავენ, მიუვალ ჭიუხებს მუხლმაგარ რაინდებად რომ უქცევია. არ აძლევენ სიცოცხლის არც ერთ წუთს იმის უფლებას, უკვალოდ დაიკარგოს წარსულის საცერში.

ხეობის უბეში საგულდაგულოდ მოკალათებული სოფელი არაგვის ჭალებიდან ზურგით აზიდული სიპი ქვით ნაშენი სახლებით უტყვი მემატიანეა უცხო კაცისათვის, ადვილად მიხვდეს, რა შრომის ფასად დამკვიდრებულან, საკუთარი ძალისხმევისა და ბუნებასთან თანხმიერობის წყალობით.

ბუნების საზაფხულო ზეიმს ეშურება დიდი თუ პატარა, ციცაბო ფერდობებზე პირუტყვის საზამთრო ბალახი ითიბება, მთის კალთებზე აყვავებულ დეკას მოხუცი დედაკაცები დაკალთავებულ სამოსში აგროვებენ, ლოყებღაჟღაჟა ბიჭები ჟოლოს ეკალ-ბარდებს შესევიან. ჭარმაგი თუ ახალგაზრდა თაობა ხვალინდელ დღეზე ფიქრობს.

კაშკაშა, ცეცხლოვანი ფერები თანდათან გაიცრიცა. მთების წიწვოვანი საფარველი შემოდგომის ცივ ნისლში გაეხვა, უსიერი ტყე სიცივემ გააშიშვლა, ხმაურიანი არაგვი კიდევ უფრო გაცივდა, მისი ზვირთებისაგან დაღარული საცალფეხო ბილიკები კიდევ უფრო დაიღარა და ათეული კილომეტრის მოშორებით მდებარე ერთსართულიან სკოლასთან მისვლა სოფლის გოგო-ბიჭებს კიდევ უფრო დიდ სირთულედ ექცათ.

შემოდგომის სუსხმა კუდი მაინცდამაინც სასწავლო წლის დაწყების დღეს მოიქნია. მამლის პირველ ყივილზე სოფლის გოგო-ბიჭები უკვე ფეხზე იყვნენ. თითოეულმა კარგად იცოდა, რამდენად დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი. სიცოცხლის კვამლი ყველაზე ადრე ხეობის მაღალ წვერზე მდგომი სახლიდან ამოვიდა. სოფლის ღვაწლმოსილი მასწავლებელი ახალი სასწავლო წლის პირველი დღისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა. ჯერ კიდევ ბნელში გახვეულ ოთახში თავისი ხელით ჩამოქნილი სანთელი აანთო, სიძველისაგან გაყვითლებული სახელმძღვანელოები თავისივე შეკერილ ჩანთაში მოათავსა და მამლის მეორე დაყივლებამდე შეგირდებთან ერთად ძნელადსავალ ბილიკს გაუყვა. გულანთებული მასწავლებელი ამაყად მიუძღოდა არაგვისაგან დაღარულ გზას და შეძლებისდაგვარად უკვალავდა მომავალ თაობას. ახლა განსაკუთრებით ღელავდა. გზა თითქოს ნელ-ნელა მოკლდებოდა. მისი შინაგანი განსჯა ერთი ფიქრიდან მეორეზე გადადიოდა. თვალი გადაავლო ორმოცდაათწლიან აღმზრდელობით მოღვაწეობას, გაჩხრიკა თითოეული წელი, შეაფასა და აღმოაჩინა, რომ მის მეხსიერებაში ღრმად დალექილიყო თითოეული მოსწავლის არა მარტო სახელი და გვარი, არამედ ახსოვდა მათი ბუნება, ქცევა და საინტერესო ეპიზოდები. იხსენებდა, რამდენჯერ გაუცილებია მგლების ყმუილს დათოვლილ ბილიკზე მიმავალი. ცოდნის გაზიარებისა და ღირსეული მომავალი თაობის სურვილი როგორ მიაქროლებდა რკინის ხელჯოხიან მასწავლებელს გაყინულ ბილიკზე. ახლაც იმავე გზაზე მიდის, რომელიც არც გაყინულია და არც მგლების ყმუილი მოისმის უსიერი ტყის სიღრმიდან, მაგრამ დღეს გრძნობს ხასიათში ბზარს, მუხლებში სიძაბუნეს, შიშს, რომელიც სამუდამოდ ჩაუსახლდა, თუმცა არ იმჩნევს, ამაყად მიუძღვება ახალგაზრდებს.

საათის გაცრეცილ ციფერბლატზე ისარი თანდათან ცხრა საათს მიუახლოვდა. მასწავლებელი შეგირდებთან ერთად უკვე სკოლის ეზოში იყო. ერთსართულიანი შენობის ხის ჭიშკარი მძიმედ გააღო და კედელზე ზარი დარეკა. შეგირდებს ახალი სასწავლო წლის დაწყება ანიშნა. ჭიისგან შეჭმული იატაკი აჭრიალდა, ფურცელ-ფურცელ აკინძული, თაობებსგამოვლილი სახელმძღვანელოებით მერხები აჭრელდა და ხეობაში ჩაკარგულ სკოლაში ზარი კვლავ აწკრიალდა.

ოლგა მასწავლებელმა პირველი გაკვეთილი ზოგადი მიმოხილვით დაიწყო. ქვეყნის ისტორიის არაერთი ფურცელი გადაუშალა თავისუფლებისმოყვარე, არაგვის წყალივით სპეტაკი სულის ყმაწვილებს, რომელთა გულის სიღრმეში ადვილად იმკვიდრებდა ადგილს ღირსეული მასწავლებლისგან მიღებული ემოციური განცდები თუ პატრიოტული სულისკვეთება.

მთიელი ქალისათვის დამახასიათებელ, ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილი ოლგა მასწავლებელი დაფასთან დგას. მისი სიბრძნით გაჯერებული წინადადებები ელვის უსწრაფესად ილექება ცნობისმოყვარე მოსწავლეთა მეხსიერებაში. სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული, მთის მკაცრ პირობებში გამობრძმედილი მასწავლებლის ომახიანი ხმა იბზარება, გამართული წინადადებები დანაწევრებას იწყებს. ჩვეული შემართებით დაწყებულ გაკვეთილს ხალისი ეკარგება. დაფასთან საწერად გამზადებული ხელი კანკალს იწყებს, მაგრამ ოლგა მასწავლებელი ფარ-ხმალს მაინც არ ჰყრის. მას ჰგონია, რომ ეს ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული თანმდევი ემოციის შედეგია. წამიერად გაუელვა თვალწინ განვლილმა დრომ, გაიხსენა ყოველი წელი, მაგრამ მსგავსი შემთხვევა ვერ აღმოაჩინა. წარსულმა მხნეობა შემატა. ცდილობს, ძალა მოიკრიბოს, საუბარს ჩვეული დამაჯერებლობა შესძინოს და კიდევ ერთ თაობას დაუმტკიცოს თავისი მაღალი პროფესიონალიზმი, წლების მანძილზე რომ იხვეწებოდა და გამოცდილება, სხვებთან თანაზიარობაში უზღვავი სიკეთით რომ ივსებოდა. უდიდეს პასუხიმგებლობასთან შეჭიდებულმა თავს უფლება არ მისცა, გაკვეთილი ჩაეგდო, მით უმეტეს, პირველი გაკვეთილი, რომლის მოლოდინში მთელი ღამე გაათია. ძალა მოიკრიბა, მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები სრული თანმიმდევრობით დაალაგა დაფის რუხ ზედაპირზე და ხელების კანკალი მთიელი ქალის შინაგანმა სიძლიერემ დაამარცხა. დანაწევრებული წინადადებები ისევ გაიმართა და გაკვეთილს ჩვეული სიხალისე დაუბრუნდა. ეს ყველაფერი მოსწავლეთა შეუმჩნევლად მოხდა. ამ ცვლილებას მხოლოდ ოლგა მასწავლებელი გრძნობს, რომლის შინაგან სამყაროში ორთაბრძოლაა შესაძლებლობასა და სურვილს შორის, თუმცა მასწავლებლად ყოფნის სურვილი იმდენად დიდია, რომ სიძაბუნეშეპარულ რეალობასაც ამარცხებს. ამასობაში პირველი გაკვეთილი დამთავრდა. ოლგა მასწავლებელი ხელნაკეთ მუხის მაგიდას მიუჯდა და ჟურნალის საგულდაგულოდ შევსება დაიწყო. ორი გვარიღა შემორჩენოდა სოფელს, ამიტომაც სიაში, ჩოხელისა და წიკლაურის გარდა, გვარს ვერ შეხვდებოდით. ოლგა მასწავლებელს თვალებში ცრემლი ჩაუგუბდა, გული სწყდებოდა, რომ მისი მოღვაწეობის დასრულებასთან ერთად ხეობაც თანდათან სიცოცხლეს დაკარგავდა. შვიდი მოსწავლის ღირსეულ მასწავლებელს იმედი ეწურებოდა, რომ მის გზას ვინმე გააგრძელებდა. დარწმუნებული იყო, რომ მთის მკაცრ ბუნებას, ულამაზეს, მაგრამ პირქუშ გარემოს, ვეღარ გაუძლებდა მომავალი თაობების სურვილთა დიადობანი. მათ უბრალოებას, წმინდათაწმინდა ბუნებას თანამედროვეობის შორეული ჩრდილები თანდათან მიუახლოვდებოდნენ და ერთ მშვენიერ დღეს ეს ორი გვარი ბარის ბობოქარ, მაგრამ დაუწმინდავ ცხოვრებას ეზიარებოდა. ოლგა მასწავლებელს მომავლის შიში მოსვენებას არ აძლევდა, ამიტომაც ცდილობდა თავისი სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული სიტყვებით, მშობლური მზრუნველობით დროებით მაინც შეეჩერებინა ის საფრთხე, რომელიც დღეს თუ ხვალ, მის ხეობას კარზე მიადგებოდა. ამასობაში ზარი კვლავ აწკრიალდა. მეორე გაკვეთილს მესამე მოჰყვა, მესამეს – მეოთხე და ემოციური დღეც დასრულდა. ოლგა მასწავლებელმა სპილენძის ზარი ჩამოხსნა, ჩანთაში ჩაიდო და შეგირდებთან ერთად არაგვისაგან შევიწროებულ საცალფეხო ბილიკს გაუყვა. მთაში იმაზე ადრე მწუხრდებოდა, ვიდრე ბარში. საცალფეხო ბილიკზე მიმავალნი მზეს შესცქეროდნენ, რომელიც მთის კალთებიდან სხივებს თანდათან იკეცდა და ფოლადისფერი მწუხრი ბუნებისაგან დაჩრდილულ ხეობას ბნელში ახვევდა. მასწავლებელს უფრო გრძელი ბილიკი ჰქონდა გასავლელი, ვიდრე მის რომელიმე მოსწავლეს. ყველა დააბინავა და მძიმე ნაბიჯით აუყვა სახლისკენ მიმავალ აღმართს. ემოციური დღის შემდეგ გული საოცრად დამძიმებოდა. ჭიშკარი შეაღო და აჩქარებული ნაბიჯით სახლისაკენ გაემართა. წაბორძიკდა და ღია აივნის კიბესთან ჩაიმუხლა. გაჰყურებდა ჩაჟამებულ და პირქუშ მთებსა და კლდეებს, მზისგან გაყვითლებულ და გამხმარ თივის ზვინებს, მიწის სიღრმიდან გამონაჟურ წყაროებს და ჯერ კიდევ მწვანედ აბიბინებულ დეკასა და დუმფარას. ამ ულამაზესი პეიზაჟის ფონზე ფიქრებმა გაიტაცა. განვლილი ცხოვრების ყოველმა წუთმა თვალწინ გაირბინა, ბორგავდა, მაინცდამაინც დღეს რატომ აეკვიატა წარსულის აჩრდილებთან შეხების სურვილი, განვლილის შეფასების აუცილებლობა. ამასობაში ბინდმა ბოლომდე შეზღუდა მისი ულამაზესი თვალსაწიერი და ოთახის ზღურბლს მძიმედ გადააბიჯა. კვლავ სანთელი აანთო და საწერი მაგიდის თითოეული უჯრა ამოალაგა. თანმიმდევრულად ჰქონდა დალაგებული ყოველი წლის მონაცემები, თითოეული მოსწავლის შედეგები და სამახსოვრო ფოტოები. კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი თითოეულ ჩანაწერს. თვალებიდან ცრემლმა იქუხა. ენანებოდა გარდასული დრო და სიყვარულით აღსავსე მოგონებები. ნესტისაგან გაყვითლებული ფურცლები გადმოიღო და ხვალინდელი გაკვეთილების გეგმის წერას შეუდგა. საქმით გართული მამლის ყივილმა მიახვედრა, რომ დაძინების დრო აღარ იყო და ათიოდე წუთში შეგირდებთან ერთად არაგვისაგან დაღარულ ბილიკს კვლავ უნდა გაჰყოლოდა. ამასობაში შემოდგომა მიილია. დადგა სასტიკი ზამთარი, რომელმაც უხვი ნალექი არ დაიშურა და ისედაც მიტოვებული ხეობა გარესამყაროს მთლიანად მოსწყვიტა. არაგვისაგან დაღარული ბილიკის სიუხეშე ფაფუკმა თოვლმა დაფარა. სითეთრემ მთების ჟანგისფერი მწუხრი გაარღვია და თითოეულ ოდაში ყმაწვილები ააჟრიამულა და გაახალისა. ოლგა მასწავლებელი შეგირდებთან ერთად მიუყვება დათოვლილ ბილიკს. სკოლასთან მისასვლელ გზაზე ზვავი ჩამოწოლილა. ბუნებასთან ჭიდილში საათი ცხრას მიუახლოვდა. ოლგა მასწავლებელი შეგირდებს ამხნევებს და სთხოვს საცალფეხო ბილიკის გაკვალულ ადგილზე გაჩერდნენ. თვითონ კი, ჩამოწოლილ ზვავთან პირისპირ დარჩენილი, გამოსავალს ეძებს. ხვდება, რომ მისი მებრძოლი ბუნება უძლური აღმოჩნდა დათოვლილი ხეობისა და მთების მკაცრი ლანდშაფტის წინაშე. საათის გაცრეცილ ციფერბლატზე უკვე 9 საათია. ოლგა მასწავლებლის თვალებიდან ცრემლმა კვლავ იქუხა. აქ უკვე ვეღარ დამალა შინაგანი წუხილი. მიხვდა, რომ ეს ხელმოცარვა ნიშანი იყო იმისა, რომ გაკვეთილი ღია ცის ქვეშ, ჩაკეტილ ხეობაში უნდა ჩაეტარებინა. სპილენძის ზარი თოვლისაგან დასველებული ჩანთიდან ამოიღო და უკანასკნელად ჩამოჰკრა. მისი ხელი ახლა ისე აკანკალდა, როგორც არასდროს. ოლგა მასწავლებელმა „ავთანდილის ანდერძზე“ ისაუბრა. მოყვასისადმი თავგანწირვა და ერთგულება აღმოჩნდა მისთვის ყველაზე ფასეული. ხაზი გაუსვა ანდერძის მნიშვნელობასა და შესრულების აუცილებლობას. მოსწავლეები ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ გადაუხვია ოლგა მასწავლებელმა დღევანდელი გაკვეთილის თემას. უკანასკნელი გაკვეთილი დასრულდა. გადაუღებლივ თოვდა. წვრილი ფანტელი გაკვალულ ბილიკს ეფინებოდა და ბურუსში გახვეულ ხეობაში სიარული თანდათან რთულდებოდა. ბუნება ჟინს იკლავდა, მთებზე შემორჩენილი უკანასკნელი სიშავისათვის სამაგიერო გადაეხადა და მთლიანად თეთრ ნაბადში გაეხვია. ოლგა მასწავლებელი ხელმეორედ კვალავდა დაბარდნილ საცალფეხო ბილიკს და შეგირდებთან ერთად მძიმე ნაბიჯით მიუყვებოდა მთებზე შეფენილ აღმართს. მთის კალთებზე გაფენილი ოდები თანდათან ახლოვდებოდა და მძიმე ბილიკიც ნელ-ნელა მოკლდებოდა. თითოეული სახლიდან ამომავალი სიცოცხლის კვამლი უფრო გაძლიერებულიყო. ყველა მოსწავლე დააბინავა და სახლისაკენ მიმავალ აღმართს აუყვა. ეზოს ჭიშკართან მისულს მუხლმა უმტყუნა. სახლის კარამდე ბარბაცით მივიდა. ახლა კი დარწმუნდა, რომ უკანასკნელ გაკვეთილთან ერთად, ეს დღე მისი ცხოვრების უკანასკნელი საჩუქარი იყო. თითქოს, რაღაცის მოსწრებას ცდილობსო, სასწრაფოდ ამოიღო ფურცელი და წერას შეუდგა. გაყინული სახლი ზამთრის სუსხს კიდევ უფრო გაეყინა. შეციებული მასაწვლებელი კანკალმა აიტანა. საწერ მაგიდას მიუჯდა და სანთლის მბჟუტავ შუქზე ხელის კანკალით რაღაცის წერას შეუდგა. გათენდა. სუნთქვაშეკრულ ხეობაში სიცოცხლის კვამლი მკრთალად მიირწეოდა. მამლის პირველ ყივილზე მასწავლებელი არ გამოჩნდა. შეგირდები მეორე დაყივლებას დაელოდნენ. მასწავლებელი აგვიანებდა. მოსწავლეებმა საოცარი სისწრაფით აირბინეს ოლგა მასწავლებლის სახლისაკენ მიმავალი აღმართი, დათოვლილი გზა მასწავლებლის ნაცვლად შეგირდებმა გაკვალეს. ყმაწვილები ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო. დერეფნის კარი შეაღეს თუ არა, მუხის მაგიდასთან მჯდომი, თოვლის ქანდაკებად ქცეული ოლგა მასწავლებელი დაინახეს. მისი უსიცოცხლო, სიცივისაგან გაყინული ხელები მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილ ფურცლებზე ესვენა. მოსწავლეთა თვალებში ნაღველმა სამუდამოდ დაივანა. მათ გლოვის ზარს მთებმა ბანი მისცეს. მთელი ხეობა მთის წვერზე მდებარე ოლგა მასწავლებლის სახლში შეიკრიბა. საწერ მაგიდაზე დაყრილ უამრავ გაყვითლებულ ფურცელს შორის ხელნაწერი იპოვეს, რო-

მელზედაც დიდი ასოებით ეწერა: „ნუ მიატოვებთ ხეობას“. შეგირდები ახლა მიხვდნენ, უკანასკნელ გაკვეთილზე მასწავლებელმა მანცდამაინც „ავთანდილის ანდერძზე“ რატომ ისაუბრა. მიხვდნენ, რომ ეს ღირსეული მასწავლებლის უკანასკნელი სათხოვარი კი არა, მასწავლებლის მიერ შეგირდებისათვის განდობილი ანდერძი იყო, რომელიც უთუოდ უნდა შესრულებულიყო.

ავტორის შენიშვნა

ეს მხატვრული ნაწარმოები განსაკუთრებული დანიშნულებისთვის შევქმენი. დღეს, როდესაც აქტუალურად განვიხილავთ მასწავლებლის პროფესიას, თანამედროვე ჭრილში ვაფასებთ მასწავლებლის უნარსა და შესაძლებლობებს, ვფიქრობ, მსგავს თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები ხელს შეუწყობს ამ პროფესიის პოპულარიზაციას მოსწავლეებში. ასევე გაიაზრებენ იმ როლს, რომელსაც მასაწვლებელი ასრულებს მათ პიროვნებებად ფორმირების პროცესში. ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია მსგავსი თემატიკის ნანარმოებებზე მსჯელობა, რათა მოსწავლეებს გამოვუმუშავოთ ფიქრის, აზროვნებისა და ემპათიის უნარები. ხშირად გვესმის ჩვენი კოლეგებისგან სიტყვები: „მასწავლებლის პროფესია დაუფასებელია“. ვფიქრობ, ჩვენი დაფასება-დაუფასებლობა ჩვენივე არჩევანია, თუ როგორ წარმოვაჩენთ საკუთარ თავს, შრომასა და ნაღვაწს. როგორ დავაფიქრებთ მოსწავლეებს მასწავლებლის დაუღალავ შრომაზე, იმ განცდებზე, რომელთაც ყოველდღიურობაში გრძნობს მათ მიმართ, რა ძალისხმევის ფასად მიიღწევა თითოეული მათგანის წარმატება, ასევე, როგორ განიცდის მათ წარუმატებლობას. ზემოთ წარმოდგენილი ნაწარმოები შევიტანე მე-11 კლასებში. მხატვრული ინტონაციით წავუკითხე, ვაკვირდებოდი მათ გამომეტყველებას და ერთი სული მქონდა, როდის წავიკითხავდი უკანასკნელ აბზაცს და როდის მოვისმენდი მათ შეფასებებს. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ ემოციამ, რომელიც მოსწავლეებმა გამოხატეს მოსმენილის მიმართ, გამოვლინდა ემპათიის უნარი, რომელსაც ნამდვილად სჭირდება ასეთი ნაწარმოებების აქტიური გამოყენება და დანერგვა სასწავლო პროცესში. ვკითხულობდი და ვხედავდი მათ სევდიან და ცრემლიან თვალებს. რაც ყველაზე მთავარია, მათ აღნიშნეს, რომ მხოლოდ ახლა დაფიქრდნენ მასწავლებლის პროფესიასა და იმ ურთულეს ვალდებულებებზე, რომელთაც მასწავლებელი ასრულებს მისთვის სასურველ თუ არასახარბიელო გარემოში. არაერთმა დასმულმა კითხვამ, დამაფიქრებელი პასუხებით დამარწმუნა, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სწორად ინფორმირება, ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა და დაფიქრება. მოსწავლისთვის მასწავლებელი, ხშირ შემთხვევაში, მაგალითია, რომელსაც სურს, რომ მიბაძოს. ამიტომაც, მუდმივად საინტერესო უნდა იყოს მასწავლებელი, თავისი მრავალფეროვანი უნარებიდან გამომდინარე. ამ აქტივობამ ნამდვილად შეცვალა მოსწავლეთა დამოკიდებულება მასწავლებლის მიმართ და აღნიშნეს, რომ არც დაფიქრებულან იმ თავგანწირვასა და შრომაზე, სიყვარულსა და მზრუნველობაზე, რასაც აქამდე გრძნობდნენ, მაგრამ არ იაზრებდნენ. მეტიც, წერის სურვილი გააღვივა. შექმნეს ჩანახატები და აღმოჩნდა, რომ ჩემ მიერ შექმნილი ნაწარმოები მათთვის გზამკვლევიც კი აღმოჩნდა. ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ეს ინოვაცია აღმოჩნდა, რომელმაც გასაოცარი შედეგი გამოიღო, ამიტომაც, ვფიქრობ, ამიერიდან აქტიურად გამოვიყენო, ჩემ მიერ შექმნილი ნაწარმოებები, სიუჟეტები მოვარგო მტკივნეულ საკითხებს, გავააზრებინო პრობლემები, ვამსჯელო გადაჭრის გზებზე. საკლასო ოთახი ის ასპარეზია, რომელსაც აბსოლუტურად ვფლობთ, ვაკვირდებით იმ საჭიროებებს, რომელთაც გარემო, ჩვენი აუდიტორია გვკარნახობს და ჩვენც, შესაბამისად, უნდა ვიმოქმედოთ ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით. პრობლემაზე მორგებული თემატიკა ერთადერთ გზად მიმაჩნია იმავე პრობლემის გადასაჭრელად. ამ მეთოდის გამოყენებამ დამარწმუნა ამ ჭეშმარიტებაში. აბსოლუტურად შეიცვალა მათი დამოკიდებულება მასწავლებლის პროფესიის მიმართ, რაც მთავარია, გაუჩნდათ პასუხისმგებლობისა და მზრუნველობის გრძნობები, გაიაზრეს სასწავლო გარემოს დაფასების აუცილებლობა.

ნინო დოლენჯაშვილი
გოგიტა კიკნაძის სახელობის №182 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ახალი სახელმძღვანელოს ხიბლი

ვფიქრობ, გამორჩეულად ნიჭიერი თაობა გვეზრდება: ღაღი, გონიერი, ჭკვიანი, განათლებული. უყვართ კითხვა, მსჯელობა. მომავალში უდიდეს როლს ითამაშებს ახალი საგანი, რომლის შესწავლაც 2018-2019 სასწავლო წლიდან დაიწყო.

დიახ, პატარებმა საინტერესო საჩუქარი მიიღეს „მე და საზოგადოების“ სახით. ჩემს მოსწავლეებს ძალიან უყვართ ეს საგანი, დიდი სიხარულით ელიან პატარები სიკეთის გაკვეთილებს. სწავლობენ უკონფლიქტო ცხოვრებას, უფრთხილდებიან როგორც თავიანთ, ასევე სხვათა უსაფრთხოებას, სწავლობენ ტოლერანტობას, იჩენენ ერთმანეთის მიმართ სულგრძელობას.

აღნიშნული საგნის შესწავლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ურთიერთთანამშრომლობას, კეთილგანწყობას, ტოლერანტობას. მოკლედ, ჩემი ღრმა რწმენით, ახალი საგნის გაცნობის შემდეგ ბავშვი ბევრად უფრო მოსიყვარულე, თბილი, კეთილი, ემპათიური ხდება, ვიდრე მანამდე იყო.

ძალიან საინტერესო მასალა მიეწოდებათ მე-3 კლასელებს – „გოგონები და ბიჭები“. ისინი ადრიდანვე უკეთ ეცნობიან ერთმანეთს, ადრეულ ასაკშივე ხვდებიან, რომ თანამშრომლობა მათ შორის ბუნებრივია. ვაჟებს თავაზიანობა ამშვენებს, გოგონებს სიდარბაისლე და კდემამოსილება. ვცდილობ, თითოეული გაკვეთილი გავამდიდრო სხვადასხვა აქტივობებით, გავხადო სახალისო. მოსწავლეები განვაწყო ფიქრისა და განსჯისათვის. მათ ძალიან უყვართ წერილობით აზრის გადმოცემა, ერთმანეთის ნაფიქრალის კითხვა და განხილვა. ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ეჩვევიან ანალიტიკურ, ლოგიკურ აზროვნებას, უვითარდებათ როგორც მართლწერის, ასევე ზეპირმეტყველების უნარი, რის გარეშეც ნარმოუდგენელია XXI საუკუნის ახალგაზრდა.

როდესაც ჩემს პატარებს სხვადასხვა პროფესიაზე ვესაუბრე, მოვისმინე მათი აზრები, ვთხოვე დაეწერათ, რომელი პროფესია იზიდავთ და რატომ. მოსწავლეები განსაკუთრებით აღაფრთოვანა პატარა ლუკას ნააზრევმა, რომელსაც სოციალური ქსელის საშუალებით მთელი საქართველო გაეცნო.

უცვლელად გთავაზობთ საჩხერის 1-ლი საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლის, **ლუკა ტოროშელიძის** ნაშრომს: „ჩემი პროფესია“.



ჩემი პროფესია

მე მინდა გამოვიდე პროფესიით მენეჯერი. მინდა ვიდგე პერევის საზღვარზე, გავიწვთნა ბევრი ჯარისკაცი. მინდა ჩემი გაწვრთნილი ჯარისკაცები ჩემსავით ვმეხეები და თავდადებულები იყვნენ. მე პერევის საზღვარზე იმიტომ მინდა დადგომა, რომ ის ჩემი სოფელია. და ვხედავ როგორ დადიან საზღვარზე ეს ხუსები. არ მიშვებენ ჩემს მამიდებთან. ეროხედ მინდოდა საბუთის ვაკეთება, მაგრამ ბებო მითხრა მაგისთვის საჭიროა თქვა: მე ქართველი ვარ, მე ვარ ხუსი. შემდეგ თავი დავანებე. მე ვხედავ ქართველ ჯარისკაცებს, როგორ იცავენ საზღვარს. მე მინდა მათზე უკეთესი ვიყო, საქართველოს უფრო ვავადიდებ.

მენეჯერი ბრძოლაში ყურადღებიანად მოკვდება, მენეჯერი თავის სამშობლოს ერთგულ ერთგულ არ ეღალატება. აი, ასეთი ვიქნები მე. დიახ! მე ქართველი ვარ ვამაყობ ამით.

დამიდოდ საქართველო!
ლუკა ტოროშელიძე
მენეჯერი

შექსპირის სალამო

შექსპირის დაბადების დღეს მიეძღვნა საღამო, რომელიც ოზურგეთის მე-4 საჯარო სკოლაში, მე-11 კლასის ბაზაზე, ჩატარდა.

შეხვედრის მიზანი იყო შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძვლიანად გაცნობა. მოსწავლეებმა წარმოადგინეს როგორც ბიოგრაფიული, ასევე მისი შემოქმედების ამსახველი მასალები. პლაკატების სახით გააკეთეს ამონარიდები სონეტებიდან, „ოტელოდან“, „რომეო და ჯულიეტადან“, ასევე, თვალსაჩინოების სახით გამოფინეს შექსპირის ციტატები, დაამზადეს გლობუს თეატრის მაკეტი, მოიძიეს მუსიკა შექსპირის სონეტების ფონისთვის, შეასრულეს სიმღერები სასიყვარულო თემაზე, წარმოადგინეს ინსცენირება „რომეო და ჯულიეტადან“, გააკეთეს პრეზენტაციები თემაზე – რამდენიმე მომხიბვლელი და საინტერესო ფაქტი შექსპირის პიესებისა და სონეტების შესახებ.

გარდა იმისა, რომ მოსწავლეებმა შეიძინეს და გაიღრმავეს ფაქტობრივი ცოდნა შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ასევე დაისწავლეს სონეტები, შეიძინეს პრეზენტაციების მომზადების უნარ-ჩვევები; ჩასწვდნენ თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის მნიშვნელობასა და სარგებელს; გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი, დახვეწეს საწარმოთქმო ჩვევები, კითხვის ტექნიკა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასალის მოაძიებლად, მიზნობრივად გამოიყენეს სხვადასხვა ინტერნეტსაიტები.

ღონისძიება, ასევე, ემსახურებოდა მოსწავლეთა შორის მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებას. საღამოს საფუძვლად ედო წიგნიერების, მედიანიგნიერების, ციფრული წიგნიერებისა და სემიოტიკური კომპეტენციები.

საღამო იყო როგორც საგანმანათლებლო, ასევე აღმზრდელობითი დანიშნულების. დამსწრეთა აღფრთოვანებამ მოსწავლეებში გამოიწვია შრომის დაფასების, აღიარებისა და თვითშეფასების განცდა; მათ აუმაღლდათ მოტივაცია და მსგავსი ღონისძიების ორგანიზებისა და ჩატარების უდიდესი სურვილი გაუჩნდათ.

ელენე ბურჭულაძე
სსიპ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა
1. შექსპირის სონეტები – რევაზ თაბუკაშვილი;
2. „რომეო და ჯულიეტა“ – შექსპირი;
3. შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება – რევაზ თაბუკაშვილი.
4. პოპულარული ვიდეომასალა (youtube) – შექსპირის ტრაგედიები და შექსპირისეული ტრაგედია;
5. შექსპირის სონეტების დახასიათება – რევაზ თაბუკაშვილი;
6. შექსპირი და გლობუს თეატრი – სალექციო მიმოხილვა (youtube).

ინტერკულტურული განათლება – განსხვავებული აღმსარებლობის მოსწავლე კლასში

რამდენიმე წლის წინ, როცა პირველად შევაღე სკოლის კარი და გადავწყვიტე მასწავლებლის პროფესიით მემუშავა, სრულიად გააზრებული მქონდა მთელი რიგი პასუხისმგებლობები. თუმცა წინასწარ ვერასდროს გათვლი შესაძლო სირთულეებს. ბავშვებთან, საზოგადოების ამ ნაწილთან, ურთიერთობა სავსეა სიურპრიზებით, ახალ-ახალი გამოწვევებით და თავსატეხებით, რომელთან გამკლავებისთვის ან გადაწყვეტილებების ძიებისთვის ზოგჯერ დრო სრულიად არ გაქვს, და ასე „შიშველი ხელებით“ გიწევს ბრძოლა, ბრძოლა მათი სიყვარულისა და საკუთარი ღირსების შესანარჩუნებლად. რთულია, ყოველთვის სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ის აუდიტორია, რომელთანაც მასწავლებელს აქვს ურთიერთობა, ყველაზე მკაცრი და დაუნდობელია, არასდროს გამოეპარება შენი მიმიკა, ჟესტი, დამოკიდებულება ნებისმიერი მათგანის ან საკითხის მიმართ. რთულია, თუმცა აუცილებელია სწორი აქცენტების გაკეთება. ამბობენ, რომ მოსწავლეები რაღაცით მასწავლებელს ემსგავსებიანო, ვინ იცის...

ჩემს ერთ-ერთ პირველ გამოწვევას მუშაობის პირველივე კვირაში გადავაწყდი. აღმოჩნდა, რომ მოსწავლე, ჩემი სადამრიგებლო კლასიდან, განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევარი იყო. და აი, მაშინ დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რას ნიშნავს ინტერკულტურული განათლება და როგორ შემიძლია მე, ერთ სრულიად გამოუცდელ გოგოს, ამ ამბის უმტკივნეულოდ ინტერაქცია განსახვავებული რელიგიის ადამიანებს შორის.

პირველი, რასაც ინტუიცია მკარნახობდა, იყო ის, რომ ბავშვები შემემზადებინა „განსხვავებულის“ მისაღებად და მეც პატარებს დაფაზე ერთი ჯადოსნური სიტყვა დავუწერე. სიტყვის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ და ვერც მაშინვე დაიმახსოვრეს, მაგრამ დროთა განმავლობაში გაიგეს, რომ არსებობს ტოლერანტობა, ანუ განსხვავებულის მიღება, მოსმენა და პატივისცემა.

ამ მოსაზრებას ხშირად ხაზს ვუსვამდი სხვადასხვა აქტივობის დროს, ქართულის გაკვეთილები განსაკუთრებით მიწყობდა ხელს. თუმცა მთავარი სირთულეები და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები წინ მელოდა. ჩემი მოსწავლის რწმენა კრძალავდა ახალი წლის აღნიშვნას, არადა, პირველი სემესტრის დასასრულს, დაგეგმილი მქონდა კოსტუმირებული კარნავალი, თარიღი ემთხვეოდა საახალწლო დღესასწაულებს. წინასწარ პირადად ვესაუბრე მშობელს და გავუმიჯნე ერთმანეთისგან საახალწლო დღესასწაული და კარნავალი, რომლის მთავარი თემა უოლტ დისნეის შემოქმედება იყო. ამგვარად მივიღე თანხმობა. არც ერთი მხარის უფლებები არ შელახულა. ყველა თავს ისე გრძნოდა, როგორც საკუთარ სახლში.

მოგვიანებით გადავწყვიტე, პოეზიის დღესთან დაკავშირებით, ლიტერატურული საღამო გამემართა, თემაზე „საქართველო მსოფლიოს ნაწილი“. წინაღობა ასეთი იყო: მოსწავლის რწმენა უარყოფდა სამშობლოსადმი თავგანწირვის მოწოდებას. რადგან ქართული ლექსების უმეტესი ნაწილი ამ პათოსითაა გაჟღენთილი, უარი მივიღე მშობლისგან. ჩემთვის კი, როგორც პედაგოგისა და ადამიანისთვის, მიუღებელი იყო კლასის საერთო ღონისძიებიდან, მოსწავლის გამორჩენა.

უპირველეს ყოვლისა, გავეცანი თანამედროვე პოეტების პოეზიას, აქცენტირება იყო კოსმოპოლიტიზმზე და არა ბრმა პატრიოტიზმზე. შევკარი სცენარი და კვლავ შევხვდი მშობელს. საბედნიეროდ, ჩემი მოსწავლის მშობლები განათლებული და კულტურული ადამიანები არიან, არ უკრძალავენ შვილს გაიგოს და იცოდეს მეტი სხვადასხვა ღირებულების შესახებ. დრომ ისინი დაარწმუნა, რომ მე, განსხვავებული აღმსარებლობის მიუხედავად, არ ვცდილობდი მოსწავლის გადმობირებას. გაჩნდა ნდობა ჩვენს შორის, რამაც საშუალება მომცა, მისთვის მესწავლებინა იმაზე მეტი, ვიდრე რადიკალურ სიტუაციაში მოვახერხებდი.

არ შეგვიზღუდავს ექსკურსიის მარშრუტისას რომელიმე ტაძრის მონახულება, პირიქით, ჩვენ ერთად ვათვალიერებდით უძველეს წარწერებს ბოლნისის სიონის კედლებზე, როგორც ისტორიულ მემკვიდრეობას და ამაყები ვიყავით, რომ ჩვენი ქვეყანა ფლობდა ასეთ უნიკალურ სიმდიდრეს. დმანისის სიონის ტაძარში კი დიდხანს ვუყურებდით ტაძრის კედლებს, სხვადასხვა ეპოქაში განახლებული ქვათა ფენები რომ ცვლიდა ერთმანეთს, ასევე ბედნიერები ვიყავით, როცა შევძელით ჩვენი პატარა ისტორიული აღმოჩენა და, თითქოს, საუკუნეებმაც თვალწინ ჩაგვიარა. რა უნდა იყოს ამაზე უკეთესი?!

ასეთი ქცევით არა მხოლოდ მე ვიღებდი სიამოვნებას მასთან ურთიერთობით, არამედ გარშემომყოფებიც განეწყობოდნენ მის მიმართ პატივისცემითა და მიმღებლობით. ის არ კრავდა ხელს ქრისტიანულ სარწმუნოებას, ის ტოლერანტი იყო თავისი აზროვნებით და იმავეს გრძნობდა მეგობრების მხრიდანაც.

ინტერკულტურული განათლება პრობლემას არ წარმოადგენს, პირიქით, უამრავი კონფლიქტის მოგვარებას უწყობს ხელს. მთავარია, ჩვენ, უფროსმა ადამიანებმა, ჩვენს შვილებს თუ მოსწავლეებს ჩავუნერგოთ სიყვარული და არა სიძულვილი ნებისმიერი ადამიანის მიმართ. ნუ განაწყობთ მათ ზიზღით. ეს განწყობა ანგრევს და აზიანებს, რადგან ცხოვრება მშვენიერი მხოლოდ მაშინაა, როცა ბევრის სიყვარული შეგიძლია.

ეკატერინე ხუციბერიძე
თბილისის მე-10 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

როგორ ვმუშაობ მოსწავლის ქცევის ფორმირებაზე

მოსწავლის სკოლაში შემოსვლის პირველი წლის პირველი დღიდანვე მის წინაშე ჩნდება სირთულეები – ის უნდა შეეგუოს სკოლის რეჟიმს, გააცნობიეროს და შეასრულოს სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები. ხშირად ბავშვი ვერ აცნობიერებს, რატომ სჭირდება წესების დაცვა და მის ცხოვრებაში ჩნდება წინააღმდეგობები, რაც ქცევაში აისახება. ზოგჯერ ბავშვს არ გააჩნია უნარი, შეცვალოს საკუთარი მოქმედება.

ქცევა არის გარკვეული ქმედება ადამიანისა გარემოში. ის განისაზღვრება ადამიანის უნარით შეცვალოს საკუთარი მოქმედება გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებით.

თითოეულ ქცევას თავისი ფორმა და ფუნქცია აქვს: **ფორმა** – ბავშვი ყვირის, აგდებს იატაკზე/მერხზე ნივთებს, სიტყვებით, ჟესტებით, მიმიკით გამოხატავს საკუთარ სურვილებს; **ფუნქცია** – რატომ აკეთებს? რა მიზანს ემსახურება ესა თუ ის ქცევა?

ქცევას, როგორც წესი, რამდენიმე მიზანი შეიძლება ჰქონდეს – რაღაცის (საგნის, ქმედების) მოთხოვნა, ყურადღების მიქცევა, რაღაცისგან ან ვიღაცისგან თავის არიდება, დახმარების თხოვნა, თვითსტიმულაცია.

უპირველესად, უნდა გავარკვიოთ, რატომ იქცევიან მოსწავლეები ამგვარად და რა განაპირობებს ასეთი ქცევის ნაირგვარობას.

მოსწავლის ნებისმიერი ქცევა ერთ ზოგად მიზანს ემსახურება – იპოვოს თავისი ადგილი სკოლაში, მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ცხოვრებაში, იგრძნოს თავისი მნიშვნელობა და საჭიროება. ეს ნებისმიერი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი უ. გლასერი წერს: თუ ბავშვის პიროვნული მოთხოვნილებები სახლში არ რეალიზდება, მისი რეალიზება სკოლაში უნდა მოხდეს. წარმატებისკენ მიმავალი გზა გულისხმობს მათთვის იმის მიცემას, რაც აკლიათ თანატოლებსა და უფროსებთან რთული ურთიერთობისას. ზოგჯერ მათთვის უკანასკნელ იმედად სკოლა რჩება. სწორედ სკოლამ უნდა გაუხსნას რეალიზების გზა მათ მთავარ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებას (გააცნობიეროს საკუთარი თავი, როგორც სრულფასოვანმა პიროვნებამ).

დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში მოსწავლე შესაძლოა ხვდებოდეს, რომ არასწორად იქცევა, მაგრამ ვერ აცნობიერებდეს, რა განაპირობებს მის ამგვარ ქცევას: ყურადღების მიპყრობის, ძალაუფლების, შურისძიების თუ წარუმატებლობისგან გაქცევის სურვილი. ქცევის დარღვევის სწორად განსაზღვრა კი ეფექტიანი მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა, მასზეა დამოკიდებული ჩარევის ხერხების სწორად შერჩევა, არასასურველი ქცევის აღკვეთა და პროსოციალური ქცევების ფორმირება.

მეცნიერები ბავშვის სოციალური მზაობის ცნებაში შემდეგ უნარებს მოიაზრებენ:

1. თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილებას და უნარს, დაუქვემდებაროს საკუთარი ქცევა ჯგუფის წესებს;
2. მოსწავლის როლის შესრულების უნარს (გაიგოს უფროსის მოთხოვნა და შეასრულოს , რასაც მისგან მოითხოვენ);
3. სიტუაციის შესაბამისად ქცევის მართვის უნარს.

მონანილეთა ინტერესის სფეროების სიღრმისეულად შესასწავლად და ისეთი გადაწყვეტილების ასარჩევად, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღები იქნება, საჭიროა მასწავლებლის თავდადებული სისტემატური მუშაობა (მოლაპარაკებების წარმართვა, შემოქმედებითი მიდგომა და ახალი ალტერნატივების შესწავლა), რაც, შესაბამისად, დიდ დროს მოითხოვს.

ვაცნობიერებ, რომ კლასში მასწავლებლის უნარებზეა დამოკიდებული რამდენად ხდება ქცევის მართვა, ხშირად ვიყენებ დადებითი და უარყოფითი განმტკიცების მეთოდებს. მივუთითებ უპასუხისმგებლობაზე, მაგრამ არასოდეს ვეხები პიროვნულს, მივანიშნებ ქცევის გარკვეული ეპიზოდის უარყოფით მხარეზე და მოვითხოვ ამ ქმედების გაანალიზებას. ამავე დროს, ვმუშაობ როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მოტივაციის ამაღლებაზე.

მოსწავლეთა დისციპლინის საკითხების გაანალიზების მიზნით, სასწავლო წლის დასაწყისიდანვე (პირველ კლასში შემოსვლისთანავე), ვზრუნავ, მართვის გეგმის სტრუქტურა მოსწავლეების საჭიროებებს მივუსადაგო. სასკოლო და საკლასო წესებისა და პროცედურების არსებობა სასწავლო პროცესის მოწესრიგებასა და მოსწავლეთა ქცევითი პრობლემების მინიმუმამდე დაყვანაში მეხმარება.

ვცდილობ ისეთი აქტივობების გამოყენებას, რომელთაც ნაკლებად ექნებათ უარყოფითი გვერდითი მოვლენები. აქტიურად ვიყენებ პოზიტიურ თანამშრომლობით აქტივობებს, მაგალითად, კლასის საათზე – ინტერაქტიულ მეთოდებს და ვამუშავებთ ისეთ ლიტერატურულ ტექსტებს, რომელთა საშუალებითაც ბავშვები თავად გამოიტანენ სასურველ დასკვნას. აგრეთვე, დასვენებებზე მივმართავ ისეთ მოძრავ თამაშებს, რომლებიც ურთიერთობების დარეგულირებაში მეხმარება.

იმ უამრავ აქტივობას შორის, რასაც ვიყენებ, პრიორიტეტს ვანიჭებ ქცევის წესების შემუშავებას და დაცვას, რაზედაც პირველ კლასში, პირველი დღიდანვე, ვიწყებ მუშაობას. მისი მიზანი ბავშვებისთვის კარგად მოქცევის გათავისებაა, მაშინაც კი, როცა მათთან არ ვიმყოფები. იმისათვის, რომ კლასის მართვა მარტივად წარიმართოს, შევიმუშავებთ ქცევის წესებს, რომლებსაც ბავშვები ჩემი ხელმძღვანელობით ადგენენ, ისინი ისეთი გზით მიმყავს, რომ რწმუნდებიან, წესების შემუშავება მთლიანად მათი საქმეა, რასაც საუკეთესოდ ართმევენ თავს. წესების შედგენისას ვუქმნი სტაბილურ საფუძველს ცხოვრებისეული სიძნელეების დასაძლევად. ვცდილობ, წესები ისე შევადგინოთ, რომ:

- პატარები მიხვდნენ რას მოველი მათგან;
- ბავშვებისთვის ყოველი წესი იყოს დაძლევადი;
- ის განხორციელდეს მანამ, სანამ არ ისწავლიან სასურველ ქცევას.

წესს არ უნდა ჰქონდეს ბრძანებითი ხასიათი, მისი ფორმულირება ბავშვის ინიციატივას, სურვილს უნდა შეესაბამებოდეს:

- სკოლის დერეფანში დავდივართ ხმაურის გარეშე;
- ვუფრთხილდებით ჩვენს და სხვის ნივთებს;
- ვუსმენთ თანატოლებს და უფროსებს;
- ვართ ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში.

ვფიქრობ, სასურველია და აუცილებელიც, სწავლების პირველ წელს, ქცევის წესები 3/4 პუნქტისგან შედგებოდეს. სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მათ თანდათან დაემატოს სხვადასხვა პუნქტი. ამავე დროს, ბავშვებს ვაძლევ შესაძლებლობას, განსაზღვრონ რა შედეგი მოჰყვება ქცევას მოსწავლის წესების დარღვევისას.

ბავშვი ვერ ხვდება აკრძალვას, რაც ხელს უშლის შეცდომების გაანალიზებასა და გასწორებაში. საჭიროების შემთხვევაში, მივმართავ: „როგორ ფიქრობ, რით შემიძლია დაგეხმარო“, „მე მზად ვარ შენთან ვითანამშრომლო“.

საუკეთესო საშუალებად სტრატეგიის ელემენტების თანამიმდევრობის დაცვა მიმაჩნია. თუ ბავშვი ხელს უშლის მეგობარს მუშაობაში, ვეუბნები: შენ, როგორც ჩანს, მარტო გირჩევნია მუშაობა, ამიტომ მარტო იმუშავე, მანამ სანამ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ. ასეთ სიტუაციაში, ის აუცილებლად გააცნობიერებს საკუთარ საქციელს. მის წასახალისებლად შესაბამის მიმართვებს ვიყენებ (მე მომწონს შენი გადაწყვეტილება, შენ იმსახურებ მეგობრებთან ერთად იმუშაო). ამ დროს, მასზე კარგად მოქმედებს პასუხისმგებლობის დაკისრება საერთო საქმეში. თუ ბავშვი საწინააღმდეგო საქციელს ჩაიდენს, კვლავ ავუკრძალავ გარკვეულ საქმიანობას, მაგრამ ამას აკრძალვის ფორმას არ ვაძლევ. ის უნდა მივახვედრო, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემი არჩევანი არ არის, არჩევანს თავად აკეთებს – ან არ უშლის ხელს სხვას, ან ჯდება მარტო. მაქსიმალურად ვცდილობ, დავიკავო დისტანცია საკუთარ თავსა და ინციდენტს შორის.

ამავე დროს, ვცდილობ ბავშვებს ისეთი გარემო შევუქმნა, რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნონ და შეძლონ საკუთარი ქცევის გაკონტროლება. ისინი ხომ მწვავედ განიცდიან კრიტიკას, განსაკუთრებით 6-7 წლის ასაკში. ყოველ შენიშვნაში უნდა ვაგრძნობინო ზრუნვა და სიყვარული თითოეული მათგანისადმი. ვითვალისწინებ მათ პერსონალურ უფლებებს და ვცდილობ, არ შევლახო მათი ღირსება. ვეუბნები – ძალიან მომწონხარ, მაგრამ არ მომწონს შენი ქცევა, როცა არ უფრთხილდები მეგობრის ნივთებს. ამ დროს ბავშვი რწმუნდება, რომ მართალია ცუდად მოიქცა, მასწავლებელს ის მოსწონს, მაგრამ არ მოსწონს მისი კონკრეტული ქცევა. როცა ჩემს გულისწყრომას ვაცნობ ბავშვს, ყოველთვის ვუხსნი მიზეზს და ვარწმუნებ, რომ მისი მჯერა, შეუძლია, დაძლიოს სირთულე.

ბავშვები ცდილობენ მიბაძონ მასწავლებელს და რასაც ის აკეთებს, როგორც ექცევა მათ, ასევე ექცევიან მეგობრებს. ნამუშევრების შესწორებისას, ვაფასებ ნამუშევარს და არა ბავშვს. შენიშვნის მიცემისას, ვცდილობ ვიყო კორექტული. ვიყენებ ისეთ აქტივობებს, რომლებიც დამეხმარება, იყვნენ ტოლერანტულები, ჰქონდეთ განსხვავებულის მიღების უნარი. ამ უკანასკნელში კარგად დამეხმარა ჯგუფური სამუშაო „ჩემი მეგობარი“ – ბავშვები სკოლის ეზოში ასფალტზე ხატავენ საკუთარ მეგობარს, რისთვისაც წინასწარ ვამზადებ (ვუკითხავ საინტერესო მოთხრობებს მეგობრობაზე, ვაყურებინებ ფილმებს, როგორ ეხმარებიან/უდგანან მხარში მეგობრები ერთმანეთს, შემდეგ ვმსჯელობთ და გამოგვაქვს შესაბამისი დასკვნები, როგორი უნდა იყოს და რა მოეთხოვება ნამდვილ მეგობარს). ხშირად ვცდილობ გამოვიყენო ისეთი აქტივობები, როგორიცაა „როლური თამაში“, რათა მოსწავლემ განსხვავებულად/სხვა ადამიანის თვალით აღიქვას მოვლენები.

ვითვალისწინებ, რომ მოსწავლის ქცევის ჩამოყალიბებაში აქტუალურია პირადი ურთიერთობების მნიშვნელობის გააზრება. ამიტომ, ამ საკითხს ძალიან ფაქიზად ვუდგები და მაქსიმალურად ვცდილობ, ვაგრძნობინო, რომ მუდმივად ვზრუნავ მათზე. მოსწავლეები მგრძნობიარეები არიან და ტკივილამდე განიცდიან ერთმანეთთან მოუგვარებელ ურთიერთობებს. მათი დარეგულირებული ურთიერთობები უზარმაზარი პოტენციალია ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის.

ამგვარად, პრობლემებს, რომლებიც ცხოვრებაში იჩენს თავს, გადაწყვეტის ერთადერთი გზა არა აქვს. მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ დაბალანსებული ურთიერთობების დროს ბავშვები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ავტომატურად სწავლობენ ერთურთისგან. მასწავლებლის ამოცანაა, ჩამოუყალიბოს მოსწავლეს ღრმა აზროვნების და პრობლემის გადაჭრის უნარი.

ხათუნა ბორაშვილი
სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. კაკაბეთის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინტერნეტ გაზეთი, 11 მაისი, 2015 მ. ბოჭორიშვილი, მოსწავლეთა ქცევის და დისციპლინის საკითხები http://mastsavlebeli.ge/?p=1684;
2. ნანა დალაქიშვილი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი National Curriculum & Assessment Centre;
3. ქცევის მართვა – 19.04.2018 http://www.vidal.ge/health/qcevis-martva;
4. მარინე ჯაფარიძე, მოსწავლეთა „ცუდი ქცევის“ ფსიქოლოგიური მოტივები, პრევენცია, მართვა (მეორე ნაწილი),12 აპრილი, 2013 http://mastsavlebeli.ge/?p=2391;
5. ნ. ლაბარტყავა, როგორ დავეხმაროთ პირველკლასელებს. გვ 7;
6. თ. ჭყოიძე, ქცევის სტრატეგიები კონფლიქტურ სიტუაციებში. გვ 44. www.tpdc.ge ჟურნალი „მასწავლებელი“ №5 /2012/.

რატომ გერმანული?

ისტორიული წყაროებით, ძველი გერმანული ენა გამოეყო ძველ საქსონურ ენას და მის დიალექტს წარმოადგენს. ის ინდოევროპული ენების ოჯახს მიეკუთვნება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გერმანულს, ინგლისურს, ნიდერლანდურსა და რამდენიმე სხვა ენას საერთო ძირი აქვთ და გერმანიკულ ენათა ჯგუფში ერთიანდებიან.

გერმანული ენის სწავლის ტრადიცია საქართველოში დიდი ხანია არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანულს დღემდე ბევრი სწავლობს, ეს ენა საქრთველოში პრიორიტეტული აღარაა. რეალურად კი, შესაძლოა, გერმანული ენის ცოდნა არა მხოლოდ პირადი, არამედ პროფესიული წარმატების საწინდარი გახდეს. გერმანულ ენაზე მსოფლიოში 125 მილიონი ადამიანი საუბრობს. ის გერმანიის, ავსტრიის, ლიხტენშტაინის, შვეიცარიის, ლუქსემბურგისა და ბელგიის ოფიციალური ენაა.

რა გეგმებიც არ უნდა ჰქონდეს ახალგაზრდა თაობას სამომავლოდ, გერმანულის ცოდნით მათ წინაშე შეუზღუდავი შესაძლებლობები იხსნება. გერმანულის შესწავლა იმ უნარების განვითარებას ნიშნავს, რომლებითაც შეიძლება პროფესიული და პირადი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

გერმანია, უმაღლესი განათლების მისაღებად, სტიპენდიების დიდ რაოდენობას გასცემს. ახალგაზრდა უცხოელებისთვის საგანგებო სამუშაო ვიზები არსებობს, ხოლო გარკვეული პროფესიებისთვის სამუშაო უფლების მიღების განსაკუთრებული წესები მოქმედებს.

გერმანიას ძალიან კარგი რეპუტაცია აქვს განათლების სფეროში. მსოფლიოს ტოპ 100 უნივერსიტეტს შორის 10 სწორედ გერმანიაშია. მთელი მსოფლიოდან, აქ უამრავი სტუდენტი ჩადის სწავლის გასაგრძელებლად. საერთაშორისო და გაცვლითი პროგრამების დახმარებით, უცხოელი სტუდენტებისთვის ნებისმიერ უნივერსიტეტში, სასურველ ფაკულტეტზე, სწავლა უფასოა. დღეისათვის, გერმანიაში, 250 000 უცხოელი სტუდენტი სწავლობს, ხოლო მათგან, დაახლოებით, 2500 ქართველია.

გერმანული ენა, თავისი მნიშვნელობით, მეორე ადგილზეა ევროკავშირის ქვეყნებში. ოფიციალური ენის გარდა, ევროპელების 38%-ისთვის მეორე სასაუბრო ენას წარმოადგენს.

ამ ეროვნების ადამიანები ყველაზე ხშირად მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში და ყველაზე დიდ თანხას ხარჯავენ შვებულებაში. შესაბამისად, ტურიზმისა და მომსახურების სფეროში, გერმანული ერთ-ერთი პრიორიტეტული ენაა.

გერმანიამ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურასა და სამეცნიერო სფეროში. ნობელის 100-ზე მეტი ლაურეატი, ლიტერატურის, ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა თუ მშვიდობის სფეროში, სწორედ გერმანულენოვანი ქვეყნების წარმომადგენლები არიან. ქვეყანა აქტიურადაა ჩართული უცხოელი მეცნიერების ხელშეწყობის პროგრამებში, რომელთა ფარგლებშიც სხვადასხვა კვლევით სტიპენდიებს გასცემს.

გერმანია, ასევე, კულტურის საერთაშორისო ცენტრსაც წარმოადგენს, სადაც თავმოყრილია მსოფლიოში ყველაზე მეტი საოპერო და დრამატული თეატრი, საკონცერტო დარბაზი. ერთ-ერთი ცნობილი კინოფესტივალი – ბერლინალეც სწორედ აქ ტარდება. გერმანული გოეთეს, კაფკას, მოცარტის, ბახისა და ბეთჰოვენის ენაა. ვფიქრობ, ახალგაზრდებმა არ უნდა გაუშვან ხელიდან მათი ნაწარმოებების ორიგინალში წაკითხვისა და მოსმენის სიამოვნება.

მედიის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება მრავალენოვან კომუნიკაციას მოითხოვს. მნიშვნელოვანი ვებგვერდების დიდი რაოდენობა გერმანულ ენაზეა. გერმანია, წიგნების ახალი გამოცემების რიცხვით, მსოფლიო მასშტაბით, 87 ქვეყანას შორის, მე-6 ადგილს იკავებს, ინდოეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, ჩინეთისა და რუსეთის შემდეგ. ამიტომაც, გერმანული ენის ცოდნა ინფორმაციასთან ფართო ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას იძლევა.

გერმანული ენა დიდ როლს თამაშობს წარმატებული კარიერის შექმნაში, მისი გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია. ასე რომ, ამ ენის შესწავლა ევროპულ არჩევანს ნიშნავს!

სალომე აბრამიშვილი

სსიპ პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის დირექტორი/გერმანული ენის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.goethe.de/ins/ge/ka/spr/wdl.html
2. https://www.goethe.de/ins/ge/ka/spr/wdl/tes.html

კულტურული ღირებულებების თაობიდან თაობაზე გადაცემის მექანიზმები ქართულ-ინგლისურ ენებში

თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ისიც, რომ უცხო ენის შესწავლა მხოლოდ ენობრივი სტრუქტურების სრულყოფილად დაუფლებით არ შემოიფარგლებოდეს. ლექსიკისა და გრამატიკის შესწავლასთან ერთად, ენის ათვისება განსხვავებული კულტურული ცნობიერებისა და ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასებასა და პატივისცემასაც უნდა გულისხმობდეს, რათა მოსწავლემ, უცხო კულტურული ინფორმაციების ათვისების საფუძველზე, ამ სტრუქტურების შესაბამის სიტუაციებში გამოყენება შეძლოს. უცხოური ენის სწავლა ნიშნავს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენას, განსხვავებული ღირებულებების, მენტალობების გაგებას. ამდენად, წარმატებული კომუნიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სამეტყველო უნარ-ჩვევებზე, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებისა და პატივისცემის უნარზეც.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ბევრი სხვა ეთნოფსიქოლოგიური პრობლემისაგან განსხვავებით, მენტალიტეტი მეცნიერთა შესწავლის საგანი გახდა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ეთნოსის ფსიქოლოგიური ასპექტები – „ერის სული“, ეროვნული ხასიათი და სხვა მომიჯნავე მენტალური პრობლემები, ყოველთვის იდგა ქართველი ერის ყურადღების ცენტრში.

თანამედროვე მკვლევრები ცდილობენ, ჰუმბოლდტისეული ცნება „ერის სული“ განსაზღვრონ ტერმინებით: „კოლექტიური მეხსიერება“, „მენტალიტეტი“, „სამყაროს სურათი“, „ლინგვოკულტურა“ და ა.შ. ნეოჰუმბოლდტიანელების ევროპული მიმართულების წარმომადგენლები (ლ. ვაისგერბერი, გ. გოლცი, ჰ. იპსენი, პ. ჰარტმანი და სხვები) ენას განიხილავენ არა როგორც აზროვნების საშუალებას, არამედ როგორც შუალედურ სამყაროს ობიექტურ რეალობასა და აზროვნებას შორის და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ყოველი ერის აზროვნებას აქვს წმ. ნაციონალური თვისება და მისი ერთიანად განვითარება განისაზღვრება, როგორც ნაციონალური ენის იმანენტური განვითარება. აქედან გამომდინარე, კულტურათშორის კომუნიკაციაში ორი სამყარო უპირისპირდება ერთმანეთს, რის შედეგადაც გზა ცნობიერებიდან ცნობიერებამდე რთულდება ენათშორისი და კულტურათშორისი ბარიერებით.

ინგლისურენოვანი ლექსიკონები მენტალიტეტს შემდეგნაირად განმარტავს: ზოგადი ინტელექტუალური თვისება, გონების მახასიათებელი დამოკიდებულება, გონების სახე ან აზროვნების ფორმა; სინონიმურ ლექსიკონში ჩამოთვლილია მთელი რიგი სინონიმები: ჭკუა, ხასიათი, გუნება-განწყობილება, ნიჭი, უნარი, თვალთახედვა, ინტელექტი, „აიქიუ“, გონება, გონივრულობა, გონების ჩარჩო, გაგება, პიროვნულობა და ფსიქოლოგია; უცხო სიტყვათა ლექსიკონში კი ეს მნიშვნელობები აქვს: მენტალიტეტი, მენტალობა (გვიან ლათ. mentalis – გონებრივი) 1. აზროვნების მსვლელობა, გონებრივი ჩვევებისა და სულიერი განწყობის ერთობლიობა, რომელიც ცალკეულ ადამიანს ან საზოგადოებრივ ჯგუფს ახასიათებს; 2. ერის ფსიქოლოგია.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით მენტალობა იგივეა, რაც ტრადიციული ცნობიერება, ე.ი. მსოფლმხედველობის სისტემა, დაფუძნებული სამყაროს ეთნიკურ სურათზე, რომელიც შეიცავს წარმოდგენებს პრიორიტეტებზე, ქცევისა და კონკრეტულ ვითარებაში მოქცევის მოდელებზე.

ყველა ეს განსაზღვრება შეიცავს ერთ სურათს – მენტალობა ჯგუფური ფენომენია, რომელიც სამყაროს შეცნობის, აღქმის, გაგების გაუცნობიერებელი პროცესის შედეგია. მენტალობა არის ფარული, სიღრმისეული, გაუცნობიერებელი ნაწილი საზოგადოებრივი ცნობიერებისა.

პიროვნების მენტალიტეტზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი: გარემო, კლიმატი, გეოგრაფიული ლანდშაფტი, საზოგადოება, რელიგია, ჩვევები და ტრადიციები, მთლიანად ბუნება. გეოგრაფიული გარემოს გავლენა ყველაზე მთავარია. მენტალიტეტის ზოგადმახასიათებელი თვისება მისი გახსნილობა, დაუსრულებლობა, ხანგრძლივობა, დიფუზური ბუნება და ჩვეულებრივი ცნობიერებაა. მენტალიტეტის სუბიექტი არის არა ინდივიდუალური, არამედ სოციალური გარემო. ისინი ნაჩვენებია ვერბალურად (საზოგადოების ვერბალური კულტურა) და, როგორც ენის ნიშანი, აისახება ქცევაში, ჩვევებში, ტრადიციებსა და რწმენებში.

გენეალოგიური ხის ცოდნა ქართველი ხალხის ერთ-ერთი წამყვანი ეთნიკური ტრადიციაა. გენეალოგიური ხე ყოველთვის იჭერდა პირველ ადგილს ქართველთა შთაგონებაში შთამომავლობის გასაგრძელებლად, იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინათ საზოგადოებრივი ჩვევები და ტრადიციები. ქართულ საზოგადოებაში არსებობს სიწმინდეები, რელიკვიები, რომლებიც თაობიდან თაობაზე, მამიდან შვილზე გადადის და ა.შ. ასე რომ, წინაპრებისა და წარმომავლობის მიმართ თაყვანისცემასა და პატივისცემას ბავშვს ადრეულ ასაკშივე შთააგონებდნენ. ქართული ანდაზა ამბობს: *„სიცრუე დილამდე, სიმართლე შვილიშვილამდეო“; „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.*

ქართველი ერის ეთნიკური მენტალიტეტი ეფუძნება გახსნილობას, მეგობრობას, კეთილგანწყობას, სტუმართმოყვარეობას, პატიებას და ა.შ. ქართველი ხალხის გენეტიკური თვისებები გახსნილობა და სულის სიკეთეა, საჭირო დროს ურთიერთმიმართ სითბოს გამოხატვა.

მოხუცების მიმართ პატივისცემას პატარაობიდანვე ასწავლიან. მოხუცებულები ოჯახში უდავოდ ავტორიტეტით სარგებლობენ, მათ მიმართავენ თქვენობითი ფორმით – „თქვენ“, მაგრამ ბავშვები თავიანთ მშობლებს – არა.

სტუმართმოყვარეობა, როგორც მახასიათებელი თვისება, ბავშვს ჩვილობიდანვე მოსდევს: ჩვენ სტუმარს ვეუბნებით – „მოდი“, მაგრამ არასოდეს – „წადი“. ხშირად ვიმეორებთ – „სტუმარი ღვთისაა“.

ანდაზები ერის ცხოვრებისეული გამოცდილებისა და აზროვნების სტილის „ენობრივი სიმბოლოებია“. ენის ანდაზების ფონდი ენის მატარებელი ერის მიერ შექმნილ „სამყაროს თავისებურ ხატს“ წარმოადგენს. ისინი განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებენ თარგმანში, ვინაიდან ეს სპეციფიკური ენობრივი წარმონაქმნები უფრო მეტად ავლენენ ეთნოკულტურულ სპეციფიკას, ვიდრე ბუნებრივი ენის სხვა ერთეულები.

მნიშვნელოვანია, რომ ხაზი გაესვას მშვიდობიანობას, როგორც ქართველი ხალხის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას – „შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდი“. ინგლისურ მენტალიტეტში მოიაზრება ტაქტი, თავაზიანობა, თავდაჭერილობა. ასევე ინგლისელები არიან მომთხოვნები და მომთმენებიც სხვების მიმართ: *„Live and let live“ – „იცოცხლე და იცხოვრე“; „A cat may look at a king“ – „კატაც შეხედავს მეფესო“; „Love me, love my dog“, „He that loves the tree, loves the branch“ – „თუ მე გიყვარვარ, ჩემი ძაღლიც უნდა გიყვარდესო“, „ხე თუ გიყვარს, ტოტიც უნდა გიყვარდესო“; „One cannot run with the hare and hunt with the hounds“ – „ჩვენიცაა, თქვენიცაა“.*

ინგლისელები ზრდილობასა და პატივისცემას იჩენენ საუბრისას. ეს გამონათქვამი ხაზს უსვამს მათთვის ეტიკეტის მნიშვნელობას: *„Don't look a gift horse in the mouth“ – „ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო“, „When in Rome, do as Romans do“ – „სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო“, „Don't carry coals to New Castle“ – „ქვანახშირის წაღება ნიუკასლში = ზღვას ქვიშას უმატებენო“.*

მათ სიამოვნებთ თავიანთი უშფოთველობა და ნელი ტემპი: *„Nothing must be done hastily but killing of fleas“ – „აჩქარება საჭიროა მხოლოდ რწყილების ხოცვისას“; „Haste makes waste“ – „აჩქარება დროის დაკარგვაა“;* ქართველებსაც გვაქვს მსგავსი ანდაზები: *„აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია, და ვინც კი აჩქარებულა, მალე თან გადაჰყოლია“, „წინ წასული მელაო უკან დაბრუნდებაო“, „მოჩქარეს მოუგვიანდესო“,* თუმცა სხვა კონტექსტში საპირისპიროს ვამბობთ – *„ნაადრევი ყველაფერი კარგია, სიკვდილის გარდა“.*

ანდაზა *„Don't change horses in the middle of the stream“ – „შუა დინების დროს ცხენებს ნუ გამოცვლი“* ინგლისელი ხალხის კონსერვატიზმზე მიგვანიშნებს. ისინი ყოველთვის ინარჩუნებენ ტრადიციას და მათ არ სურთ შეცვალონ თავიანთი მონარქია. ხშირად იმეორებენ: *„An old dog will learn no new tricks“ – „გუშინდელი დღე ახალ ფანდს ვერ გასწავლის“; „An old dog barks not in vain“ – „ბებერი ძაღლი ტყუილად არ იყეფებსო“.*

აგრეთვე უყვართ მებაღეობა. სახლის პატრონის ცხოვრებაში ბაღს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამიტომაც არსებობს ამასთან დაკავშირებით ბევრი ანდაზა: *„He that loves the tree, loves the branch“ – „ხე თუ გიყვარს, ტოტიც უნდა გიყვარდესო“.* მუხა და ვარდი ინგლისელების სამეფო სიმბოლოებად ითვლება და მათზე მრავალი ანდაზა არსებობს: *„There's no rose without a horn..“, „No roses without prickles“, „Wherever there is a rose, there is a thorn“ – „ვარდი უეკლოდ ვის დაუკრეფია“.*

ამინდი მუდმივად განხილვის ერთ-ერთი თემაა და სწორედ ამიტომ, უამრავი ცხოვრებისეული შემთხვევა და მოვლენა მასთანაა შედარებული: *„One cloud is enough to eclipse the sun“ – „ერთი ღრუბელიც საკმარისია, რომ მთელი მზე გადაფაროს“; „Every cloud has a silver lining“ – „ზოგი ჭირი მარგებელია“; „Save it for a rainy day“ – „შავი დღისთვის გადადება“; „It never rains but it pours“ – „უბედურება წვიმასავით კი არ მოდის, არამედ თავსხმასავით = კაცი ხიდან ჩამოვარდა და გველმა უკბინაო“.*

სხვადასხვა ხალხის კულტურა აისახება მათ ირგვლივ არსებულ რეალურ სამყაროში, საყოფაცხოვრებო პირობებში, მენტალიტეტში, ეროვნულ ხასიათში, მორალში, მსოფმლხედველობასა და ენაში. ენას აქვს ფუნქცია დაიცვას ეთნიკური მენტალობის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების თაობიდან თაობაზე გადაცემისა და ტარების თავისებურებანი. ქცევის ნორმები, ფასეულობათა ორიენტირები, ჩვეულებრივ, იქმნება საზოგადოების განათლებულ ნაწილში და შემდეგ, თანდათან, გამარტივებული ღრმად შეიჭრება ხალხის მენტალობაში და რჩება წლების განმავლობაში, ხანდახან საუკუნეებშიც. მენტალობის სოციალური დიფერენცირება გამოხატავს საზოგადოებისთვის მახასიათებელ საზოგადოებრივ ჯგუფებად დაყოფას, რომელთაც საკუთარი მენტალური ინტერესები და ცხოვრების წესი ახასიათებთ.

აქედან გამომდინარე, მენტალობის შენახვის და გადაცემის მექანიზმი, აგრეთვე მისი ათვისება საზოგადოების ახალი წევრებით ისეთივეა, როგორიც ცოცხალი ენების ცხოვრების მექანიზმი გარემოს საშუალებით და უფროსი თაობებიდან უმცროს თაობებამდე. მენტალობა ასახავს საზოგადოების მიერ განვლილ ისტორიულ გზას და შეიძლება განვიხილოთ, როგორც კულტურის ნანილი. უფრო მეტიც, მისი თავისებურებების გაგება გვაძლევს გასაღებს, ღრმად ჩავწვდეთ კულტურის დაფარულ „მექანიკას“, მისი ტონალობა საშუალებას გვაძლევს, ნათელი გახდეს მოვლენებს შორის არსებული ფარული ურთიერთკავშირები. კულტურა და ტრადიცია, ენა, ცხოვრების წესი და რელიგიურობა ქმნიან თავისებურ „მატრიცას“, რომლის ჩარჩოებში ყალიბდება მენტალიტეტი.

ამრიგად, ყველა ქცევის და მოვლენის შეფასებაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ არა მარტო საკუთარი გონებით და გამოცდილებით, არამედ წინა თაობის, ასობით თაობების ჭკუითა და გამოცდილებით. ეს გამოცდილება კონცენტრირებულია სპეციალურ და მხატვრულ ლიტერატურაში, ინფორმაციის საშუალებებში, წეს-ჩვეულებებში, ზრდილობის წესებში და თითოეული ადამიანი ამ გამოცდილების მატარებელია.

ირინე ბრუნჯაძე

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავის საჯარო სკოლის ინგლისური ენის წამყვანი მასწავლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ესგ-ის სტანდარტი. მოქმედი ვერსია;*
2. *თეზელიშვილი ს. – „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007;*
3. *Hornby A.S. – „Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English“, Oxford University Press.Volume II. 1982;*
4. *Manser H.Martin – „Dictionary of Synonyms and Antonyms“ „Chambers“ Edinburg, 2005;*
5. *Pushkarev L.N. – Study in the mentality of history. Teaching history in schools, 1995;*
6. *www.mastsavlebeli.ge – ოქტომბერი 9, 2018;*
7. *Панфилов В.З. – Философские проблемы языкознания. М., Наука, 1977.*

ანიმაციური ზღაპარი „თალგამი“ და პირველი ჯგუფური მუშაობა სკოლაში

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ხშირად ვაწყდები პრობლემას, როდესაც ზოგიერთი მოსწავლე საერთოდ არ ერთვება, არ მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში. მიზეზი ხშირად დაბალი თვითშეფასებაა. მოსწავლეს ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში. ჰგონია, რომ მისი დახმარებისა და მონაწილეობის გარეშე ჯგუფი საერთო მიზანს მაინც მიაღწევს.

საერთაშორისო გამოცდილებას რომ გადავხედოთ, თანამშრომლობითი პედაგოგიკა გვთავაზობს სხვანაირად სწავლას, როცა მოსწავლის გვერდით ამხანაგები არიან, რომელთაც უნდა დაეხმაროს ან დაეკითხოს, გაარკვიოს ის, რაც გაუგებარია; შეუძლიათ ერთობლივად იმსჯელონ და დასკვნები გამოიტანონ. როცა შენზეა დამოკიდებული ჯგუფის წარმატება, შეუძლებელია არ გააცნობიერო პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და ჯგუფის წინაშე, არ ისწავლო, არ იმუშაო, იზარმაცო და ა.შ.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთობლივად სწავლა არა მარტო უფრო იოლი და საინტერესოა, მნიშვნელოვნად ეფექტიანიცაა. აღსანიშნავია, რომ ეს ეფექტიანობა ეხება როგორც აკადემიურ წარმატებებსა და ინტელექტუალურ განვითარებას, ისე ზნეობრივ ზრდას. ამ უნარების განვითარებაზე ზრუნვა დაწყებით საფეხურზევე უნდა დაიწყოს მასწავლებელმა.

ზოგიერთი მოსწავლე ვერ ახერხებს ჯგუფში ინტეგრირებას (მიზეზი – მორცხვობა), პრობლემა შეიძლება შექმნას კომუნიკაციის ნაკლებობამ.

სხვა პრობლემები ემატება პირველკლასელებთან. მათ უჭირთ იმის წარმოდგენა, რომ ერთ ფურცელზე უნდა შეასრულონ დავალება, სამუშაო ფურცელს ყველა თავისკენ ექაჩება, ვერ თანხმდებიან. ყველას უნდა, რომ თვითონ დაწეროს, თვითონ გააკეთოს პრეზენტაცია, იბუტებიან, ზოგი საერთოდ არ ერთვება მუშაობაში.

ჯგუფური მუშაობის წესების მხოლოდ ახსნა უშედეგოა. მოსაფიქრებელია მოდელი, რომელიც მათთვის მისაბაძი გახდება. შემოგთავაზებთ პრობლემის გადაჭრის პრაქტიკულ მაგალითს.

ამ ეტაპზევე უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს კომუნიკაციური და სოციალური ტიპის უნარების განვითარებაში. თანამშრომლობის უნარ-ჩვევა საჭიროა ერთობლივ აქტივობებში, საქმიანობებსა და ახალ წამოწყებებში სხვა ადამიანებთან ერთად წარმატებული მონაწილეობისათვის. ამ მიზნით:

- ➢ მოსწავლეებს ვაჩვენე ანიმაციური ზღაპარი „თალგამი“; https://www.youtube.com/watch?v=hORm6jby3eU
- ➢ საჭირო დროს ვაპაუზებდი, ვუსვამდი კითხვებს, ვითხოვდი ყურადღებას;
- ➢ ხაზს ვუსვამდი გმირის მონაწილეობის მნიშვნელობას საერთო საქმეში;
- ➢ განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილებინე წრუწუნას მცირე წვლილზე, რომლის დახმარებისა და მონაწილეობის გარეშე, საერთო მიზანს ვერ მიაღწევდნენ.

გააცნობიერეს რა არის ***მონაწილეობა***; მოიყვანეს საერთო საქმეში მონაწილეობის ***მაგალითები*** – ოჯახში, სკოლაში; გაიგეს, რომ მონაწილეობა მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია; გააკეთეს დასკვნა: რაც უნდა მცირე იყოს მათი ***წვლილი*** ამა თუ იმ საქმიანობაში, მათ გარეშე აუცილებლად დააკლდებოდა რაღაც; დარწმუნდნენ, რომ ***თანამშრომლობის*** გზით ადამიანებს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე მარტო; მოსწავლეებზე ძალიან დიდი ***შთაბეჭდილება*** მოახდინა ზღაპრის ნახვამ; ბავშვებს გაუჩნდათ სურვილი, ზღაპრის გმირებისთვის მიებაძათ.

თანამშრომლობის, როგორც დემოკრატიული კულტურის ერთ-ერთი კომპეტენციის განვითარება მასწავლებელმა დაწყებითი საფეხურიდან – სკოლაში შესვლის პირველივე დღეებიდან უნდა დაიწყოს.

თანამშრომლობის უნარ-ჩვევა საჭიროა ერთობლივ აქტივობებში, საქმიანობებსა და ახალ წამოწყებებში, სხვა ადამიანებთან ერთად წარმატებული მონაწილეობისთვის.

ირინა ნადირაშვილი
თბილისის №83 საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასების მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები file:///C:/Users/VuKa/Desktop/demokratia/9;
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024;
3. „ჩვენი ეზოს ამბები“ 2009, SAVE the Children Federation, Inc.

მოსწავლეთა სინთეზური აზროვნების განვითარებისთვის

მოგეხსენებათ, სამოდელო ინტეგრირებული გაკვეთილი ხელს უწყობს შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას და საკმაოდ ხშირად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სხვადასხვა სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისთვის არა მხოლოდ სასარგებლოა, არამედ საინტერესოცაა. ამ პროცესს კი საგანმანათლებლო ლიტერატურაში „ტრანსფერს“ უწოდებენ. ცნობილი ქართველი მეცნიერისა და ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის განმარტებით, აზროვნებას ახასიათებს გადატანის უნარი, როდესაც მოსწავლე ერთხელ გადაჭრის ამოცანას, მას აღარ გაუჭირდება მსგავსი ამოცანების გადაჭრა სხვა სიტუაციებში. როგორც ვიცით, საგნების ინტეგრირება უნდა იყოს ბუნებრივი და ლოგიკური.

ჩვენი შესასწავლი თემიდან გამომდინარე, გადავწყვიტე ჩამეტარებინა ინტეგრირებული გაკვეთილი რუსულ ენაში, თემაზე: **„Приставки, определяющие направление в глаголах движения“**. შევარჩიე მსგავსი თემა ქართული ენაშიც: „მიმართულების მაჩვენებელი ზმნისწინები მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში“. ინტეგრირებული გაკვეთილის მიზანი იყო: მოსწავლეებს გაეაზრებინათ მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში მიმართულების მაჩვენებელი თავსართების მნიშვნელობა, დაედგინათ ამა თუ იმ საგნის ზუსტი ადგილმდებარეობა. მოსწავლეები გაეცნობოდნენ მიმართულების აღმნიშვნელ თავსართებსა და ზმნისწინებს როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაში. უკეთესად გააცნობიერებდნენ საგზაო ნიშნებში მათ როლს.

მთავარი კითხვები: რა ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან სხვადასხვა მიმართულების მაჩვენებელი თავსართების გამოყენებამ; რამდენად დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს თითოეულ თავსართს რუსულ ენაში და ცალკეულ ზმნისწინს ქართულ ენაში მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან გამოყენების დროს. მოხდა შემდეგი თემების ინტეგრირება: რუსულ ენაში – მიმართულების მაჩვენებელი თავსართების მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან, მათი მსგავსება-განსხვავება მოძრაობის აღმნიშვნელ ქართულ ზმნებთან მიმართებაში; ქართულ ენაში – მიმართულების მაჩვენებელი ზმნისწინების მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან.

გაკვეთილის მიზანი და შედეგები:

- ქართულ და რუსულ ენებში, მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში: **идти – ехать** მსგავსებისა და განსხვავებების პოვნა და მარტივ შესიტყვებებში გამოყენება ვენის დიაგრამის გამოსახვით;
- მსგავსებებისა და განსხვავებების პოვნა მოძრაობის აღმნიშვნელ რუსულ და ქართულ ზმნებში. ერთჯერადი და მრავალჯერადი მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების ერთმანეთისგან განსხვავება; ადგილმდებარეობის, მიმართულების, მანძილის გამომხატველი ენობრივი საშუალებების ამოცნობა.
- საგზაო ნიშნებში მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების ამოცნობა და მიმართულების დადგენა;
- საგზაო წესების ცოდნისა და გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერება.
- ტექსტში შესაბამისი მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების ამოცნობა, მიმართულების მაჩვენებელი თავსართების პოვნა და შესაბამისი მნიშვნელობის დასხელება ქართულ ენაზე.

უცხ.III.8. მოსწავლეს შუძლია ამოიცნოს ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები, ნასწავლი ენობრივი ფორმები და მათი ფუნქცია შინაარსიან კონტექსტში. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს მოქმედებათა სიხშირისა და ხანგრძლივობის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს (ზმნიზედას, ზმნის სათანადო ფორმას);
- ამოიცნობს ადგილმდებარეობის, მიმართულების, მანძილის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს;
- ამოიცნობს მოქმედებათა თანმიმდევრულობის (წინმსწრები და მერმინდელი მოქმედებების) გამომხატველ მარტივ ენობრივ კონსტრუქციებს.

უცხ.III.10. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას საკითხავი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს ძიებითი კითხვების ხერხებს: კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით ეძებს საყრდენებს: საკვანძო სიტყვებს, აბზაცების პირველ წინადადებებს, რუბრიკებს, განმარტებებს, სქემებს, ტაბულას და სხვა.

უცხ.III.14. წერისას მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის დაცვა, ფლობს და ცდილობს გამოიყენოს საბაზისო ენობრივი უნარ-ჩვევები. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სათანადოდ იყენებს ახლად შესწავლილ სიტყვებსა და გამოთქმებს;
- ამბების, ფაქტების გადმოსაცემად იყენებს შესაბამის ზმნის ფორმებს – აწმყო, წარსული და მომავალი დროის გამოსახატავად;
- აღწერისას აზუსტებს ადგილმდებარეობას ზმნიზედების, მარტივი ენობრივი ფორმულების გამოყენებით.

ქართ.VII.5. მოსწავლეს შეუძლია ზეპირმეტყველების ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და იყენებს ზეპირი თხრობის დამახასიათებელ ნიშნებს (მაგ., სასვენი ნიშნების ფუნქციით იყენებს ინტონაციას, მიმართავს ჟესტებისა და მიმიკის ენას და სხვ.).

ქართ.VII.9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ენობრივ-გრამატიკულ კონსტრუქციებს, რომლებიც მსჯელობის შედეგს ასახავს (მაგ.: შესაბამისად..., აქედან ის დასკვნა გამოგვაქვს, რომ..., მაშასადამე..., ამგვარად..., ესე იგი..., დაბოლოს... და სხვა.)

გაკვეთილის მსვლელობა

A ფაზა – გამოწვევა:

მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება მოვახდინე კითხვა-პასუხით. მოსწავლეებს ვთხოვე, გაეხსენებინათ ზმნა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაში და ეპასუხათ შეკითხვებზე, თუ რას აღნიშნავს ზმნა, რა კითხვებზე მოგვიგებს, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი და ჩამოეთვალათ მოქმედებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები ქართულ და რუსულ ენებში. მოსწავლეებს ვთხოვე, გაეხსენებინათ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნის თავისებურებები, მაგალითად, ვთხოვე, დაესახელებინათ ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ მოძრაობას ერთი მიმართულებით და მოქმედება ხდება დღეს და ახლა. მაგალითად: მოსწავლეები დაფაზე წერენ წინადადებებს: Сегодня Дато **идет** в школу. Чайки **летят** в теплые страны. შემდეგ კი ვთხოვ, ეს ზმნები შეცვალონ მრავალჯერადი მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნებით და მიუწერონ ერთჯერადი მოქმედების ზმნებს. მაგალითად: Дато всегда **ходит** в школу. Чайки часто **летают** над морем. მოსწავლეებს ვუსვამ შეკითხვას თუ რა განსხვავება იპოვეს ამ ზმნებში და რომელი ქართული ზმნისწინი შეესაბამება ამ ზმნების რუსული ენიდან ქართულად თარგმნისას. მოსწავლეები ასახელებენ ზმნისწინებს: მი, და – მიდის-**идет**, დადის-**ходит**; **летят**-მიფრინავენ, **летают**-დაფრინავენ. შემდეგ მოსწავლეებს ვამუშავებ წყვილებში – ვურიგებ ბარათებს. მათ უნდა გაიხსენონ და ჩასვან წინადადადებაში ტრანსპორტითა და ქვეითად მოსიარულეთა შესაბამისი ზმნები: **идет** ან **едет**.

ვენის დიაგრამის საშუალებით, მოსწავლეები პოულობენ მსგავსებასა და განსხვავებას მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნის მიდის-**идет** – ქვეითად, და მიდის-**едет** – ტრანსპორტით. დაფაზე გამოვსახავთ ვენის დიაგრამას. ორივე ზმნა აღნიშნავს მოძრაობას – საერთო, ხოლო განსხვავდება რუსულ ენაში: **едет** – მიდის ტრანსპორტით, **идет** – მიდის ქვეითად. დავალების შესრულების შემდეგ, მოსწავლეებს ვაწვდი უკუკავშირს პოზიტიური კომენტარებით.

B ფაზა – შინაარსის რეალიზება:

ვაჩვენებ ჩემ მიერ დამზადებულ თვალსაჩინოებას – გრამატიკულ ცხრილს, სადაც ჩამოწერილია ყველა ის თავსართი რუსულ ენაში, რომლებიც მიმართულებას უცვლიან მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებს. ყველა თავსართს გვერდით მიწერილი აქვს შესაბამისი ქართული თარგმანი. დღეს ჩვენ უნდა განვიხილოთ მიმართულების მაჩვენებელი თავსართები, რომელთა დართვაც, მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებზე, რუსულ ენაში, ცვლის მიმართულებას. ვისაუბრებთ ქართულ ენაში მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინებზე და ვთხოვ მოსწავლეებს, გაიხსენონ ზმნისწინები ქართულ ენაში, რომელთა დართვაც, ასევე, უცვლის მოძრაობას მიმართულებას. ვთხოვ მოსწავლეებს, დაასახელონ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მიმართულების მაჩვენებელი ზმნისწინებით და გამოიცნონ, რა მიმართულებას გამოხატავენ ეს ზმნები – მიდის, მოდის, გადადის, ამოდის, ჩადის, შემოდის.

შემდეგ ვაკვირდებით ცხრილს, სადაც ნათლად ჩანს, როგორ შეუძლია თითოეულ თავსართსა და ზმნისწინს მოძრაობის მიმართულების შეცვლა. მოძრაობა გარედან შიგნით, შიგნიდან გარეთ, მოძრაობა გავლითი, შემოვლითი თუ გადასვლითი გზით. მოსწავლეები, ცხრილზე დაყრდნობით, ასახელებენ მიმართულების მაჩვენებელ ზმნებს და მათ მნიშვნელობას რუსულ და ქართულ ენებში: **При**йти, **у**йти, **вы**йти, **пере**йти, **за**йти, **ото**йти, **обо**йти, **до**йти, **при**ходить, **вы**ходить, **у**ходить, **пере**ходить, **за**ходить, **об**ходить, **от**ходить, **при**езжать, **до**езжать, **подъ**езжать, **пере**езжать, **отъ**езжать.

მოსწავლეები იხსენებენ, თუ კიდევ სად შეიძლება შეგვხვდეს მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები მიმართულების მაჩვენებელი ზმნისწინებით. ასახელებენ საგზაო მოძრაობის წესებს. კარგად დავაკვირდეთ საგზაო ნიშნებს, აი, ზუსტად აქ გვხვდება მიმართულების მაჩვენებელი თავსართებითა და ზმნისწინებით მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები, რომელთა მეშვეობითაც ადვილად გასაგები ხდება როგორც ქვეითისთვის, ასევე არაქვეითისთვისაც გზებზე მოძრაობის წესები. მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად ვყოფ და ვურიგებ საგზაო მოძრაობის ნიშნებს, ვთხოვ, ამოიცნონ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები, მიმართულების მაჩვენებელი თავსართები, გადათარგმნონ და დაასახელონ, რა მოქმედებას აღნიშნავენ. ვაფასებ ზეპირ პრეზენტაციას როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით.

C ფაზა – რეფლექსია:

შეჯამების ფაზაში, მოსწავლეებს, წყვილებში, ვურიგებ თაბახის ფურცლებს, სადაც ჩამოწერილია სახელმძღვანელოში მოცემული დიალოგიდან – **В городе** – უცნობი სიტყვები. ვხსნით ლექსიკურ სიძნელეებს, დაფაზე ვწერთ იმ სიტყვებს, რომლებიც მოსწავლეებისთვის უცნობია და მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებს სინონიმებით ვანაცვლებთ ან ვუწერთ შესაბამის ქართულ შესიტყვებას. მოსწავლეები მუშაობენ უცნობ სიტყვებზე – სიტყვების მნიშვნელობას ამოიცნობენ კონტექსტიდან გამომდინარე და ლექსიკონის დახმარებით. კლასს ვსვამ ჯგუფებად და ვაძლევ ინსტრუქციას, როგორ დაამუშაონ ტექსტი. ტექსტს კითხულობენ ჯგუფებში, საიდანაც იწერენ მიმართულების მაჩვენებელ ზმნებს, სიტყვების მნიშვნელობას ადგენენ კონტექსტის მიხედვით, ლექსიკონის დახმარებით. ვთხოვ გამოიცნონ, რომელი თავსართებია გამოყენებული და რომელ მიმართულებას აღნიშნავენ. შემდეგ ტექსტს კითხულობენ როლებში. პროექტორით ვაჩვენებ ანიმაციურ ფილმს **„Учим правила движения вместе“**. ვთხოვ, ამოიცნონ ნაჩვენები და მოსმენილი ტექსტიდან მიმარ-

თულების მაჩვენებელი ზმნები, შეადარონ ჯგუფებში დარიგებულ საგზაო მოძრაობის ნიშნებს და მიუწერონ ქართული თარგმანი. თითოეული ჯგუფი ხატავს შესაბამის გამაფრთხილებელ ან მიმანიშნებელ საგზაო ნიშანს და მიუწერს შესაბამის ზმნას როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაზე. ვაფასებ მოსწავლეებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით, ხოლო საშინაო დავალებად ეძლევათ მიმართულების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებით მარტივი დიალოგების შედგენა (სქემა №1).

დასკვნა: მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ საგაკვეთილო პროცესში. სხვადასხვა საგნების ინტეგრირება მათ თეორიული ცოდნის განმტკიცებაში დაეხმარა, რაც მათთვის ძალიან საინტერესო იყო. გაკვეთილზე გამოვიყენე ბევრი სახალისო და საინტერესო პრაქტიკული აქტივობა, რის გამოც მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი ამაღლდა. მოსწავლეებს მიეცათ ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა კუთხით შესწავლის საშუალება. წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, მათ შეძლეს სასწავლო მასალის ათვისება და შეჯამება. ინტეგრირებული გაკვეთილის საშუალებით აუმაღლდათ მოტივაცია, განუვითარდათ სინთეზური აზროვნება, რაც დაეხმარათ სხვადასხვა სიტუაციური ამოცანების გადაჭრაში, ცალკეულ საგნებში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებაში.

ირმა კარანაძე
სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის რუსული ენის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა. მოქმედი ვერსია;
2. როგორ უნდა ჩატარდეს სამოდელო ინტეგრირებული გაკვეთილი http://www.etaloni.ge/geo/main/index/5018;
3. მასწავლებლის წიგნი – ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში. 2016;
4. М. Лордкипанидзе, И. Чхеидзе, Т. Чимакадзе-Русский язык.м-III;
5. Книга для учителя. Издательство-Артануджи-2012.

სქემა №1

კრიტერიუმები	**კარგად**	**საშუალოდ**	**ვერ ახერხებს**
მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში თავსართების მნიშვნელობის გააზრება			
ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა			
წერითი უნარების განვითარება			
გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენება წაკითხულის გასააზრებლად			
დიალოგების შედგენა და როლურ თამაშებში მონაწილეობა			

მრავალფეროვანი შემაჯამებელი სამუშაოები სამოქალაქო განათლებაში

შეფასება მიზანმიმართული და თანმიმდევრული პროცესია, რომელიც სისტემატიურ ხასიათს ატარებს. შეფასების მიზანია გამოავლინოს მოსწავლის ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები, აამაღლოს სწავლის მოტივაცია, დაეხმაროს მოსწავლეს სწავლის წარმართვაში, მიაწოდოს მშობელს, მასწავლებელს, ადმინისტრაციას და სახელმწიფოს ინფორმაცია მოსწავლის მიღწევებზე სტანდარტთან მიმართებაში და დაეხმაროს მასწავლებელს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

სამოქალაქო განათლების შესწავლის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტური და მრავალმხრივი შეფასების მეთოდების გამოყენებას, საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას, მიზნების შესაბამისი შეფასების ისეთი ტიპებისა და ფორმების შერჩევას, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება არა მარტო გამოვლინდეს მოსწავლეთა შესაძლებლობები და შეფასდეს მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ ხელი შეეწყოს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასება არის საგნის, მოვლენის ან პროცესის წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის განსაზღვრა. შეფასების საშუალებით, მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისობას სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნილებებთან, სწორედ ამიტომაც მასწავლებელი, მოსწავლეთა ცოდნის და უნარ-ჩვევების შესაფასებლად, სხვადასხვა საშუალებას და მეთოდს უნდა იყენებდეს.

მხოლოდ ერთი ტიპის შემაჯამებელი სამუშაო, ვთქვათ ტესტი, შეიძლება აფასებდეს მხოლოდ ცოდნას და თითქმის შეუძლებელია ტესტით შეფასდეს ის უნარები და დამოკიდებულებები, რომელსაც ავითარებს საგნის „სამოქალაქო განათლება“ სწავლება. მოსწავლეები განსხვავებული უნარების და დამოკიდებულებების მატარებლები არიან, აგრეთვე, თუ მასწავლებელი სამოქალაქო განათლებას სტანდარტისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ასწავლის, მისი ვალდებულებაა, ჩამოაყალიბოს და შემდეგ შეაფასოს მოსწავლეებში სხვადასხვა ტიპის უნარები და დამოკიდებულებები.

მინდა შემოგთავაზოთ მე-10 კლასში, ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ტიპები:

- ტექსტის ანალიზი
- ესე
- პრეზენტაცია
- სიმულაცია (გამოძიების პროცესი)
- პროექტი.

ტექსტის ანალიზი – შეთავაზებულ ტექსტში მოსწავლეებს უნდა აღმოეჩინათ და გაესწორებინათ შეცდომები.

შეფასების კიტერიუმები: ტექსტის ანალიზი; ინფორმაციის დამუშავება და დახარსიხება; შეცდომის პოვნა და გასწორება.

ესე (თემა) – მოსწავლეები წინასწარ გაეცნენ ინფორმაციას, რომელსაც გამოიყენებდნენ ესეს დაწერის დროს.

ესეს (თემის) სავარაუდო სათაურები:

- სახელმწიფოს დამოკიდებულება არასრულწლოვანთა დანაშაულის მიმართ
- ოჯახისა და საზოგადოების დამოკიდებულება არასრულწლოვანთა დანაშაულის მიმართ
- რას ვურჩევდი ჩემს თანატოლს, რომ არ გახდეს დამნაშავე
- თუ კანონი უსამართლოა, მაინც კანონის მიხედვით უნდა მოვიქცეთ?
- არის თუ არა კანონის დაცვის საუკეთესო გზა სასჯელის სიმკაცრე
- ქართული საზოგადოება და კანონიერების კულტურა

შეფასების რუბრიკა

	შეფასების კრიტერიუმი	**ქულა**
1	დაცულია ესეს სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა)	3
2	გამოყენებულია ნასწავლი მასალა	3
3	საკუთარი აზრის გასამყარებლად მოყვანილია ერთი ან ერთზე მეტი არგუმენტი	1 არგუმენტი – 1 ქულა მაქსიმუმ – 3 ქულა
4	დაცულია წერის კულტურა	1

პრეზენტაცია – მიზანი: ინფორმაციის მოძიების და დამუშავების უნარების განვითარება; ინფორმაციასთან დაკავშირებული თვალსაჩინოების მოძიება და თემასთნ დაკავშირება; საკუთარი ნამუშევრის საინტერესოდ წარდგენა აუდიტორიის წინაშე, აუდიტორიის ფლობის უნარ-ჩვევების განვითარება; დროის მართვა, შემოქმედებითი უნარების განვითარება.

შეფასების რუბრიკა

	კრიტერიუმი	**ქულა**
1	ავლენს საკითხის ცოდნას და გაგებას	2
2	იყენებს განსხვავებულ მოვლენებს, წყაროებს და ფაქტებს	3
3	იყენებს ვიზუალურ მასალას თემის შესაბამისად	1
4	ავლენს პრეზენტაციის უნარ-ჩვევებს (აუდიტორიასთან კონტაქტი)	3
5	იცავს დროის ლიმიტს პრეზენტაციის ჩაბარებისა და მისი წარდგენის დროს	1

სიმულაცია – მიზანი: შევამოწმოთ მოსწავლის კრიტიკული აზროვნების, ანალიზის და სინთეზის, პრობლემის იდენტიფიკაციის და გადაჭრის უნარები, ასევე, კონკრეტული თეორიული მასალის პრაქტიკულ სიტუაციაზე მორგების უნარი. მეათე კლასში, სამოქალაქო განათლებაში, მოსწავლეები სწავლობენ გამოძიების პროცესის წარმართვას, ამ საკითხს მათ სახელმძღვანელოში კონკრეტული გაკვეთილები ეთმობა. საკითხების თეორიულად შესწავლის და მოსწავლეთა დიდი ინტერესის გამო, დავუკავშირდი საქართველოს გენერალურ პროკურატურას, გავაცანი ჩვენი მიზანი, თეორიულად ნასწავლის პრაქტიკულად განხორციელების შესახებ, პროკურატურამ მოგვცა ამის საშუალება – მოსწავლეებმა დადგეს სიმულაციური გამოძიება, პროკურორების დახმარებით. მათ გაინაწილეს პროკურორების, კრიმინალისტების, გამომძიებლების, დაზარალებულების, მოწმეების როლები და თანმიმდევრობით გაიარეს გამოძიების მთლიანი პროცესი. მოსწავლეები მათზე მიმაგრებულმა პროკურორებმა გადაამზადეს ორი დღის განმავლობაში, ხოლო მესამე დღეს დაიდგა კონკრეტულად გამოძიების პროცესი, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად იმუშავეს და გამოიძიეს კონკრეტული საქმე. მათ გათავისებული ჰქონდათ საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა, ისწავლეს დაკითხვის ოქმების შედგენა, დაკითხვის წარმართვა, დამნაშავის ამოცნობის ჩატარება და საგამოძიებო პროცესის სხვა ბევრი ნიუანსი.

შეფასების რუბრიკა

	კრიტერიუმი	**ქულა**
1	შეუძლია ექსპერტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის პრაქტიკაში გადატანა	2
2	ითვისებს და ავლენს ქცევის ახალ ფორმას	2
3	შეუძლია თეორიული მასალის გამოყენება საკუთარი როლის შესრულების დროს	2
4	აფასებს სიტუაციას სწორად და არის აქტიური	2
5	ავლენს საერთო მიზანზე ორიენტირების და გუნდური მუშაობის უნარებს	2

პროექტი – მიზანი: მოსწავლეებს განუვითარდეთ პრობლემის ინდენტიფიცირების, ზოგადად, თავიანთ გარემოზე დაკვირვების წარმოების და შეფასების უნარები, კანონმორჩილების, უფლებების დაცვის, არსებული ცნობიერის შეფასების კუთხით. პროექტზე მუშაობა მოსწავლეებში ავითარებს შემდეგ კომპეტენციებს: ციფრული, სემიოტიკური, სწავლის სწავლა, სოციალური და სამოქალაქო, ახალი ინიციატივების და წარმოების, ეკოლოგიური და სხვა უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს: სხვადასხვა გარემოში კონსტრუქციული კომუნიკაციის უნარი, განსხვავებული აზრის გამოხატვა და გაგება, მოლაპარაკებებისას დარწმუნების მიღწევის და თანაგრძნობის გამოწვევის უნარი, თანამშრომლობა საერთო მიზნის მისაღწევად, თავდაჯერებულობა და პირდაპირობა, მრავალფეროვნების დაფასება, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ადამიანის უფლებების სრული პატივისცემა და დაცვა; ინფორმაციის მოძიების, შეგროვების და საჭიროებისამებრ გამოყენების უნარები.

პროექტის შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	**მისაღები – 1 ქულა**	**ოსტატური – 2 ქულა**
მიზანი და ორგანიზება	მიზანი არის სუსტად გამოკვეთილი. გააზრებულია თანამიმდევრულობა. პრობლემას, მიზანს და განსახორციელებელ აქტივობებს შორის კავშირი ბუნდოვანია.	მიზანი კარგად არის გამოკვეთილი. ფორმატი კარგად ორგანიზებულია. პრობლემას, მიზანს და აქტივობებს შორის კავშირი გამოკვეთილია, რაც ზრდის პროექტის ეფექტურობას.
დაგეგმილი აქტივობები	დაგეგმილი აქტივობები მეტნაკლებად კავშირშია პროექტის მიზანთან. დაგეგმილია ორი ან ორზე მეტი აქტივობა. აქტივობები უფრო მეტად თეორიული სახისაა.	დაგეგმილი აქტივობები კარგად არის დაკავშირებული მიზანთან. აქტივობები არის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის.
კვლევა	კვლევა დაგეგმილია ან გამოყენებულია რომელიმე ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. გამოყენებულია შეზღუდული რაოდენობის წყაროები, ანალიზი მისაღებია.	კვლევა კარგად არის დაგეგმილი, გამოყენებულია სანდო წყაროები, ანალიზი სიღრმისეულია.
თვალსაჩინოებები და შემოქმედებითობა	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან ნათელია, მაგრამ ერთფეროვანია. ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები, რაც პროექტის უკეთ წარმოჩენაში ეხმარება.	გამოყენებულია მრავალფეროვანი შინაარსის შესატყვისი და აკურატულად შესრულებული თვალსაჩინოებები. ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის.
დასკვნები და შედეგები	მოსალოდნელი შედეგები მეტნაკლებად შესაბამისობაშია მიზანთან. დასკვნები ჩამოყალიბებულია, მაგრამ არ არის მკაფიო. შექმნილია პროდუქტი, თუმცა არ არის გათვლილი უმრავლესობაზე.	მოსალოდნელი შედეგები შესაბამისობაშია მიზანთან. დასკვნები ჩამოყალიბებულია და მკაფიოა. შექმნილია პროდუქტი, რომელიც გათვლილია უმრავლესობაზე.

ამგვარად, მე შემოგთავაზეთ მხოლოდ მცირე ნაწილი იმ მრავალფეროვანი შემაჯამებლები ტიპებისა, რომელთა გამოყენება შეუძლია სამოქალაქო განათლების მასწავლებელს და რომელიც საშუალებას მისცემს, ობიექტურად შეაფასოს არა მარტო მიღებული ცოდნა, არამედ გამომუშავებული უნარები და ღირებულებები.

ეკა სიმსივე
თბილისის №4 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016წწ);
2. ინა იმედაშვილი. ჟურნალი „მასწავლებელი“.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები

ერთ-ერთ ტრენინგზე – „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების“ I მოდულზე – გავეცანი „სასწავლო გაჩერებებით სწავლების“ სპეციფიკას. ეს მეთოდი კონსტრუქტივისტული სწავლების კარგი მაგალითია. ამიტომაც გადავწყვიტე, მისი გამოყენება ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში.

გაკვეთილის გეგმა

საგანი: ისტორია
გაკვეთილის თემა: აფროამერიკელთა ბრძოლა თანასწორობისათვის, მარტინ ლუთერ კინგი
გაკვეთილის ტიპი: ინოვაციური გაკვეთილი
სკოლა: სსიპ თელავის №6 საჯარო სკოლა
კლასი/საფეხური: VIII/II
მოსწავლეთა რაოდენობა: 11 (სსსმ მოსწავლე არ არის)
მასწავლებელი: ეკა კობიაშვილი
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე გაეცნოს მარტინ ლუთერ კინგის მოღვაწეობას, გააანალიზოს და იმსჯელოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზებზე, შეადაროს და შეაფასოს დესეგრეგაციის მნიშვნელობა. მოსწავლეს უნდა განუვითარდეს მსჯელობის, ანალიზის, შეფასების, თანამშრომლობის უნარები.
ისტ.VIII.11. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ადამიანის უფლებების საფუძვლები და მათი განვითარების ისტორიული პირობები.
ისტ.VIII.12. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობისთვის აუცილებელი პირობები.
გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი:
მოსწავლე გაეცნო მარტინ ლუთერ კინგის მოღვაწეობას, აანალიზებს და მსჯელობს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზებზე.
რესურსი: კომპიუტერი, პროექტორი, დაფა, ფლიფჩარტი, თაბახის ფურცელი, მარკერები, ლექსიკონი, სახელმძღვანელო: 1. ისტორია 8, კიკნაძე, გაჩეჩილაძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა; 2. ისტორია 8, მეძმარიაშვილი, პაპასკირი, გამომცემლობა „კლიო“.
აქტივობა 1. საორგანიზაციო საკითხები (2წთ)
სიის ამოკითხვა, მიზნის და შეფასების რუბრიკის გაცნობა
გამოწვევა
აქტივობა 2. განსხვავების პოვნა (5წთ)
(მასწავლებელი მოსწავლეებს აკრავს სხვადასხვა ფერის „სტიკერებს“, მხოლოდ ერთ-ერთ მოსწავლეს ექნება განსხვავებული ფერი. მოსწავლეები ჯგუფდებიან ფერის მიხედვით. განსხვავებული ფერის მოსწავლემ, რომელიც მარტო დარჩა, უნდა ახსნას, რა იგრძნო განცალკევებისას).
აქტივობა 3. მინი-ლექცია (3წთ)
მოსწავლეებთან ინტერაქციით მასწავლებელი ხსნის სეგრეგაციას და დესეგრეგაციას.
აქტივობა 4. გაჩერებები (25წთ) (მეთოდი – გაჩერებებით სწავლება).
(მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას გაჩერებებით სწავლების შესახებ, სთხოვს დაჯგუფდნენ და განლაგდნენ გაჩერებებზე, თითოეული ჯგუფი ხვდება სამივე გაჩერებაზე, თითოეულ გაჩერებაზე (1-2-3) უნდა დაყონ 8 წუთი).
გაჩერება 1 – ეცნობიან ტექსტს სახელმძღვანელოდან, ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ ჯგუფში და ავსებენ კროსვორდს ***აფროამერიკელთა ბრძოლა თანასწორობისთვის*** (იხ. ქვემოთ).
გაჩერება 2. უყურებენ ვიდეორგოლს და შეარჩევენ მათთვის საინტერესო, სულ ცოტა, სამ ფაქტს, რამაც დააინტერესათ, მნიშვნელოვნად ჩათვალეს და გაუზიარებენ ჯგუფს.
https://www.youtube.com/watch?v=-RIOEwwnIjk&t=33s
გაჩერება 3. „ისლამის ერის“ ლიდერის, მალკოლმ იქსის ბრძოლის გზები.
მოსწავლეები თეზისებად ინიშნავენ, ბრძოლის რა მეთოდებს იყენებდა მალკოლმ იქსი.
• თუ დავალების შესრულების შემდეგ, მოსწავლეებს დარჩათ თავისუფალი დრო მორიგ გაჩერებამდე გადასაადგილებლად, მიდიან ალტერნატიულ გაჩერებაზე.
ალტერნატიული გაჩერება 1: პოსტერის შექმნა-მიწოდება სეგრეგაციის წინააღმდეგ.
ალტერნატიული გაჩერება 2: ვიდეორგოლი მარტინ ლუთერ კინგის ბიოგრაფიის შესახებ.
https://www.youtube.com/watch?v=2aLa6UKc4W4&t=2s
აქტივობა 5. პრეზენტაცია-შეჯამება
თითოეული გუნდი პრეზენტაციას აკეთებს და აჯამებს საკითხს (პრეზენტაციის დროს გუნდები ადარებენ მარტინ ლუთერ კინგის და მალკოლმ იქსის ბრძოლის გზებს. რომელ გზას მიანიჭებენ უპირატესობას, ასაბუთებენ არჩევანს).
აქტივობა 6. საშინაო დავალება (2წთ)
დაწერეთ თხზულება „მარტინ ლუთერ კინგის ოცნება“ ან მოიძიეთ ინფორმაცია ნობელის პრემიის ლაურეატთა შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია ერთ-ერთ მათგანზე.
აქტივობა 7. მოსწავლეთა შეფასება (2წთ)
ანალიტიკური შეფასების რუბრიკის გამოყენებით, აანალიზებს და მსჯელობს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზებზე, აფასებს დესეგრეგაციის მნიშვნელობას. მოსწავლეს განუვითარდება მსჯელობის, ანალიზის, შეფასების უნარები.

ანალიტიკური შეფასების სქემა

კრიტერიუმები	სრულად 10-9	ნაწილობრივ 8-7	მცირედ 6-5	ვერ ახერხებს 4-3
აანალიზებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზებს.				
მსჯელობს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზებზე.				
აფასებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მნიშვნელობას.				

ლექსიკონი
სეგრეგაცია – რომელიმე ჯგუფის იძულებით გამოყოფის პოლიტიკა.
დესეგრეგაცია – სეგრეგაციის მოსპობა.
ისლამის ერი – რელიგიური მოძრაობა აშშ-ში, შეიქმნა 1930 წელს.
პასტორი – პროტესტანტი მღვდელი.

ეკა კობიაშვილი
სსიპ თელავის №6 საჯარო სკოლის ისტორიის და სამოქალაქო განათლების წამყვანი მასწავლებელი



კროსვორდი
აფროამერიკელთა ბრძოლა თანასწოროგისთვის

ჰორიზონტალურად:
4. რაიმე ნიშნით გამოყოფა.
6. სამხრეთ აშშ-ს ერთ-ერთი რასისტული შტატი.

შვეულად:
1. კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი ბრძოლა.
2. სამხრეთ შტატების რასისტული ორგანიზაცია.
3. აშშ-ს პრეზიდენტი, რომელმაც მიიღო კანონი აფროამერიკელთა თავისუფლების შესახებ.
5. აფროამერიკელთა თანასწოროგისათვის ბრძოლის ლიდერი.

თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება დაწყებით კლასებში

დღეს, როგორც არასდროს, სკოლის მიზანია, სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ისე წარმართვა, რომ მოსწავლეები მიეჩვიონ არა მარტო შემოქმედებით მუშაობას, არამედ სწავლისაგან თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებასაც.

დროის მოთხოვნა სცილდება არსებულ სტანდარტებს. იგი სირთულეების წინაშე გვაყენებს, გვაიძულებს დავფიქრდეთ, როგორ მოვერგოთ, რა შევცვალოთ, რომ სწავლებისა და აღზრდის პროცესი საინტერესო, მიზნობრივი და შედეგზე ორიენტირებული იყოს; ჩამოვაყალიბოთ ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების უნარის მქონე პიროვნება.

თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება მოსწავლეს, საზოგადოებას უქმნის უსაფრთხო გარემოს და მოზარდს აჩვევს დროის სწორად განკარგვას; ხელს უწყობს ინტეგრაციას, თანამშრომლობას, უყალიბებს დისკუსიის, კრიტიკული აზროვნების, საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომის, პრაქტიკული და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარებას; აჩვევს საზოგადოებასთან ურთიერთობას, ეთიკის და საკანონმდებლო წეს-ჩვეულებათა სწორად აღქმას. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გარეშე კი, სასწავლო პროცესი სრულყოფილი ვერ იქნება.

აუცილებელია მოსწავლე, სკოლაში და სკოლის გარეთაც, სწავლისაგან თავისუფალ დროს, ღებულობდეს ისეთ სულიერ საზრდოს, რომელიც ხელს შეუწყობს მისი გონივრული ჰორიზონტის გაფართოებას, ფიზიკური ძალების აღდგენას, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას.

მოსწავლეთა მიერ თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან კვლევამ მიჩვენა, რომ მასზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების წინსვლა, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის მომზადება. თავისუფალი დროის პრობლემებისადმი ზერელე დამოკიდებულებას მრავალი ახალგაზრდისა თუ ზრდასრული ადამიანისთვის გაუმრუდებია გზა და საბრალდებო სკამამდე მიუყვანია. აქედან გამომდინარე, ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც აღსაზრდელს უხდება ყოფნა. მოზარდი ყალიბდება როგორც სკოლის კედლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ის, თუ როგორ გარემოში ცხოვრობს აღსაზრდელი, დიდად განსაზღვრავს არა მარტო მისი თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების ხასიათს, არამედ მისი პიროვნული სრულყოფის მიმდინარეობასაც. თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სკოლის სასწავლო აღმზრდელობით მუშაობასთან.

ვცდილობ, პირველი კლასიდანვე ჩავუნერგო თითოეულ მოსწავლეს საქმისადმი, დისციპლინისა და წესრიგისადმი შეგნებული დამოკიდებულება; არასასწავლო დროს მივცე აღმზრდელობითი მუშაობის მრავალფეროვანი აქტივობები: მათთვის საინტერესო ლიტერატურის მითითება, ხელოვნებით დაინტერესება (ძერწვა, ხატვა, აპლიკაცია, ქსოვა), ეზოს დასუფთავება, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ჭამისა და ძილის საათები.

დაკვირვებამ მიჩვენა, რომ თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების ჩვევების გამომუშავებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის ცხოვრების შინაგანაწესი, გარემო, რომელშიც იზრდება, საერთო განწყობილება როგორც ოჯახში, ასევე ეზოსა და ქუჩაში.

ვაკვირდებოდი ჩემს მოსწავლეებს. შევისწავლე თითოეული მათგანის დღის რეჟიმი და გავარკვიე, ვინ როგორ იყენებს თავისუფალ დროს. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მოსწავლე დროს, ძირითადად, თამაშში ან კომპიუტერთან ატარებს, ხოლო საღამოს დარჩენილი დრო მეცადინეობისთვის აღარ კმარა, შედეგი, შესაბამისად, მათ აკადემიურ მოსწრებაზე აისახება. ასეთი მოსწავლეები ჩამორჩებიან სწავლაში, უქვეითდებათ მოტივაცია, უჭირთ კომუნიკაცია.

გადავწყვიტე, მათ დროის სწორად გამოყენების უნარის გამომუშავებაში დავხმარებოდი. ერთად შევიმუშავეთ დღის რეჟიმი, გავითვალისწინეთ მათი უნარები და ინტერესები. დავაწესეთ კონტროლი რეჟიმის შესრულებაზე. მოსწავლეები ყოველდღიურად მაბარებდნენ ანგარიშს, რომელი პუნქტი შეასრულეს უფრო ადვილად და რომელი გაუჭირდათ. მიღწეული წარმატებების ნახალისება, ჩემი მხრიდან, სტიმულს აძლევდა ბავშვებს და ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლები დარღვევები ჰქონოდათ. ასე თანდათანობით, მონდომება ჩვევაში გადაიზარდა და, საბოლოოდ, მივაღწიე იმას, რომ მოსწავლეებმა უკვე იციან რაში და როგორ გამოიყენონ თავისუფალი დრო.

გაკვეთილების ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული მათ შორის შესვენების სწორ ორგანიზაციაზე. სწავლების შეხამება დასვენებასთან მოსწავლეთა შრომისუნარიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი პირობაა. დასვენების შემდეგ მოსწავლეთა სასწავლო განწყობის აღდგენას, შესაბამისად, დიდი დრო სჭირდება. შესვენებათა შინაარსი გავამდიდრე მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, კარგად მოფიქრებული თამაშებით, ფიზკულტურული ვარჯიშებით, სკოლის ეზოში ხეების დარგვით. გავითვალისწინე მათი ნიჭი და შესაძლებლობები, ვამუშავე კონსტრუქტორის აწყობაზე, გეომეტრიული მოზაიკისგან სხვადასხვა ფიგურების დამზადებაზე, თვითნაკეთი ჭადრაკის დაფით და ფიგურებით. ყოველივე ეს მოსწავლეებს ახალისებს, კარგი განწყობით ბრუნდებიან გაკვეთილზე და გაკვეთილის ხარისხიც უკეთესია.

სასურველია, სკოლაში შეიქმნას სხვადასხვა მოსამზადებელი წრე ყველა სფეროში, სადაც ბავშვები გაკვეთილების შემდეგ დარჩებიან, თავიანთი სურვილის შესაბამისად.

მშობლის როლი დიდია დროის სწორად განაწილებაში. ჩავრთე მშობლებიც, ვესაუბრებოდი, ვაძლევდი მითითებებს, ვარწმუნებდი, რომ ოჯახში ბავშვის აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი შრომაა. ამიტომ, მოსწავლის დღის რეჟიმის შედგენისას, ბავშვის ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აუცილებლად ვითვალისწინებ დროს საოჯახო საქმიანობაში მონაწილეობისთვის. ვარწმუნებ, რომ შრომა განამტკიცებს ჯანმრთელობას, ხელს უწყობს ფიზიკურ განვითარებას, დადებით ზეგავლენას ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობაზე.

ოჯახში შრომაში ჩართულმა ბავშვმა იცის დროის ფასი და მისგან სრულფასოვანი პიროვნება ყალიბდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს არდადეგებისა და გამოსასვლელი დღეების გონივრულ გამოყენებას. გავესაუბრე მოსწავლეებს და მათ მშობლებს. დაკვირვება დავავალე მშობლებს, ვთხოვე, რომ დასვენებისა და არდადეგების დღეები გამოყენებული იქნეს ბავშვის შრომისუნარიანობის აღსადგენად, ჯანმრთელო-

ბის გასაკაჟებლად, რამდენიმე საათი მხატვრული ლიტერატურის კითხვას დაუთმონ, ასევე, ინტელექტუალური და სოციალური უნარების განვითარებას. გამოყონ 10-15 წუთი თავისუფალი დრო სათამაშოდ. თუ ეს არ მოხდა, მცირდება ბავშვის მოტივაცია.

არდადეგებისა და დასვენების დღეებში იზრდება მოსწავლეთა დასწრება კინოსა და თეატრში, სხვა სანახაობაზე, აქაც ჩართული მყავს მოსწავლეთა მშობლები, იცავენ ზომიერებას, თეატრალური წარმოდგენისა და კინოფილმის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მათ ასაკს. საჭიროა, მოსწავლე ყოველთვის იყოს დაკავებული რაიმე საინტერესოთი, ბევრი საშუალებაა ბავშვის დასაინტერესებლად.

დღეს ბევრი მშობელი იმყოფება საზღვარგარეთ. ასეთი ბავშვები ოჯახში მეთვალყურეობის გარეშე რჩებიან. მათთან მეტი მუშაობა და ძალისხმევა მჭირდება, რომ შედეგს მივაღწიო და ავუმაღლო თვითშეფასება.

მოზარდთა უმეტესობა თავისუფალი დროის ძირითად ნაწილს კომპიუტერთან ატარებს. ინტერნეტმა, ფაქტობრივად, შეისრუტა ჩვენი თავისუფალი დრო. ეს პრობლემა გლობალურ პრობლემათა სფეროს განეკუთვნება. დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მოზარდები და ზრდასრულები „კომპიუტერის მსახურები“ არიან.

ვესაუბრე მშობლებს, რომ აკრძალვა შედეგს არ იღებდა, აკრძალვის ნაცვლად, ბავშვებს ინტერნეტის გონივრული გამოყენების ჩვევა უნდა განვუვითაროთ. ინტერნეტს სარგებლობის მოტანაც შეუძლია, ამისთვის მის შესაძლებლობებში გარკვევაა საჭირო. დავინტერესდეთ, რას აკეთებს და ვისთან ურთიერთობს ჩვენი შვილი, გავაკონტროლოთ.

სოციალური ქსელის მეშვეობით, მოზარდები მოიძიებენ მასალას, ურთიერთობენ მშობლებთან, მასწავლებელთან, თანატოლებთან. თუმცა, კომპიუტერთან დიდხანს ჯდომას დამაზიანებელი გავლენა აქვს ბავშვის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვესტუმრეთ სოფლის პედიატრს, ქალბატონ ირმა ბოჭორიშვილს, რომელმაც ბავშვებს აუხსნა და რჩევა-დარიგება მისცა, რომ კომპიუტერთან ხანგრძლივი ჯდომა იწვევს, განსაკუთრებით, მხედველობის დარღვევას და ხერხემლის არასწორ განვითარებას. ბავშვთა ასაკში მხედველობის ორგანო არ არის სრულად ჩამოყალიბებული, ამიტომ მისი დაძაბვა, გადაღლა და მასზე გამოსხივების ზემოქმედება შეიძლება ახლომხედველობის განვითარების მიზეზი გახდეს. ხერხემლის არასწორი ჩამოყალიბება არტერიებში არასწორი სისხლის მიმოქცევის მიზეზი ხდება, რის გამოც ირღვევა ხერხემლისა და თავის ტვინის სისხლით მომარაგება. ყოველივე ამის გამო, შეიძლება, განვითარდეს თავისა და კიდურების ტკივილი.

კომპიუტერთან შეიძლება დავჯდეთ მხოლოდ 20წთ-ის განმავლობაში.

სწავლისგან თავისუფალ დროს, ბავშვი საქმიანობას ინტერესის მიხედვით უნდა ირჩევდეს. ამასთან, ეს საქმიანობა ისეთი უნდა იყოს, რომ მან უმტკივნეულოდ შეძლოს, აიტანოს ის ფიზიკური დატვირთვა, რომელსაც ეს საქმიანობა აკისრებს. როცა, სწავლისაგან თავისუფალ დროს, ბავშვს ისეთი დავალებების შესრულებას ვაიძულებთ, რაც მისთვის შეუძლებელია და მის ინტერესებს არ ემთხვევა, ეს მას შინაგანად ძაბავს, აფერხებს ფუნქციონალურ აქტივობას, მისთვის სასურველი და მისაღები ქცევის განხორციელებას. ბავშვს აღარ აქვს შინაგანი ძალების თავისუფალი ამოქმედების შესაძლებლობა და ცდილობს, გაექცეს ასეთ გარემოს.

ჩვენ, პედაგოგებმა, წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ, როგორ რეაგირებას მოახდენს აღსაზრდელი ამა თუ იმ აღმზრდელობით ღონისძიებაზე და ამ გზით დავგეგმოთ აღმზრდელობითი აქტივობები.

პედაგოგიურმა პრაქტიკამ, კვლევამ, დაკვირვებამ მიჩვენა, თუ მოსწავლე სწორად ანაწილებს და იყენებს თავისუფალ დროს, მისი აკადემიური მოსწრება უკეთესია. ამის მიღწევისთვის საჭიროა მშობელი, მასწავლებელი და ბავშვი ერთად, შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

ციცა მურჯიკნელი
სსიპ გურამ ქარქაშაძის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი

მოზარდებში კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა – პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ფორმა

კრიტიკული აზროვნების უნარი ადამიანისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, არის და იქნება. განათლების სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ XXI საუკუნის ადამიანისათვის ის, უბრალოდ, სასიცოცხლოდ აუცილებელია. ყველასათვის ცნობილია, რომ კრიტიკული აზროვნება აზროვნების მაღალი დონეა, რომელიც თანდაყოლილი უნარი არ არის. იგი საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა პედაგოგების დახმარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ცნება – „კრიტიკული აზროვნება“ სხვადასხვანაირად შეიძლება განიმარტოს, ყველა მათგანს აერთიანებს ერთი რამ: რთული საკითხების გადაჭრისთვის ეფექტური გზების მოძებნის საჭიროება. იმ ექსპერტთა აზრით, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებას იკვლევენ, მოსწავლისთვის რომელიმე საკითხზე მუშაობა მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ის ლოგიკური მიზნისკენ არის მიმართული. როცა მოსწავლეებს სთხოვენ, განიხილონ მიზეზები და წარმოადგინონ საკითხის გადაჭრის გზები, ისინი იწყებენ, კრიტიკული აზროვნების საშუალებით, პრობლემების იდენტიფიცირებას, გაანალიზებასა და გადაჭრას.

აქვე აღსანიშნავია, რომ კრიტიკული აზროვნება არ არის ერთი კონკრეტული უნარი, არამედ სხვადასხვა უნარის გამოყენება იმისთვის, რომ იყო მრავალმხრივი, რაციონალური. ეს არის უნარი, რომელიც ეხმარება ადამიანს სწორი და მართებული ნაბიჯების გადადგმაში, რომ არ გახდეს მანიპულაციების მსხვერპლი, შეძლოს დამოუკიდებლად ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რაც მისთვის ან მის გარშემო მყოფი ადამიანებისთვის სასიკეთო იქნება. აქედან გამომდინარე, საზოგადოებისთვის კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანია.

საგულისხმოა, რომ სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე არ უნდა შემოიფარგლოს მასალის უბრალოდ დამახსოვრება-გაზეპირებით. კერძოდ, ცოდნის დაგროვებასთან ერთად, მან უნდა შესძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და ბოლოს, შეფასება. ამ დროს მოსწავლე არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას, არამედ შეუძლია ქმედება.

აუცილებელია, კრიტიკული აზროვნება მოსწავლეების მიერ შესწავლილ იქნეს მრავალმხრივ კონტექსტში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე საგანი ამ მიმართულებით არ არსებობს. ის უნდა ისწავლებოდეს ნებისმიერი საგნის შემთხვევაში. მაგალითად, როდესაც კონკრეტულ საგანს (მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ქართული, უცხო ენა და ა.შ) ვასწავლით, გვჭირდება დაფიქრება იმაზე, ხომ არ არსებობს საკითხის გადაჭრის ალტერნატიული გზები; ხომ არ შეიძლება კონკრეტული საგანი გამოყენებულ იქნეს სხვა ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად, (ლიტერატურაში კრიტიკული აზროვნება გვეხმარება დავინახოთ სხვადასხვა შრე, რომელსაც ავტორი გვთავაზობს ან ალტერნატიული ინტერპრეტაციები).

კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში საგულისხმოა მასწავლებლის როლი და აქ არ ვგულისხმობთ მხოლოდ საგაკვეთილო პროცესს, არამედ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები დაინტერესდნენ მოსწავლეების მიზნებით, მიღწევებით, მოსაზრებებით სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში, გაკვეთილების მიღმაც. მაგალითად, არაფორმალურ გარემოში ან/და როდესაც დერეფანში, ეზოში მასწავლებელი შეხვდება მოსწავლეს და აქვს მხოლოდ რამდენიმე წუთი, უკეთესი იქნება, თუ მას დაელაპარაკება არა მხოლოდ იმის შესახებ, რასაც ასწავლის, არამედ ზოგადად სკოლაში თუ მის გარეთ არსებულ მოვლენებზე, მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მასწავლებელი უნდა იყოს მზად, უპასუხოს მოსწავლისთვის საინტერესო შეკითხვებს და არც ერთი საკითხი უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. ამასთან, უმთავრესია, რომ მასწავლებლის ტონი იყოს მეგობრული, მოსწავლემ იგრძნოს, რომ მოსაუბრეს გულწრფელად აინტერესებს მისი აზრი.

მასწავლებელი მრავალმხრივად უნდა აფასებდეს იმას, რასაც ასწავლის. შეფასებისას არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ „ყოჩაღის“ წერით ან კომენტარით – „ეს რა ცუდად შეგისრულებია“, თითოეული შეფასებისას მკაფიოდ უნდა ჩანდეს რას აკეთებს მოსწავლე კარგად ან ცუდად.

კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებელი აზროვნებაა და თუ მასწავლებელს სასწავლო პროცესი აგებული აქვს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, მაშინ ისეთი აქტივობები უნდა გამოიყენოს, რომლებიც თითოეულ მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი იდეების, შეხედულებების და შეფასებების სხვებისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებაში.

სასურველია, მოსწავლეებს არ შევთავაზოთ მხოლოდ მზა პასუხები. ყველაზე მარტივი საკითხებიც კი, როგორც ამოცანა ან/და გადასაჭრელი პრობლემა, ისე უნდა წარვუდგინოთ, რომ თავად გადაჭრან. მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, გამოთქვან საკუთარი აზრი, გამოსცადონ საკუთარი სტრატეგია, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მასწავლებელს არ მიაჩნდეს ეს ვერსია საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზად. შესაძლოა პრობლემის მოგვარების გეგმა სულაც არ იყოს სრულყოფილი, მაგრამ მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მოსწავლეებს მოტივაციას უმაღლებს პრობლემების გადაჭრის საკუთარი მცდელობები. პედაგოგი უნდა ეხმარებოდეს მათ, გაიხსენონ და გააანალიზონ ის, რაც უკვე იციან მოცემული თემის ირგვლივ, მათ ხელშეწყობა უნდა იგრძნონ ზეპირი და წერითი სამუშაოების მეშვეობით, შექმნან ნაცნობი კონტექსტი ახალი ინფორმაციის ასათვისებლად და საკუთარი მოსაზრებების სხვებისთვის გასაზიარებლად. შესაძლოა, მოსწავლეებს ძიების პროცესში დახმარება დასჭირდეთ; პედაგოგმა უნდა აუხსნას, რომ არ არსებობს ერთადერთი და შეუცდომელი წყარო. ერთი და იმავე საკითხის შესახებ რამდენიმე წყაროდან ინფორმაციის მიღებით მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ხშირად ეს ინფორმაცია ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია.

მასწავლებელი კარგად უნდა აცნობიერებდეს მსჯელობის უნარის მნიშვნელობას და ხელს უწყობდეს მის განვითარებას სწავლის პირველივე წლებში. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესწევთ უნარი, ჩამოაყალიბონ საკმაოდ რთული მოსაზრებები, რომლებიც ხშირად მასწავლებელთა მოლოდინს აჭარბებს. ამის მიზეზი, გარკვეულწილად, იმაში მდგომარეობს, რომ ადრეულ ასაკში ბავშვები ნაკლებად არიან შეზღუდული წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულებებით, უფრო გახსნილები არიან სამყაროს შესაცნობად და, უმრავლეს შემთხვევაში, გულწრფელად სჯერათ, რომ ყველაფერი შესაძლებელია.

მასწავლებლის და მოსწავლეების აზრთა ეს ურთიერთგაცვლა, მომავალში, ხელს უწყობს დასაბუთების ხელოვნების გაგებასა და დაუფლებას.

ამრიგად, როდესაც მოსწავლე მრავალფეროვან გონებრივ (შემეცნებით) აქტივობებშია ჩართული, სხვადასხვა სააზროვნო უნარებს იყენებს, რომ გადაჭრას ამოცანა, რომელსაც ითხოვს მისგან მასწავლებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა მრავალფეროვან სააზროვნო მოქმედებებში ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სასწავლო მასალა ამის საშუალებას იძლევა.

მოსწავლე მაშინაა წარმატებული და მოქნილი აზროვნების მქონე, თუ მას შეუძლია ერთგვარ სიტუაციაში ნასწავლის სხვაგვარ, განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება. ამას უწოდებენ ტრანსფერს. დ. უზნაძის აზრით (უზნაძე, 1967), აზროვნებას ახასიათებს ტრანსპოზიციის ან გადატანის უნარი. მას შემდეგ, რაც მოსწავლე გადაჭრის ამოცანას, მას უკვე აღარ უჭირს ანალოგიური ამოცანის გადაჭრა: „აზროვნებას ერთხელ გადაჭრილი ამოცანის ხერხი ანალოგიურ ახალ ამოცანაზე გადააქვს“. მაგალითად, მათემატიკაში ნასწავლის გამოყენება სხვა გაკვეთილზე (ფიზიკის) ან სკოლის გარეთ (სუპერმარკეტში). განათლების სპეციალისტები დღესაც მუშაობენ და არკვევენ საკითხს – რა შემთხვევაში ხდება ან არ ხდება ტრანსფერი. მაგალითად, ქიმიის ან ბიოლოგიის მასწავლებლები ხშირად საუბრობენ, რომ მათ თავიანთ გაკვეთილებზე მოსწავლეებისთვის მათემატიკის სწავლება უხდებათ, მაშინაც კი, როდესაც ეს მოსწავლეები კარგად სწავლობენ მათემატიკას. ასევე, ქართულში ნასწავლი გარმატიკული წესების გამოყენების უნარი ხშირად არ ვლინდება სხვა საგნის თემის წერისას. გარკვეული უნარის თავდაპირველი დაუფლება კონკრეტული შინაარსის საფუძველზე ხორციელდება. თუ უნარს ვავითარებთ მხოლოდ ერთი ტიპის შინაარსთან მიმართებით და არ ვითვალისწინებთ იმას, რომ ეს უნარი მოსწავლემ სხვა შინაარსთან მიმართებითაც უნდა გამოიყენოს, მაშინ მოსწავლეს ტრანსფერის განხორციელება გაუჭირდება.

გამოყოფენ ტრანსფერის ორ ძირითად ფორმას. ერთ შემთხვევაში, ტრანსფერი ხორციელდება გაკვეთილზე განხილული თემის ანალოგიურ თემებთან (Perkins, 1992). მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, ნასწავლი საკითხი დაუკავშიროს მსგავს თემებს სხვა სფეროებში. ტრანსფერის განხორციელება რთული არ არის. მასწავლებელმა გარკვეული დრო უნდა დაუთმოს საკითხის ფართო განხილვას და მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილოს სხვა სფეროებში არსებულ ანალოგიურ თემებზე, მოვლენებზე და ა.შ.

ტრანსფერის მეორე ფორმის დროს, ხდება შესასწავლი საკითხის ძირითადი პრინციპების ღრმად გაგება (Perkins, 1992). ამის განხორციელება შესაძლებელია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით. პრობლემაზე მუშაობით, მოსწავლეები იძენენ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომლებიც შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ სხვა პრობლემის გადაჭრის დროს. მაგალითად, ლიტერატურის მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს ლიტერატურულ ნაწარმოებში ფაქტებისა და ავტორის დამოკიდებულების ამოცნობას. მასწავლებელმა იმავე ამოცანის შესრულება უნდა დაავალოს მოსწავლეს სხვა ტიპის ტექსტზე, მაგალითად, ისტორიულ წყაროზე. ზემოთ განვიხილეთ სხვადასხვაგვარი თეორიული და პრაქტიკული მიდგომები და სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აზროვნების აქტივაციას. მასწავლებლის მიერ სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და, აქედან გამომდინარე, შეკითხვების დასმა სხვადასხვანაირად შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ მისი მთავარი მიზანია საკლასო ოთახში აზროვნების კულტურის შექმნა და მისი განვრცობა საკლასო ოთახის გარეთაც. მან უნდა შეამჩნიოს ის მომენტები, როდესაც მოსწავლეები დუნდებიან და აქტიურად არ არიან ჩართული აზროვნების პროცესში. ეს პირველი ნაბიჯი იქნებოდა მოსწავლეების აზროვნების პროცესების გააქტიურებაში. მართლაც, მოსწავლეები ბევრს სწავლობენ იმ საკლასო კულტურიდან, სადაც აზროვნების პროცესები ხილვადია, ანუ თვალსაჩინოდ მიმდინარეობს. კერძოდ, ამგვარ გარემოში მოსწავლეები აზრს თავისუფლად გამოთქვამენ, სააზროვნო ლექსიკონს იყენებენ, ალტერნატიულ იდეებსა და ინტერპრეტაციებს აყალიბებენ, დებატებში, დისკუსიებში, როლურ თამაშებში მონაწილეობენ, პროექტებს ახორციელებენ და ა.შ. შესაბამისად, უფრო მეტი ინტერესით სწავლობენ და ამყარებენ ლოგიკურ კავშირებს სასკოლო ცხოვრებასა და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის. ყოველივე ამის შედეგად კი, მოსწავლეები უფრო გონებამახვილ და მოაზროვნე პიროვნებებად ყალიბდებიან.

ამრიგად, ადამიანისთვის აზროვნების სწავლება შესაძლებელია: ამ შემთხვევაში, ვგულისხმობთ ადამიანის მიერ გარკვეული სტრატეგიების და დამოკიდებულებების სწავლებას, რომლებიც აძლიერებს მოსწავლის სააზროვნო უნარ-ჩვევებს. თუმცა, უბრალო პრაქტიკა (თანამშრომლობითი სწავლება, კლასის დისკუსია და ა.შ.) არ არის საკმარისი; ეს უნდა იყოს გააზრებული პრაქტიკა, რომლის დროსაც მოსწავლეები ფიქრობენ თავიანთი აზროვნების შესახებ, რომელიც არა მარტო შინაარსს მოგვითხრობს, არამედ იძლევა აზროვნების ამოქმედების, მოსწავლის მიერ ამოცანის გადაჭრის სხვადასხვა სტრატეგიების ათვისებისა და ამ სტრატეგიების სხვადასხვა მასალაზე, შინაარსზე გავარჯიშებისა და რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენების საშუალებას.

ნანა ჯალალონია
სსიპ აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, წამყვანი მასწავლებელი

კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ორგანულ სამყაროზე

კლიმატს უდიდესი გავლენა აქვს სიცოცხლის ყველა ფორმაზე. ამა თუ იმ სახეობის გადარჩენა და გამრავლება დამოკიდებულია ლოკალურ კლიმატურ პირობებთან ადაპტაციაზე. კლიმატურმა ცვლილებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ზოგიერთი სახეობის განვითარება-გამრავლებას, ხოლო ზოგიერთი სახეობების – გადაშენებას. დედამიწაზე უკვე დაიწყო მნიშვნელოვანი კლიმატური ცვლილებები, რომელიც გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებზე. მეცნიერებისთვის დიდ გამოწვევად რჩება, განსაზღვრონ რა ცვლილებებს გამოიწვევს ორგანულ სამყაროზე კლიმატის ცვლილება.

ეკოლოგებისთვის ცნობილია, რომ კლიმატის ცვლილებები ძალიან დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმების გავრცელებასა და რაოდენობაზე. კლიმატში იგულისხმება არა მხოლოდ ტემპერატურა და ნალექების რაოდენობა, არამედ მრავალი ეკოლოგიური ფაქტორი, მათ შორის: ბუნების წლიური და სეზონური მოვლენები, ასევე, ექსტრემალური მოვლენები – წყალდიდობები, შტორმები, გვალვები და ა.შ.

კლიმატს, ძირითადად, აყალიბებს ატმოსფერული ჰაერის ცირკულაცია, თბილი და ცივი დინებების მოძრაობა დედამიწის ზედაპირზე. ამ მოძრაობის შედეგად, შეგვიძლია, დავადგინოთ ტემპერატურა და ტენიანობა თითქმის ყველა რეგიონში. შედარებით უმნიშვნელო ცვლილება, რომელიც საშუალო ტემპერატურის მომატებას გულისხმობს, დიდ გავლენას ახდენს ლოკალურ კლიმატზე. დედამიწაზე ტემპერატურამ 1 გრადუსით მოიმატა, მაგრამ ამ, თითქოსდა უმნიშვნელო, ცვლილებამ ლოკალური კლიმატის უფრო მნიშვნელოვანი ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს.

ბიოლოგების ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა, გაიგონ როგორ იმოქმედებს კლიმატის ცვლილება არსებულ ცოცხალ სამყაროზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საჭიროა, ჯერ გავიგოთ როგორ არის დამოკიდებული თითოეული სახეობა კლიმატზე და როგორ რეაგირებენ ისინი მის ცვლილებებზე. შემდეგ საჭიროა აღნიშნული ინფორმაციის ექსპერიმენტებში ინტეგრირება. ეს საშუალებას მისცემს მეცნიერებს, ივარაუდონ ცოცხალი სამყაროს მომავალი, კლიმატური ცვლილებების ფონზე.

ტემპერატურა და ტენიანობა კლიმატის ის კომპონენტებია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზმებზე. ტემპერატურა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ პროცესებზე, რადგან ქიმიური რეაქციის წარმართვას ოპტიმალური ტემპერატურა სჭირდება. როდესაც ტემპერატურა ოპტიმუმზე მაღალი ან დაბალია, მცირდება ფიზიოლოგიური პროცესები. ასევე, ფიზიოლოგიური პროცესების წარმართვა დამოკიდებულია წყლის ბალანსზე. თითოეული ცოცხალი ორგანიზმის მთავარი გამოწვევაა, შეინარჩუნოს წყლის და ტემპერატურის ბალანსი, როდესაც გარემო არის ძალიან მშრალი, ან ტენიანი და ძალიან ცივი, ან ცხელი. თითოეული ორგანიზმი ადაპტირებულია გარკვეულ გარემოსთან, რომ გადარჩეს რთულ კლიმატურ პირობებში. ისინი არა მხოლოდ ტემპერატურასთან, ტენიანობასთან ან სხვა გარემო პირობებთან არიან ადაპტირებულები, არამედ სეზონურ კატაკლიზმებთანაც და სხვა ტიპის ექსტრემალურ შემთხვევებთანაც. ზოგიერთი ცხოველი ან ფრინველი, წელიწადის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას ცხოვრობს, მაგალითად, გადამფრენი ფრინველები. ზოგიერთ ცხოველს და მცენარესაც შეუძლია შეწყვიტოს აქტივობა, როდესაც კლიმატი არის ძალიან მკაცრი, მაგალითად, გადავიდნენ ანაბიოზურ მდგომარეობაში.

გარემოს ტემპერატურის ცვლილება გავლენას ახდენს ისეთ ცხოველებზე, რომელთაც შეუძლიათ სხეულის ტემპერატურის რეგულირება. ასეთები არიან, ძირითადად, ძუძუმწოვრები და ფრინველები. როდესაც გარემოს ტემპერატარა მნიშვნელოვნად ეცემა, სხეულის ტემპერატურასთან შედარებით, ცხოველებს უწევთ დამატებითი ენერგიის ხარჯვა, რათა შეინარჩუნონ სხეულის ტემპერატურა. თუ ამ დროს ცხოველმა ვერ შეძლო თბილ გარემოში გადასვლა ან საჭირო ენერგიის მიღება, დაიღუპება. იგივე ხდება, როდესაც გარემოს ტემპერატურა იზრდება – ცხოველები ხარჯავენ დამატებით ენერგიას, წყალს, რათა გაგრილდნენ. თუ გარემოს ტემპერატურა ძალინ გაიზრდება, მაშინ ცხოველები ვეღარ შეძლებენ სხეულის ტემპერატურის რეგულაციას და დაიღუპებიან.

გარემოს ტემპერატურის ცვლილება ძლიერ გავლენას ახდენს ექტოთერმულ ორგანიზმებზე, როგორებიცაა: მწერები, ამფიბიები, რეპტილიები და სხვ. მათ არ შეუძლიათ სხეულის ტემპერატურის რეგულაცია გარემოს ტემპერატურისაგან დამოუკიდებლად. ასეთ ორგანიზმებში ფიზიოლოგიური პროცესები, მთლიანად, დამოკიდებულია მოცემულ დროში გარემოს ტემპერატურაზე. მკაცრ გარემო პირობებში ასეთი ორგანიზმებისთვის მნიშვნელოვანი ადაპტაციაა ანაბიოზურ მდგომარეობაში გადასვლა. ეს მათ, არახელსაყრელი გარემო პირობების დროს, გადარჩენაში ეხმარებათ. როდესაც მათთვის ხელსაყრელი გარემო პირობები დადგება, კვლავ უბრუნდებიან აქტიურ ფიზიოლოგიურ პროცესებს.

ისე, როგორც სხვა ორგანიზმების, მცენარეების ფიზიოლოგიური პროცესებიც დაკავშირებულია ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილებაზე. ეს ორი ფაქტორი ძლიერ გავლენას ახდენს ისეთ მნიშვნელოვან პროცესზე, როგორიცაა ფოტოსინთეზი. მცენარეებს შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ არეგულირონ შინაგანი ტემპერატურა, ამიტომ მრავალი მათგანი, მკაცრი კლიმატური პირობების დროს, მსვენებარე მდგომარეობაში გადადის.

ფაქტია, რომ დედამიწაზე კლიმატი მარადიულად იცვლება. კლიმატის ცვლილება ლოკალურად მოქმედებს სიცოცხლის ფორმებზე. ევოლუციის პროცესში, სახეობების ნაწილს ჩამოუყალიბდა გარკვეული ადაპტაციები და გადარჩა, რომელსაც არ ჩამოუყალიბდა შესაბამისი ადაპტაცია, გადაშენდა. ისე როგორც ათასწლეულების მანძილზე, ამჟამინდელი კლიმატური ცვლილებები გამოიწვევს გარკვეული სახეობების გადაშენებას და ახალი სახეობების წარმოშობას. სწრაფმა კლიმატურმა ცვლილებებმა გარკვეული სახეობები უკვე დააყენა გადაშენების საფრთხის წინაშე. უახლოესი ათწლეულების განმავლობაში, გაურკვეველია, გადაშენდებიან თუ გაუძლებენ ეს ორგანიზმები გარემოს ცვლილებას. ნათელია, რომ თუ რომელიმე სახეობა გადაშენდება, ის ლოკალური ეკოსისტემის ცვლილებასაც გამოიწვევს, რადგან ეკოსისტემაში სახეობები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და ერთი სახეობის გადაშენება სხვა სახეობებზეც ახდენს გავლენას.

ნატო შათირიშვილი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. Biological impacts of climate change, John P McCarty, Lareesa Wolfenbarger, James A Wilson, 15th March 2009;
2. ბიოლოგია. ნილ კემპბელი, ჯეინ ბ. რისი, მე-7 გამოცემა.

ერთი ტექსტის დამუშავების გზა

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, მრავალ პედაგოგიურ საკითხთან ერთად, უნარების ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით გათვალისწინებულ თანმიმდევრულ განვითარებას გულისხმობს და მოითხოვს. ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, რომ ყოველი გაკვეთილი გამომდინარეობდეს წინადან და დაშენებისა და განვრცობის საშუალებას იძლეოდეს. ხშირად მასწავლებლებს უჭირთ ერთი ტექსტის მრავალმხრივი დამუშავება, ამიტომ შემოიფარგლებიან მისი შინაარსის თხრობით. არადა მნიშვნელოვანია, თითოეული ტექსტი დამუშავდეს დეტალურად, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ პირობისეული ცოდნა და გამოიყენონ ის თავდაჯერებულად. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის წინაშე დგას, ენობრივი საკითხებია, რომელთა სწავლებაც ჯერ ისევ დეკლარირების დონეზეა. მოსწავლეს მისი პრაქტიკაში გამოყენება კვლავ არ შეუძლია. ვფიქრობთ, გამოსავალი ვერ იქნება, თუნდაც, გრამატიკის მრავალრიცხოვანი სახელმძღვანელოები. აუცილებელია, მოსწავლემ ენობრივი საკითხების სიცოცხლე ტექსტების საშუალებით დაინახოს. ზოგიერთი ტექსტის გაგებისთვის, ეს აუცილებელიც კია.

წინამდებარე სტატიაში წარმოგიდგენთ ერთი ტექსტის დამუშვების გზას, რომელიც ტექსტის გაგება-გააზრებით იწყება, ენობრივი საკითხებით გრძელდება და წერილობითი ტექსტების შექმნით სრულდება. ვფიქრობ, ეს მეთოდი საინტერესო იქნება კოლეგებისთვის როგორც ტექსტების დამუშავების კუთხით, ასევე გარე დაკვირვებისათვის დასაგეგმი გაკვეთილების მხრივაც.

ტექსტად შევარჩიეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „არდადეგები“. მისი შესწავლა/დამუშავება 5 საათზე გადავანაწილეთ.

პირველ გაკვეთილზე მასწავლებელს შეუძლია, მიზნად დაისახოს ტექსტის ლექსიკური ერთეულის – „არდადეგები“ – სულხან-საბასეული განმარტების გაგება, დღევანდელ მნიშვნელობასთან მისი დაკავშირება; სათაურის ტექსტის შინაარსთან შესაბამისობა; ავტორისა და პერსონაჟების მეტყველების გარჩევა; დასაბუთების უნარის განვითარება. ამისათვის, პირველ რიგში, მოტივაციის აღძვრის მიზნით, მასწავლებელი დაფაზე გააკრავს მზის, ზღვის, სოფლის... სურათებს და მოსწავლეებს სთხოვს, ერთი სიტყვით დაუკავშირონ ერთმანეთს ისინი. მასწავლებლის შკითხვებზე პასუხებით მოსწავლეები მივლენ სიტყვა „არდადეგებამდე“. გაკვეთილის მიზნების გაცნობისა და მოსწავლეთა ტექსტის სათაურზე დაკვირვების შემდეგ, მოსწავლეებს დაევალებათ, სიტყვა „არდადეგების“ ეტიმოლოგიის გაგების მიზნით, რუბრიკის „სიტყვის კვალდაკვალ“ წაკითხვა. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი კითხვა-პასუხით შეამოწმებს, რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა სიტყვის საბასეული განმარტება, დაუკავშირეს თავიანთ ვარაუდებს, მოსწავლეებს ევალებათ წაიკითხონ ტექსტი და განასხვაონ ავტორის მეტყველება დიალოგისგან. ფანქრებით მონიშნონ დიალოგი, მიუწერონ პერსონაჟის სახელი, ტექსტის შინაარსის გასაგებად უპასუხონ შეკითხვებს. მასწავლებელი სთხოვს დასაბუთებას ტექსტიდან. ბოლოს, ერთობლივად აჯამებენ და აფასებენ გაკვეთილს – რა გააკეთეს, როგორ და რატომ.

მეორე გაკვეთილის მიზნად, სასურველია, დაისახოს ტექსტის მე-2 ნაწილის გაგება/გააზრება; ვარაუდების გამოთქმა/გადამოწმება, ტექსტის ნაწილების პერიფრაზირება და ამ გზით სიტყვათა მნიშვნელობის დადგენა. ამისათვის მასწავლებელი შემდეგ აქტივობებს მიმართავს: სიუჟეტის, პერსონაჟების გახსენების მიზნით, მოსწავლეები ჰყვებიან პირველ თავს და კითხვებზე პასუხით ამოწურავენ ტექსტის ამ ნაწილის შინაარსს. ლექსიკური ერთეულების გააქტიურების მიზნით, ურიგებს ბარათებს ციტატებით. სთხოვს, კონტექსტის მიხედვით განმარტონ სიტყვები: წახუსხუდა, თავპირისმტვრევით, აქაქანებული. გადაამოწმონ ლექსიკონში, რომელიც ტექსტს ახლავს. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ციტატებზე დაყრდნობით, როგორ გაგრძელდება მოთხრობა. მასწავლებლის მითითებით, დააკვირდებიან და გაიგებენ, რომელი პერსონაჟის მისამართითაა ზემოთ მოყვანილი სიტყვები, რისთვისაც მოსწავლეები წაიკითხავენ ტექსტის მე-2 ნაწილს. უპასუხებენ ტექსტიდან შეკითხვებს, თავის ნაწილთა გაგება/გააზრების მიზნით. დავალებად, მოძებნიან ტექსტში აღწერას და ამოწერენ სიტყვებს, რომლებიც აღწერისთვის გამოიყენება.

მესამე გაკვეთილზე, ტექსტის მესამე ნაწილის გაგება/გააზრებასთან ერთად, მასწავლებელი იმუშავებს პერსონაჟთა ქცევის შეფასებაზე, მოსწავლეთა დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ზნეობრივი ღირებულებებისადმი (ბედნიერების არსის გაგებაზე). აქტივობებს კი შემდეგი თანმიმდევრობით წარმართავს – სვამს შეკითხვას: რა არის ბედნიერება მათი აზრით? როდის არიან ბედნიერები? ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვების მიზნით, მოსწავლეები ავსებენ შესაბამისობათა სვეტებს (ვარაუდობენ სიტყვათა მნიშვნელობებს), შემდეგ ამოწმებენ „სიტყვის სკივრში“. პერსონაჟთა ქცევაზე, განწყობილებაზე დაკვირვების მიზნით, მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს; მოინიშნავენ პესონაჟთა განწყობილების გამომხატველ ლექსიკას. აკვირდებიან პერსონაჟთა განწყობილების ცვლილების მიზეზებს, რასაც ტექსტიდანაც დაასაბუთებენ; პერსონაჟის ქცევის შეფასების მიზნით, მოსწავლეები წერენ პატარა ბარათს, რას ეტყოდა ნიკა პაპა ბიჭებს, მას შემდეგ, რაც გაიგებდა, რა მოიმოქმედეს მათ.

მეოთხე გაკვეთილზე ყურადღება ტექსტის ენობრივ დამუშავებას მიექცევა – შორისდებულის ამოცნობა, ფუნქციის განსაზღვრა და გამოყენება წერილობით ტექსტში. ამისათვის მასწავლებელი დაფაზე აკრავს სხვადასხვა ემოციის გამომხატველ სტიკერებს ერთ სვეტად და სთხოვს მოსწავლეებს, ამ ემოციებს, მეორე სვეტიდან, სიტყვიერი მნიშვნელობები შეუსაბამონ. მხოლოდ შემდეგ უხსნის მასწავლებელი შორისდებულს. მოსწავლეები კითხულობენ შესაბამის რუბრიკას. მათ მოეთხოვებათ, ტექსტში იპოვონ შორისდებულები, ამოწერონ და დააჯგუფონ ემოციის სახეების მიხედვით. გადამოწმების მიზნით მოსწავლეებს დაურიგდებათ ბარათები – ერთი ბარათი თითო წინადადებით, რომელსაც შორისდებული აკლია და მეორე ბარათი – შორისდებულებით. მოსწავლეები არჩევენ შესაბამის შორისდებულს და უსვამენ შესაბამის სასვენ ნიშანს. გაკვეთილის შეფასების მიზნით კი, მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ კონკრეტული საკითხისადმი, სათითაოდ წერენ ბარათზე და აჩვენებენ მასწავლებელს შორისდებულს – ერთს, რომელიც მათ ემოციას გამოხატავს.

ბოლო, მეხუთე გაკვეთილი, ამ ტექსტის დასკვნითი ნაწილი, წერითი უნარების განვითარებას დაეთმობა. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ მარტივი აღწერითი ტექსტის დაწერას, დამოკიდებულების წერილობით გამოხატვას, დაეუფლებიან წერის მარტივ სტრატეგიებს. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაწერონ ბარათზე ერთი მიზეზი, რატომ უნდა დაისვენოს მოსწავლემ. იდეების გენერირების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, უკარნახონ, სად შეიძლება გაატარონ არდადეგები. მათ მოსაზრებებს, მასწავლებელი წერს დაფაზე. ადრესატის განსაზღვრის მიზნით, მასწავლებელი სთხოვს ჩამოთვალონ, ვის შეიძლება გამოუგზავნონ წერილი. აქაც, მასწავლებელი მეორე სვეტში ჩამოწერს მათ ნაკარნახევს; მესამე სვეტში კი – რის შესახებ მოიწერენ დასვენების ადგილიდან. მოსწავლეებს სთხოვს საკუთარი ნაწერის რედაქტირებას (რედაქტირებისთვის მოცემულია ნიშნები). ბოლოს, მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს.

დასკვნის სახით, შემიძლია, კოლეგებს ვურჩიო, რომ დაშალონ და გაამთლიანონ არა მხოლოდ თემა (ტექსტი), არამედ – თითოეული გაკვეთილი. იმედია, ჩვენი სტატია დაეხმარება მათ მხატვრული ტექსტების მოსწავლეებამდე მიტანაში.

თამარ ლოგჟანიძე
ახალციხის მეექვსე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

თამაშით სწავლა – მეთოდი „მხიარული ბანქო“

თამაში სწავლების საკმაოდ ეფექტიანი მეთოდია სასკოლო სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. უფრო მეტიც, ის თავის მიმზიდველობას ზრდასრულთა სწავლების პროცესშიც ინარჩუნებს, ვინაიდან თამაშის, როგორც სწავლების მეთოდის, გამოყენება სასწავლო პროცესს ბევრად უფრო საინტერესოს, სახალისოს და სასურველს ხდის. აქედან გამომდინარე, პირველ კლასში თამაშით სწავლება უფრო ადვილად მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე.

პირველ კლასში ერთ-ერთი მთავარი და არსებითი გამოწვევა, რომელსაც მოსწავლეები კითხვისა და წერის სწავლების საწყის ეტაპზე აწყდებიან, მარცვლებისგან სიტყვის შეკვრა, მიღებული სიტყვებისგან წინადადებების აწყობა და მათი გაგება-გააზრებაა. იმისათვის, რომ მოსწავლეებს ფონოლოგიური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესი გავუადვილოთ, სასურველია, ხშირად შევთავაზოთ აქტივობები და თამაშები, რომლებიც სწორედ მარცვლებსა და სიტყვებზე ვარჯიშს ითვალისწინებს.

ერთ-ერთი ასეთი მეთოდია „მხიარული ბანქო“. იგი აგებულია გუნდური თამაშის პრინციპებზე და მიზნად ისახავს მარცვლების სიტყვებად გამთლიანებისა და მიღებული სიტყვებით წინადადებების აწყობის უნარის განვითარებას. მეთოდი საკმაოდ ხალისიანი, შემოქმედებითი და საინტერესოა. მოსწავლეები ბოლომდე არიან ჩართული, რადგან მოსწონთ როგორც მუშაობის პროცესი, ასევე დიდი ინტერესით ელოდებიან საბოლოო შედეგს. მოსწავლეები ხშირად კითხულობენ ასოებით და არა მარცვლებით, ეს მეთოდი კი დაეხმარებათ ამოიკითხონ მარცვალი, რადგან სხვაგვარად დავალების საბოლოო შედეგს ვერ მიიღებენ.

მეთოდი დადებითია, რადგან ხელს უწყობს:

✔ შემოქმედებითი უნარის განვითარებას;
✔ გუნდური მუშაობის უნარის განვითარებას;
✔ ლოგიკური კავშირის დამყარებას;
✔ წინადადებების შინაარსის მიხედვით დალაგებას;
✔ ყურადღების განვითარებას.



„მხიარული ბანქოს“ ჩატარების საწყის ეტაპზე მასწავლებელი, წინასწარ ამზადებს რესურსს. აუცილებელია მომზადდეს პატარა ფურცლები, რომელზეც გამოსახულია მარცვლები. ამ მარცვლებმა შემდგომში უნდა შეადგინონ სიტყვები, სიტყვებმა – წინადადებები, ხოლო წინადადებების შეერთებით უნდა მივიღოთ მცირე ტექსტი, რომელიც გარკვეულ შინაარსს გადმოსცემს. სასურველია, გამოვიყენოთ ფერადი ფურცლები, შეიძლება იყოს წებოვანი, რადგან, დროის დაზოგვის მიზნით, ადვილად მიამაგრებენ ფურცელზე.

თავდაპირველად, მასწავლებელი კლასს ჰყოფს ჯგუფებად და უხსნის თამაშის პირობებს. უფრო საინტერესო იქნება, თუ თითოეულ ჯგუფს დაარქმევენ სახელს. მასწავლებელი ურიგებს ჯგუფებისთვის განკუთვნილ ბარათებს, ანუ „ბანქოს“. მოსწავლეები მუშაობენ გუნდურად. ცდილობენ, მარცვლებისგან ააწყონ სიტყვები, ხოლო სიტყვებისგან – წინადადებები. საბოლოოდ კი, წაიკითხავენ წინადადებებს და, შინაარსის შესაბამისად, წინადადებებს თანმიმდევრულად ისე განათავსებენ, რომ მიიღონ მოთხრობა. წინადადებები შეიძლება გაიკრას გრძელი ქაღალდის ლენტზე ან დამაგრდეს თოკზე. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში – ამზადებს ილუსტრაციებს წინადადებების შესაბამისად და ამაგრებს წინადადების ბოლოს.

მუშაობის პროცესში მასწავლებელი ხედავს, რამდენად გაწაფულია მოსწავლე მარცვლების ამოცნობაში, რამდენად ახერხებს მარცვლებისგან სიტყვების შედგენას და იცავს თუ არა გუნდური თამაშის პრინციპებს. აუცილებელია, ვაკონტროლოთ დრო და დისციპლინა.

რეკომენდაცია:

➢ მოთხრობა უნდა იყოს მარტივი (მაქსიმუმ 6 წინადადება);
➢ მარცვლებად შეიძლება დავყოთ ისე, რომ ადვილად შეძლონ აწყობა (მაგ: აივანი აივა-ნი, რადგან ცალკე აღებული „ა“ შესაძლოა დამაბნეველი იყოს);
➢ კარგი იქნება თუ ბოლო მარცვალთან დასვამთ სასვენ ნიშანს, ეს გაუადვილებთ აწყობას;
➢ შინაარსი უნდა იყოს საინტერესო და ადვილად გასაგები;
➢ არ უნდა შეიცავდეს ახალ ლექსიკურ ერთეულს.

მეგი კუთხაშვილი
სსიპ.ქ.თბილისის №83 საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასების პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. http://www.youtube.com/watch?v=I6QwhNXSIO8;
2. კითხვის ეფექტური მეთოდები – ნათია ნაცვლიშვილი; ზაქარია ქიტიაშვილი; (თბ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი) 2013 წელი.

გამჭოლი სემიოტიკური კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი, გვარი: ნონა ბოლქვაძე
საგანი: ბუნება
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი/II
მოსწავლეთა რაოდენობა: 3
გაკვეთილის თემა: საქართველო ჩემი სამშობლოა
გაკვეთილის ტიპი: გამჭოლი სემიოტიკური კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული
გაკვეთილის მიზანი: გაკვეთილზე მიღებული ცოდნის საფუძველზე, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება (მისაღწევი შედეგები: ცოდნა და უნარები იხილეთ გეგმაში)
გამოყენებული მეთოდები: წარმოდგენა-ასოციაცია, სახელმძღვანელოში კითხვა, მსჯელობა, ისტ-ის გამოყენება, როლური თამაში, წარმოდგენა-ასოციაცია, მსჯელობა
გამოყენებული რესურსები: ბარათები, კალამი, სახელმძღვანელო (გ. კვანტალიანი, ლ. მიქიაშვილი), სლაიდები, კომპიუტერი, პროექტორი, ბარათები, ტელეფონი, თაბახის ფურცლები, ფანქრები/ფლომასტერები, კალამი, წებო, ბარათები აპლიკაციისთვის, ფლიპჩარტი, ფლომასტერები
შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:
ბუნ.II.9. მოსწავლეს შეუძლია გარემოსადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა I. სიტყვები ბარათებზე
ინსტრუქცია: გთხოვთ ბარათებზე დაწეროთ სამი სიტყვა (რაც პირველი გაგახსენდებათ) სამშობლოსთან დაკავშირებით და წარმოადგინოთ.
მიზანი: მოსწავლეთა მობილიზება გაკვეთილისთვის.
შედეგი: მოსწავლეები განწყობილნი არიან გაკვეთილისთვის.

აქტივობა II. სახელმძღვანელოზე მუშაობა
ინსტრუქცია: მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს და იაზრებენ.
მიზანი: სახელმძღვანელოში არსებული ტექსტის გაცნობა.
შედეგი: შეუძლიათ სახელმძღვანელოზე მუშაობა.

აქტივობა III. პოსტერებზე მუშაობა
ინსტრუქცია: ყურადღებით დაათვალიერეთ საქართველოსთან დაკავშირებული ფოტოები, რომლებიც წარმოდგენილია პოსტერის სახით. აირჩიეთ ერთ-ერთი და გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება. თქვენ მიერ გამოთქმული აზრისთვის საჩუქრად მიიღებთ ბარათებს.
მიზანი: მოსწავლეებში საქართველოსადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობის განვითარება.
შედეგი: მოსწავლეებს შეუძლიათ ამოიცნონ საქართველოს ბუნების, კულტურის ამსახველი ფოტოები და გამოთქვან საკუთარი აზრი.

აქტივობა IV. ელექტრონული რესურსის გამოყენება
ინსტრუქცია: გთხოვთ, ტელეფონის გამოყენებით, გადაიღოთ ფოტოები – „ფანჯრიდან დანახული საქართველო“ და წარუდგინოთ აუდიტორიას.
მიზანი: ისტ-ის გამოყენების უნარების განვითარება.
შედეგი: მოსწავლეს შეუძლია ისტ-ის გამოყენება გაკვეთილზე.

აქტივობა V. „მწერალი, მხატვარი, მშენებელი“
ინსტრუქცია: აირჩიეთ ერთ-ერთი როლი (მწერლის, მხატვრის ან მშენებლის – მწერალი ქმნის მოთხრობას თემაზე „საქართველო ჩემი სამშობლოა“, მხატვარი – ნახატს და მშენებელი – აპლიკაციას იმავე თემაზე). შეასრულეთ დავალება და წარმოადგინეთ.
მიზანი: მოსწავლეები სამშობლოსთან დაკავშირებულ განცდებსა და შეხედულებებს სხვადასხვა როლით წარმოაჩენენ. ფანტაზიის, შემოქმედებითი უნარების განვითარება.
შედეგი: მოსწავლეს შეუძლია სამშობლოსადმი სიყვარულის გადმოცემა ნახატის, აპლიკაციის, წერილობითი სახით და მისი პრეზენტაცია. მოსწავლე შემოქმედებითად აზროვნებს.

აქტივობა VI. ვემსახურებით საქართველოს: ვუფრთხილდებით მის ბუნებას
ინსტრუქცია: კედელზე გაკრულია ფლიპჩარტი საქართველოს რუკის გამოსახულებით. მასწავლებელი: გთხოვთ, თქვენი ხელის ანაბეჭდებით შემოსაზღვროთ საქართველოს რუკა და გამოთქვათ ვარაუდები, როგორ შეძლებთ სამშობლოსათვის სასიკეთო საქმის კეთებას, როგორ მოუვლით მის ბუნებას.
მიზანი: მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ სამშობლოსადმი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, მისდამი მზრუნველი დამოკიდებულება.
შედეგი: მოსწავლეები განმსჭვალული არიან პატრიოტული სულისკვეთებით და პასუხისმგებლობას გრძნობენ მისი ბუნების მრავალფეროვნების შენარჩუნებაში.

საკლასო მსჯელობა
გაკვეთილს ვაჯამებ კითხვებით:

- რა შევისწავლეთ დღეს?
- რაში გამოიყენებთ შესწავლილ მასალას?
- რისი გაკეთება შეგიძლიათ სამშობლოსთვის? და ა. შ.

თვითშეფასების კითხვარის შევსება
საშინაო დავალება: „მაინც რა არის სამშობლო“
გაკვეთილის გოლოს მისაღწევი შედეგები:
ცოდნა
- იცნობს საქართველოს მრავალფეროვან ბუნებას
- იცის, რომ საქართველოს ბუნებას გაფრთხილება და ზრუნვა სჭირდება
- იცის როგორ გაუფრთხილდეს თავისი სამშობლოს სიმდიდრეს

უნარები
- შეუძლია სურათების მიხედვით საკუთარი აზრის ჩამოყალიბება
- შეუძლია გააანალიზოს საკუთარი მოვალეობა სამშობლოს წინაშე
- შეუძლია ისტი-ს გამოყენებით დავალების შესრულება
- შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა ბუნების მოვლასა და დაცვაზე
- შეუძლია თავისი ცოდნის სხვადასხვა ხერხით წარმოდგენა
- შეუძლია შემოქმედებითად აზროვნება

შეფასება: გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების სქემას (იხ. დანართი 1)

დანართი 1.

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

სახელი .....

კრიტერიუმები			
რომელი აქტივობა მოგეწონა ყველაზე მეტად?	....		
გაკვეთილში აქტიურად იყავი ჩართული?	სრულიად	ნაწილობრივ	ვსაჭიროებ გაუმჯობესებას
მარტივად გაიგე მოწოდებული მასალა?	სრულიად	ნაწილობრივ	ვსაჭიროებ გაუმჯობესებას
შეგიძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება?	სრულიად	ნაწილობრივ	ვსაჭიროებ გაუმჯობესებას
შეგიძლია შენი აზრის სწორად ჩამოყალიბება?	სრულიად	ნაწილობრივ	ვსაჭიროებ გაუმჯობესებას

გვარი .....

ნონა ბოლქვაძე
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის
დაწყებითი კლასის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა
1. ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024წწ);
2. II კლასის ბუნების სახელმძღვანელო (გიორგი კვანტალიანი, ლელა მიქიაშვილი);
3. მასწავლებლის კარიერული წინსვლის გზამკვლევი (II ნაწილი).

სამოდელო ინოვაციური გაკვეთილი

საგანი	ქართული ენა და ლიტერატურა
სკოლა	ნახშირღელის საჯარო სკოლა
მასწავლებელი	ქეთო ბრეგაძე
თემა	აკაკი ართილაყვას „ბლის კუნწულა“
გაკვეთილის ტიპი	სამოდელო-ინოვაციური
საფეხური/ მოსწავლეთა პროფილი	დაწყებითი/I კლასი კლასში არ არის სსსმ მოსწავლე
მოსწავლეთა რაოდენობა	26
გაკვეთილის ხანგრძლივობა	35-40წთ
მიზანი	• მოსწავლეს განუვითარდეს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარები; • მოსწავლემ შეძლოს ნაფიქრსა და დაწერილს შორის კავშირის გაბმა, ასევე ტექსტის ძირითადი მახასიათებლების გააზრება; • მოსწავლემ გააცნობიეროს კომუნიკაციის საკვანძო ასპექტები. კერძოდ: • რასაც ვფიქრობთ, შეიძლება გამოითქვას; • რასაც გამოვთქვამთ, შეიძლება დაიწეროს; • რაც დაწერილია, შეიძლება წავიკითხოთ; • მე შემიძლია წავიკითხო ის, რაც თვითონ დავწერე და ასევე ის, რაც სხვამ დაწერა ჩემთვის.
შედეგი\ ინდიკატორი	**ქართ. დაწყ. (I).4** • ამოიცნობს ფაქტების\მოქმედებების თანმიმდევრობას ტექსტში; • ამოიცნობს მოსმენილი მხატვრული ტექსტის პერსონაჟის ემოციურ მდგომარეობას (მხიარული, მოწყენილი, გაკვირვებული და ა.შ.). **ქართ. დაწყ. (I).5** • მიზნის შესაბამისად იყენებს საყრდენებს (მაგ., მინიშნებებს, ილუსტრაციებს, შეთავაზებულ მარტივ სქემას, ინსტრუქციას და სხვ.). **ქართ. დაწყ. (I).6** • აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან. **ქართ. დაწყ. (I).8** • ხატავს, აფერადებს, წაკითხული ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდს, პერსონაჟს; • ილუსტრაციაზე დაყრდნობით ჰყვება ამბავს. **ქართ. დაწყ. (I).9** • წაკითხული ტექსტის მიმართ გამოხატავს პირად დამოკიდებულებას (მომეწონა\არ მომეწონა); • ვერბალური თუ არავერბალური ტექსტებით გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას (მაგ., მე როგორ მოვიქცეოდი\მოვიქცევი ანალოგიურ სიტუაციაში). **ქართ. დაწყ. (I).10** • განარჩევს ერთმანეთისგან წიგნის გარეკანს, თავფურცელს, სათაურს, ძირითად ტექსტს, ავტორის გვარსა და სახელს, ტექსტის ბოლოს მოცემულ კითხვებს და სხვ.; • ამოიცნობს ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, ილუსტრაციას, აბზაცს, წარწერას, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტს და სხვ.); • ამოიცნობს ტექსტის, აბზაცის, სტროფის, წინადადების დასაწყისსა და დასასრულს. **ქართ. დაწყ. (I).13** • წერს მარტივ წინადადებებს, ფრაზებს, მცირე ზომის ტექსტებს ნაცნობ თემებზე, გასაგებად გადმოსცემს აზრს; • ავსებს ტექსტში ნაკლულ ინფორმაციას; • წარწერას უკეთებს ილუსტრაციას; • წერილობით პასუხობს მარტივ კითხვებს; • წერს და აფორმებს მარტივი სახის პრაგმატულ ტექსტებს (მოდელის, საყრდენების, მინიშნებების გამოყენებით).
წინარე ცოდნა	კითხულობს და ზეპირად გადმოსცემს ტექსტს; თავისუფლად პასუხობს კითხვებს; ტექსტში ეძებს უცნობ სიტყვებს; ამოიცნობს მსგავს და საპირისპირო მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულებს; თავისუფლად ამოიცნობს და აღწერს ნაცნობ სიტუაციებს.
სასწავლო მეთოდები	ენობრივი პრაქტიკა, ანუ „მასწავლებელი კალამი“: • საჩვენებელი წერა; • საჩვენებელი კითხვა; • ერთობლივი წერა; • ერთობლივი კითხვა.
ორგანიზების ფორმები	მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან, მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად და წყვილებში.
გამოყენებული მეთოდები	ვარაუდების გამოთქმა, „სიტყვის აბლაბუდა“ (ლექსიკური ერთეულების გაცნობა, ტექსტის კითხვის მეთოდები – ერთობლივი კითხვა, გაგრძელებით კითხვა, ექოს ტიპი ს კითხვა, ფრაზებად კითხვა. სქემა „ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება“.
გამოყენებული რესურსები	ხელნაკეთი დიდი წიგნი, საყრდენი სიტყვების ბარათები (კენწერო, ბლის კუნწულა, შეიპატიჟა, მიართვეს, შეჯიბრი), ცარცი, ფორმატზე გამზადებული სქემები: „სიტყვის აბლაბუდა“, „ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება“, ფერადი ფანქრები, ფორმატზე გაფორმებული გაკვეთილის თემა, მიზანი, საშინაო დავალება.
გაკვეთილების მსვლელობა\ საკლასო მენეჯმენტი	**I ფაზა – მოლოდინების განსაზღვრა (გამოწვევა) (5წთ)** **აქტივობა 1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა** მასწავლებელი მოსწავლეებს მოკლედ გააცნობს გაკვეთილზე შესასრულებელ აქტივობებს და ეხმარება მათ გაკვეთილის მიზნებისა და მოლოდინების განსაზღვრაში, თუ რა ცოდნასა და უნარებს შეიძენენ ამ გაკვეთილიდან. **აქტივობა 2. გაკვეთილის თემის გამოცნობა იდუმალი ყუთის დახმარებით** (პატარა ყუთში დამალულია ბლის კუნწულა, შეკითხვების დასმით, მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ რა საგანია დამალული. ამოცნობის შემდეგ ვისაუბრეთ ბლის შესახებ: წელიწადის რომელ დროს მწიფდება, უდგას თუ არა რომელიმეს ბლის ხე სახლში). **აქტივობა 3. ახალი ლექსიკური ერთეულის გაცნობა „კენწერო“.** სქემის „აბლაბუდა“ შევსება მოსწავლეების დახმარებით (დანართი 2)
	II ფაზა (12წთ). **აქტივობა 4 დიდი ხელნაკეთი წიგნის წარდგენა, ილუსტრაციებში გასეირნება** (მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს დიდ წიგნს, უსვამს შეკითხვას – რით განსხვავდება ეს წიგნი სხვა წიგნებისგან. მოსწავლის სავარაუდო პასუხები: უფრო დიდია, მეტი ნახატებია, ასო-ბგერები დიდია, თან სიტყვები ორფერში წერია და ა.შ. წიგნზე დაკვირვების შემდეგ, გავისეირნებთ ილუსტრაციებში, გამოთქვამენ ვარაუდებს, რის შესახებ შეიძლება იყოს მოთხრობა?). **აქტივობა 5. საჩვენებელი სამოდელო კითხვა** მასწავლებელი გამომეტყველებით, პაუზებით უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს. წაკითხვის შემდეგ სვამს შეკითხვებს: – ვის ეზოში დამწიფდა ბალი? – რა გადაწყვიტეს ბავშვებმა? რატომ? – კარგად მოიქცნენ ბავშვები ვანოს და თინას რომ არ წაუღეს ბალი? – ბებია ანიკოს რომ მიართვეს? რატომ? **აქტივობა 6. ტექსტის ერთობლივი კითხვა** ფრაზებად კითხვა, გაგრძელებითი კითხვა (წაიკითხავენ ბიჭები, წაიკითხავენ მხოლოდ გოგონები). **III ფაზა – განმტკიცება, გამოლიანება წაკითხვის შემდეგ (15წთ)** **აქტივობა 7. მოსწავლეთა ჩართულობით, საყრდენი სიტყვებით, მარტივი ტექსტის შედგენა** მასწავლებელი მიმართავს კლასს: ჩვენ ახლა უნდა ვითამაშოთ. თქვენ ყველანი გახდებით პატარა მწერლები, მე კი ვიქნები თქვენი კალამი. ვწერთ. მასწავლებელი აფიქსირებს დაფაზე საყრდენ სიტყვებს ან ფრაზებს, რომელთა გამოყენებითაც უნდა შეადგინონ მოსწავლეებმა წინადადებები. აქვე შეახსენებს, რომ მათ მიერ შექმნილი ტექსტი ზაფხულის თემას უნდა უკავშირდებოდეს. **(საყრდენი სიტყვები: მიართვეს, კენწეროზე, მის კუნწულა, შეპატიჟება, გამასპინძლება)** მასწავლებელი ცდილობს, გააქტიუროს მოსწავლეთა დისკუსია. იგი თვალსაჩინოდ წერს მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ წინადადებებს დაფაზე (ან დიდ ქაღალდზე) ისე, რომ გამოვიდეს მოთხრობა\ტექსტი. მასწავლებელი წერის პროცესში რთავს მოსწავლეებსაც: ზოგს სიტყვას დააწერინებს, ზოგს სათაურის ადგილს შეარჩევინებს, ზოგსაც წერის დროს დაშვებულ შეცდომას ჩაასწორებინებს. შეცდომებს მასწავლებელი განზრახ უშვებს ტექსტის შექმნისას. **აქტივობა 8. ტექსტის ერთობლივი კითხვა** დასრულებულ ტექსტს ჯერ მასწავლებელი წაუკითხავს მოსწავლეებს ხმამაღლა, ხელის გაყოლებით, შემდეგ ერთობლივად წაიკითხავენ მასწავლებელი და მოსწავლეები. ბოლოს მოსწავლეები, დამოუკიდებლად ან მცირე ჯგუფებში, ეცდებიან ტექსტის წაკითხვას. **აქტივობა 9. ტექსტის გამოყენებით პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება** კითხვის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს მოძებნონ და შემოხაზონ ის საყრდენი სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც შეადგინეს ტექსტი. **აქტივობა 10. მოსწავლეთა ჩართულობით გაკვეთილის შეჯამება\შეფასება (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება)** მასწავლებელი შეაქებს მოსწავლეებს შესრულებული სამუშაოსთვის და, ამავდროულად, მათ ყურადღებას გაამახვილებს კომუნიკაციის საკვანძო საკითხებზე: ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ: • **რასაც ვფიქრობთ, შეიძლება გამოითქვას;** • **რასაც გამოვთქვამთ, შეიძლება დაიწეროს;** • **რაც დაწერილია, შეიძლება წავიკითხოთ;** • **მე შემიძლია წავიკითხო ის, რაც თვითონ დავწერე და ასევე ის, რაც სხვამ დაწერა ჩემთვის.** მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, შეაჯამებენ, რა გააკეთეს ამ გაკვეთილზე, რა ისწავლეს, რამდენად გაამართლა მათმა მოლოდინებმა. აღნიშნავენ, რომელი აქტივობა მოეწონათ და რატომ. აკეთებენ თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას.
საშინაო დავალება (1წთ)	მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას: მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ და დახატონ, ინდივიდუალურად, მიწოდებულ სქემებში (დანართი 3), რაც წაკითხულიდან ყველაზე მკაფიოდ დაამახსოვრდათ.
შეფასება (2წთ)	ჯგუფებს შეფასების სქემაში ჩავუკრავ ღიმილაკებს. აქტიურ მოსწავლეებს განმავითარებელი კომენტარით შევაფასებ.

შეფასების ტიპები და მეთოდები:

შეფასება (1წთ)

განმავითარებელი კომენტარები

მოსწავლეთა მუშაობის მონიტორინგის სქემა

გაკვეთილის მსვლელობისას ან დასრულების შემდეგ, ცხრილის უჯრებში, მასწავლებელი წერს დაკვირვების შედეგებს ერთი-ორი სიტყვით ან სპეციალური სიმბოლოებით (მაგ. – X).

მოსწავლის სახელი, გვარი	**სასწავლო მასალას წარმატებით გაართვა თავი**	**საჭიროებს დამატებით დამოუკიდებელ მუშაობას უნარ-ჩვევების განაფვისთვის**	**საჭიროებს შემდგომ მეცადინეობას იმავე საკითხზე, მასწავლებლის ხელმძღვანელობით**
1.			
2.			
3.			
4.			

დანართი 1

ბლის კუნწულა

– ბიჭოს, როგორ დამწიფებულა ბალი! – წამოიძახა გიამ და ხეს კენწეროზე მოექცა. გიას მაშოც მიჰყვა. ბალი მართლაც მწიფე იყო. ბავშვებმა ბევრი ჭამეს, ბევრიც დაკრიფეს და ძირს ჩამოვიდნენ.

– უფ, რა კარგი კუნწულებია! – თქვა გიამ, – მოდი ვინმეს მივართვათ.

– მოდი, ვანოს და თინას წავუღოთ. იმათ ხომ ბლის ხე არ აქვთ ეზოში! – თქვა მაშომ.

– თვითონ დაკრიფონ. ისინი ხეზე კარგად ადიან. აჯობებს, ეს კუნწულები ბებია ანიკოს მივუტანოთ. ის ხომ მარტო ცხოვრობს და ბლის ხეც არ უდგას, – უთხრა გიამ.

– მართლაც კარგად მოიფიქრე, გია? – წამოიძახა მაშომ.

აკაკი ართილაყვა

დანართი 2

სიტყვის აბლაბუდა

ინსტრუქცია:

1. ჩავწეროთ ახალი სიტყვა შუა რგოლში
2. ჩავწეროთ შეკითხვებზე პასუხები შესაბამის რგოლებში
3. ჩავწეროთ ჩვენი აზრი – რას ნიშნავს ეს სიტყვა



დანართი 3

ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება



რეფლექსია ჩატარებულ სამოდელო გაკვეთილზე

8 მაისს ჩავატარე სამოდელო გაკვეთილი ქართულ ენსა და ლიტერატურაში, პირველ კლასში, რომელსაც ესწრებოდა შეფასების ჯგუფი. გაკვეთილის ტიპი იყო ინოვაციური. ვფიქრობ, ჩატარებული გაკვეთილი მართლაც ინოვაციური ხასიათის იყო.

გამოვიყენე სასწავლო მეთოდები: ენობრივი პრაქტიკა, ანუ მასწავლებელი „კალამი“:

- საჩვენებელი წერა;
- საჩვენებელი კითხვა;
- ერთობლივი წერა;
- ერთობლივი კითხვა.

ამ გაკვეთილზე წარმოდგენილი მეთოდი\მიდგომა არაა გათვალისწინებული ჩვენ ხელთ არსებულ არც ერთ სახელმძღვანელოსა თუ მეთოდურ გზამკვლევში (ცხადია, ეს მიდგომა ჩემი გამოგონება არაა, ასეთ მიდგომებს ვნერგავდით საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის G-PraiEd-ის ფარგლებში. თუმცა, ამ გაკვეთილზე წარმოდგენილი სიტუაცია კონტექსტი და შექმნილი მიკროტექსტი სრულიად ორიგინალურია).

გაკვეთილის მიზანი იყო:

- მოსწავლეს განუვითარდეს ზეპირმეტყველების, კითხვის, შემოქმედებითი აზროვნებისა და წერის უნარები;
- მოსწავლემ შეძლოს ნაფიქრსა და დაწერილს შორის კავშირის გაბმა, ასევე, ტექსტის ძირითადი მახასიათებლების გააზრება;
- მოსწავლემ გააცნობიეროს კომუნიკაციის საკვანძო ასპექტები, კერძოდ:
- რასაც ვფიქრობთ, შეიძლება გამოითქვას;
- რასაც გამოვთქვამთ, შეიძლება დაიწეროს;
- რაც დაწერილია, შეიძლება წავიკითხოთ;
- მე შემიძლია წავიკითხო ის, რაც თვითონ დავწერე და ასევე ის, რაც სხვამ დაწერა ჩემთვის.

გაკვეთილის მიზანი მიღწეულ იქნა. მესამე ფაზაში დაგეგმილი აქტივობა – ვიქცეთ პატარა მწერლებად, მე ვიქნები თქვენი კალამი და საყრდენი სიტყვების საშუალებით (ბლის კუნწულები მიართვეს, შეიპატიჟა, გაუმასპინძლდა, კენწერო), მოსწავლეებს უნდა გაეგრძელებინათ ტექსტი – განხორციელებულ იქნა.

მოსწავლეების მიერ ერთობლივად შექმნილი ტექსტი

კეთილი გავშვები

გიამ და მაშომ ბლის კუნწულებით სავსე კალათები ბებია ანიკოს მიართვეს. ბებომ ძალიან გაიხარა, მოეფერა პატარებს, შინ შეიპატიჟა და ტკბილეულით გაუმასპინძლდა.

ბავშვები სახლში კმაყოფილები დაბრუნდნენ, მათ კიდევ უფრო გაიხარეს, როცა ეზოში სტუმრად მისული თანატოლები – ვანო და თინა დაინახეს. რა კარგია, რომ მოხვედით, ყველაზე მწიფე და ტკბილი ბლის კუნწულები კენწეროზე იქნება, ადით და დაკრიფეთ, შესთავაზეს მათ მეგობრებს.

ბავშვებმა ბალი დაკრიფეს და გემრიელად მიირთვეს.

გაკვეთილის ძლიერი მხარე

გაკვეთილზე უზრუნველყოფილი იყო ყველა მოსწავლის ემოციური და კოგნიტური პროდუქტიული ჩართულობა. მოსწავლეები მოტივირებულად და ინტერესით მონაწილეობდნენ აქტივობებში და ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევდნენ საგაკვეთილო მიზნებს მიკროტექსტის შექმნით, წაკითხვით, რაშიც მათ დიდად დაეხმარა ხელნაკეთი დიდი წიგნის ილუსტრაციები.

გაკვეთილი წარიმართა გეგმის შესაბამისად, მაგრამ გაკვეთილის პირველმა ფაზამ გათვალისწინებულზე მეტი დრო მოითხოვა, მოსწავლეთა სიმრავლისა და აქტიურობის გამო, რამაც მომდევნო ფაზების დროის კორექტირება გამოიწვია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილმა გაამართლა, მივაღწიეთ დასახულ მიზნებს. მოსწავლეთა ჩართულობა და აქტიურობა სასურველ დონეზე იყო. ვფიქრობ, გაკვეთილის ინოვაციური მხარე სასარგებლო იქნება როგორც ჩემთვის, ასევე კოლეგებისთვის.

ქეთო ბრეგაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ნახშირღელის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი

KIMYƏVI HADISƏLƏRIN NÜMUNƏLƏRI



ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლის ქიმიის პედაგოგი

მაგამედ ნასიბოვი კოლეგებს სთავაზობს

გაკვეთილის გეგმას, რომელიც მან IX კლასში ჩაატარა

თემაზე „ქიმიური მოვლენების ნიშნები“

Fənn	Kimya
Vaxt	45 dəqiqə
Mövzu	Kimyəvi reaksiyaların əlamətləri
Məqsəd	Kimyəvi reaksiyaların əlamətləri haqqında biliklərin verilməsi
Vasitələr	Dərslik,lövhə,təbaşir,kibrit, şam, plakatlar.
Sinfin təşkili	Fərdi və qruplar
Müəllim	Şagirdlər
Fəallıq №1 əvvəlki biliklərin fəallaşdırılması 1. Hadisə nədir?Hadisələr neçə cür olur? 2. Fiziki hadisə nədir? 3. Kimyəvi hadisə nədir? 4. Fiziki və kimyəvi hadisələr arasında əsas fərq nədir	şagirdər fərdi olaraq cavab verirlər
Fəallıq №2 Müxtəlif hadisələri əks etdirən şəkillər verirəm və onları təsnif etməyi deyirəm. (Şəkillər əvvəlcədən hazırlanır)	Şagirdlər hadisələri təsnif edirlər.
Fəallıq №3 Şamı və kibriti yandırıram və bu zaman şagirdlərin nəyi hiss etdiklərini soruşuram.Qənd parçasının sobanın üstə yanan zaman nə müşahidə etdiklərini söyləyirəm. 1) Qazın ayrılması. 2) Çöküntünün əmələ gəlməsi. 3) Kəsgin dəyişməsi. 4) İşıq və istiliyin ayrılması.	Şagirdlər bu zaman kimyəvi hadisələr və onun bəzi əlamətlərini söyləyirlər.
Fəallıq №4 Əldə edilmiş biliyi yoxladıqdan sonra; Şagirdləri kiçik quruplara bölürəm hər bir qrupa fiziki və kimyəvi hadisəni əks etdirən misallar (vərəqdə) verirəm.	Qruplar tapşırığı yerinə yetirir və müəllimə təqdim edir.
Fəallıq №5 Qiymətləndirmə	Dərs müddətində fəal iştirak edən şagirdlər qiymətləndirilir.
Ev tapşırığı: Təbiətdə və məişətdə rast gəldikləri,kimyəvi və fiziki hadisələr vəonların əlamətləri haqda yazmaq.	Dərsliyin oxumaq və ev tapşırıqlarının yerinə yetirmə

Məhəmməd Nəsibov

Bolnisi Muniçipolitetinin Kvemo Bolnisi kənd N1 içtimai məktəbin kimya müəllimi

მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა – პოზიტიური მართვის მთავარი მახასიათებელი

სასწავლო გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების პროცესში. როცა მოსწავლე ცოდნის შეძენის პროცესის აქტიური მონაწილეა, აინტერესებს ის, რასაც აკეთებს, როცა სწავლების პროცესში ყველა მოსწავლის საგანმანათლებლო ინტერესი და საჭიროებები გათვალისწინებულია, როცა მასწავლებელი ქმნის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ატმოსფეროს, სწავლებას მრავალფეროვანი ინტერაქტიული მეთოდებით წარმართავს, მრავალფეროვან თვალსაჩინოებებს იყენებს, შესასწავლ თემას ყოველდღიურობასთან აკავშირებს და სწავლის პროცესში მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობის აქტიურ ჩართულობას ახერხებს, მოსწავლეთა აკადემიური შედეგებიც მაღალია.

ნებისმიერი საგნის ათვისება გაცილებით უფრო ეფექტიანად ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე აქტიურადაა ჩამბული შესასწავლი საკითხის კვლევა-ძიებაში და ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებს არა მარტო მზა მასალის ათვისებით, არამედ ინფორმაციის მოძიების, თვალსაჩინოებზე მუშაობის და ინტერაქტიული სწავლების პროცესში ჩაბმის გზით.

მინდა, გაგიზიაროთ მე-6 კლასში ჩატარებული გაკვეთილი, რომელიც მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით გამოირჩეოდა. ცოდნა, რომელსაც მოსწავლე თამაშით და კლასელებთან ინტერაქციით იღებს, მყარია, ვინაიდან საკუთარ გამოცდილებას ემყარება.

გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის თემა: ღერძული სიმეტრია

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლე შეძლებს ღერძულად სიმეტრიული ფიგურების ამოცნობას;
- მოსწავლე შეძლებს სიმეტრიულ ფიგურაში მიუთითოს სიმეტრიის ღერძი (ღერძები).

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	**გამოწვევა** მისალმებისა და საორგანიზაციო საკითხის მოგვარების შემდეგ, მოსწავლეებს პროექტორით ვაჩვენებ ფოტოკოლაჟს, რომელზეც გამოსახულია სიმეტრიული შენობები, საგნები და სურათები. დავსვამ შეკითხვას: როგორ ფიქრობთ, რა აქვთ საერთო ნაჩვენებ სურათებს? ხელოვნებაში, გასულ წელს, ნასწავლი აქვთ სიმეტრია, იქნებ უპასუხონ კიდევაც, რომ ყველა ფიგურას სიმეტრია აერთიანებს. შემდეგ მოსწავლეებს შევთავაზებ თამაშს – ფურცელზე ხატია დიდი წრე. ამ წრის შიგნით სიმეტრიული ფიგურებია, გარეთ კი – ასიმეტრიული. თამაშის მიზანია, მოსწავლეებმა ამოიცნონ, რა კანონზომიერებით არის ფიგურები განლაგებული წრეში თუ მის გარეთ. მოსწავლეები, სავარაუდოდ, აღმოაჩენენ წრეში განლაგებულ ფიგურათა თვისებას: თითოეული მათგანი შუაზე რომ გადაკეცო, ნახევრები ერთმანეთს დაემთხვევა, ასეთ შემთხვევაში, ამბობენ, რომ ფიგურები სიმეტრიულია. სწორედ სიმეტრია არის ჩვენი გაკვეთილის თემა. მოსწავლეებს გავაცნობ გაკვეთილის მიზანს და გავაკრავ თვალსაჩინო ადგილას, თემა და მიზანი გაკრული რჩება მთელი გაკვეთილის განმავლობაში. ასევე, ვაცნობ გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებს (გამოვაკრავ თვალსაჩინოდ).	გამოწვევა – ვიზუალური ეფექტის გამოყენებით. თამაში „გამოიცანი კანონზომიერება“	საერთო საკლასო	კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდები, ფერად ფურცლებზე გეომეტრიული ფიგურები, გაკვეთილის თემა, მიზანი, შეფასების რუბრიკა (ამობეჭდილი)	6წთ
2	**მინი-ლექცია** მოსწავლეებს გავაცნობ მათთვის ახალ ცნებას – „სიმეტრიას“, განვუმარტავ მის არსს. ვაჩვენებ პეპელას და, მის მაგალითზე, ვუხსნი რა არის სიმეტრიის ღერძი. კვადრატის მაგალითზე ვაჩვენებ, რომ ფიგურას შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი სიმეტრიის ღერძი. ვეკითხები მოსწავლეებს: კიდევ ხომ არ დაასახელებთ ფიგურებს, რომელთაც აქვთ სიმეტრიის ღერძები? ვთხოვ მოსწავლეებს, მოიყვანონ ცოცხალი ორგანიზმებისა და მცენარეების მაგალითები, რომლებსაც სიმეტრიის ღერძი აქვთ; დაასახელონ სიმეტრიული ფიგურების მაგალითები, რომლებიც გვხვდება ყოფითი დანიშნულების საგნებში, არქიტექტურასა და ტაძრის ნიმუშებში.	წინარე ცოდნისა და მინი-ლექციის საშუალებით, ახალი ცოდნის აგება	საერთო საკლასო	კომპიუტერი, პროექტორი, პეპელას სურათი, კვადრატი	5წთ
3	**„ხეთა პაექრობა“** – კინესთეტიკური უნარის გამოყენებით ფიგურების კლასიფიკაცია. დაფაზე გავაკრავ ორ ფლიპჩარტს, რომლებზეც გამოსახულია ხე. ერთს აწერია – სიმეტრიული ფიგურები, ხოლო მეორეს – ასიმეტრიული ფიგურები. მაგიდაზე ვდებ კალათას, რომელშიც წებოვანი ფურცლებია სხვადასხვა ფიგურებით. მოსწავლეები გამოდიან, შემთხვევით იღებენ ერთ-ერთ ფურცელს, აკრავენ შესაბამის ხეს და ასაბუთებენ თავიანთ არჩევანს. აქვე ვაკეთებ კომენტარს, რამდენად სწორად შესრულდა დავალება (რამდენად გასაგები იყო მიზნის პირველი ნაწილი – მოსწავლეები მანიშნებენ „ხელის ნიშნებით“).	ინტერაქტიული მეთოდი, თამაში	საერთო საკლასო	ფურცელზე დახატული ორი ხე, წებოვან ფურცელზე სხვადასხვა ფიგურა	3წთ
4	**„დააწყვილე ბარათი“** მოსწავლეთა ნახევარს დავურიგებ თითო ფიგურას, მეორე ნახევარს – ბარათს, რომელზეც აწერია სიმეტრიის ღერძის რაოდენობა. მივცემ ინსტრუქციას: მოსწავლეები გადაადგილდნენ საკლასო ოთახში, იპოვონ თანაკლასელი იმ ფიგურით, რომელსაც იმდენი სიმეტრიის ღერძი აქვს, რამდენიც მის ბარათზეა დაწერილი. მივცემ მითითებას: შეეცადეთ, გადაკეცოთ ფურცლები ისე, რომ ფიგურის ერთი ნახევარი ზუსტად დაემთხვეს მეორე ნახევარს. რომელი ფიგურისთვისაც შესრულდება ეს პირობა, გადაკეცვის ადგილი გავამუქოთ მარკერით. წყვილები თავიანთ ფიგურებს მიაკრავენ დაფაზე, თან შეავსებენ ცხრილს, დაწერენ ფიგურას და მიუწერენ სიმეტრიის ღერძების რაოდენობას. შემდეგ იწყება ერთობლივი გარჩევა – რამდენად სწორად იპოვეს წყვილებმა ერთმანეთი .მოსწავლეები გამოიყენებენ „შუქნიშნის ბარათებს“, დაადასტურებენ ან უარყოფენ პასუხის სისწორეს. **კანონზომიერების დანახვის საფუძველზე დასკვნის გამოტანა.** ყურადღებას გავამახვილებინებ, რომ წესიერ სამკუთხედს 3 სიმეტრიის ღერძი აქვს, წესიერ ოთკუთხედს – 4, წესიერ ექვსკუთხედს– 6; მოდი ვნახოთ, რამდენი სიმეტრიის ღერძი აქვს წესიერ ხუთკუთხედს. იქნებ გამოვთქვათ ვარაუდი წესიერი n-კუთხედის სიმეტრიის ღერძების რაოდენობის შესახებ (დაადგენენ, რომ წესიერ n-კუთხედს სიმეტრიის n ღერძი აქვს).	ახალი ცოდნის აგება ინდუქციის მეთოდი	წყვილებში მუშაობა	გეომეტრიული ფიგურები ფერად ფურცლებზე, მარკერი, ცხრილი, შუქნიშნის ბარათები	7წთ
5	**სიტუაციური ამოცანა**: ნინიმ დედას სთხოვა, დახმარებოდა თოჯინის კაბის შეკერვაში. დედამ მას ნაჭერზე ცარცით ზურგის თარგის მხოლოდ ნახევარი დაუხატა. როგორ გამოჭრის ნინი კაბის ზურგის მხარეს? ხომ ვერ დავეხმარებით მას? სავარაუდოდ, მოსწავლეები მიხვდებიან, რომ თარგი იქნება სიმეტრიული და გადაწყვეტენ ნინის პრობლემას, თუ გაუჭირდებათ, მათ სკაფოლდინგით მივიყვან პასუხამდე. პრაქტიკულად ვაჩვენებ, როგორ შეიძლება გამოიჭრას მარტივად სიმეტრიული ფიგურა. შემდეგ მოსწავლეები შეეცდებიან, თვითონ მიიღონ სიმეტრიული ფიგურები ფურცლის გადაკეცვით და გამოჭრით. მოცემული აქტივობა ხელს შეუწყობს მათ გახალისება-გააქტიურებას.	სიტუაციური ამოცანა „სწავლა კეთებით“	საერთო საკლასო ინდივიდუალური	თოჯინის კაბის თარგი, ფერადი ფურცლები, მაკრატელი, კომპიუტერი, პროექტორი, ვიდეო	7წთ
6	**კითხვის დასმა** საკითხის გაგების შემოწმების მიზნით, მოსწავლეები უპასუხებენ შეკითხვებს, რომლებიც პროექტორზე გამოჩნდება. კითხვას უპასუხებს პირველი მოსწავლე, მეორე აღნიშნავს ეთანხმება თუ არა პირველი მოსწავლის მოსაზრებას, მესამეს მოჰყავს არგუმენტი, თუ რატომ არის პირველი მოსწავლის პასუხი სწორი ან არასწორი. ერთი კითხვის დასმით შესაძლებელი ხდება მთელი კლასის ყურადღების მობილიზება. მოსწავლეთა არჩევა „გამოსაძახებელი ჩხირის“ საშუალებით მოხდება. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები დაეხმარებიან ერთმანეთს სწორი პასუხის ამოცნობაში.	კითხვის დასმა	საერთო საკლასო	პროექტორი, კომპიუტერი, კითხვები, გამოსაძახებელი ჩხირები	5წთ
7	**თემის შეჯამება** განხილული თემის შეჯამებისა და აზრის ლაკონურად ჩამოყალიბების მიზნით, გამოვიყენებ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს, ე.წ. „სწრაფი წერითი სამუშაო“. მოსწავლეებს ვთხოვ, ერთი წინადადებით შეაჯამონ განხილული თემა. ამ ინსტრუმენტის დახმარებით, მცირე დროში, შემექმნება წარმოდგენა, სასწავლო საკითხთან დაკავშირებით, მოსწავლეთა მზაობის, გაგება-გააზრების, ინტერესებისა და დამოკიდებულების შესახებ. საკითხის ერთი წინადადებით შეჯამება მოსწავლისგან სიღრმისეულ გააზრებას და მაღალი დონის სააზროვნო უნარების გააქტიურებას მოითხოვს. მოსწავლეები ერთწინადადებიან შეჯამებას დაწერენ ფერად წებოვან ფურცლებზე და მიაკრავენ „ცოდნის ხეს“.რამდენიმე მოსწავლე ხმამაღლა წაიკითხავს წინადადებას.	„ერთი წინადადებით შეჯამება“	წყვილები	ფერადი წებოვანი ფურცლები, „ცოდნის ხე“	3წთ

8	**თვითშეფასება** მოსწავლეებს დავურიგებ მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტს – „მოსწავლის სწავლის აღწერის ფორმას“ (დანართი 2) აღნიშნული ფორმის შევსებით, მოსწავლე შეაფასებს საკუთარ პროგრესს სასწავლო მიზანთან მიმართებით. აღნიშნული ბარათით აწარმოებენ აღრიცხვას მიმდინარე თემაზე მუშაობის განმავლობაში. ბარათების გაანალიზება დამეხმარება საჭიროებისამებრ დავგეგმო ან მოვახდინო აქტივობების კორექცია.	თვითშეფასება	ინდივიდუალური	მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა	3წთ
9	**შეფასება** შეფასების რუბრიკის საშუალებით, გავაკეთებ საერთო საკლასო შეფასებას (დანართი 1).	განმავითარებელი	საერთო საკლასო	შეფასების კრიტერიუმები	4წთ
10	**საშინაო დავალება** მოსწავლეებმა უკვე იციან, რას ნიშნავს „საკლასო მენიუ“ თუ „საშინაო მენიუ“, ამიტომ დავალების შესახებ მცირე განმარტება საკმარისი იქნება. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, თავისი ინტერესების შესაბამისად, გააკეთონ არჩევანი. თან ვითვალისწინებ, რომ შესაძლებელია რომელიმე მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი არ იყოს კომპიუტერი. 1. სავალდებულო: დავალებები მათემატიკის წიგნიდან; 2. არჩევითი: ა) დახატე საქართველოს დროშა და აღნიშნე მასზე სიმეტრიის ღერძები; ბ) გადაკეცე ფურცელი, დახატე შენთვის სასურველი ფიგურის ნახევარი და მაკრატლით გამოჭერი, მიიღებ სიმეტრიულ ფიგურას. 3. არასავალდებულო: ა)კომპიუტერის გამოყენებით დახატეთ/დახაზეთ სიმეტრიული და ასიმეტრიული ფიგურები.	ინსტრუქტაჟი	საერთო საკლასო	სახელმძღვანელო „მათემატიკა“	2წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მოსწავლეები შეძლებენ:

- სიმეტრიული ფიგურების ამოცნობას;
- იპოვონ და დახაზონ ფიგურის სიმეტრიის ღერძი (ღერძები);
- ამოიცნონ და დაასახელონ სიმეტრიული ფიგურები და ნივთები, რომლებიც ხვდებათ პრაქტიკაში.

მათ.VI.8. მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული გარდაქმნების დემონსტრირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახდენს მოცემული ბრტყელი ფიგურის (წერტილი, მონაკვეთი, ტეხილი, მრავალკუთხედი) პარალელურ გადატანას ისე, რომ მისი მითითებული წერტილი გადაჰყავს სიბრტყის მითითებულ წერტილში;
- აგებს ბრტყელი ფიგურის სიმეტრიულ ფიგურას, მითითებული სიმეტრიის ღერძის მიმართ, უჯრიან ფურცელზე;
- პოულობს ფიგურათა სიმეტრიული კონფიგურაციის სიმეტრიის ღერძს/ღერძებს და ასაბუთებს პასუხს (მაგალითად, გადაკეცვით, სარკის გამოყენებით).

შეფასება:

დანართი 1

კრიტერიუმი	დამწყები	განვითარებადი	კვალიფიციური
სიმეტრიული ფიგურის ამოცნობის უნარი	მოსწავლეს არ შეუძლია განასხვავოს სიმეტრიული და ასიმეტრიული ფიგურები.	მოსწავლეს, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლია სწორად ამოიცნოს სიმეტრიული ფიგურა.	მოსწავლე, ყოველ ჯერზე, უშეცდომოდ ამოიცნობს სიმეტრიულ ფიგურებს.
ფიგურის სიმეტრიის ღერძის (ღერძების) პოვნის უნარი	მოსწავლე ვერ პოულობს ფიგურის სიმეტრიის ღერძს.	მოსწავლე უშვებს მცირე შეცდომას სიმეტრიის ღერძების პოვნისას.	მოსწავლეს სრულყოფილად ესმის საკითხი და უშეცდომოდ პოულობს სიმეტრიის ღერძს (ღერძებს).

დანართი 2

მოსწავლის თვითშეფასების ინსტრუმენტი
მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა

სახელი და გვარი .....

სასწავლო თემა .....

გაგების დონე	დამწყები	განვითარებადი	კვალიფიციური	რეფლექსია 1. რა ვისწავლე ამ გაკვეთილზე? 2.კედევ რა დამრჩა სასწავლი?
გაკვეთილის თემა: სიმეტრია				

ნანა ცინცაძე
ნიკო მარის სახელობის ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის – „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, მ. ხუნძაყიშვილი.



თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდები

უახლოესმა ტექნოლოგიურმა გამოგონებებმა დიდი გავლენა მოახდინა სწავლა-სწავლების მიდგომებზე. მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაკვეთილის ისე დაგეგმვა, რომ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობა და საჭიროება იქნეს გათვალისწინებული. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) მიიჩნევდა, რომ მასწავლებლებს სწავლების ისეთი მეთოდები უნდა გამოეყენებინათ, რომლის დროსაც, მასწავლებლის ნაკლებად ჩარევით მოსწავლეები მეტ ცოდნას შეიძენდნენ.

სწავლების მეთოდების შერჩევისას, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი. ასევე, უნდა გაითვალისწინოს რესურსების შესაბამისობა გაკვეთილის თემასთან.

ჩვენი სკოლის მოსწავლეებს მოსწონთ თანამშრომლობით სწავლება, ამისთვის ვიყენებთ სასწავლო და სოციალურ პროექტს, კვლევას, დაკვირვებას, პრეზენტაციას, როლურ თამაშებს და ა.შ. შევეცდები, გაგიზიაროთ საკუთარი გამოცდილება სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების გამოყენების თაობაზე.

სასწავლო წლის დასაწყისშივე ვცდილობ, გავწერო სამოქმედო გეგმა სასკოლო თუ არაფორმალური განათლებისთვის, რათა ჩემ მიერ დაგეგმილი აქტივობებით ხელი შევუწყო მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა: თანამშრომლობა, კრეატიულობა, გადაწყვეტილების მიღება, ერთმანეთთსა და გარემოზე ზრუნვა, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და ა.შ. გეგმას ვაცნობ მოსწავლეებს და ვთხოვ, შეავსონ აქტივობები მათი ინტერესებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ აქტივობებში ერთიანდებიან და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს სხვადასხვა კლასის მოსწავლეები.

საკლასო აქტივობებიდან ხშირად ვიყენებ მინი „ჯიქსოუს“, როდესაც ვრცელი მასალა მოკლე დროში მინდა აითვისონ. ამისათვის თემას იმდენ ნაწილად ვყოფ, რამდენი მოსწავლეცაა ჯგუფში. ისინი თავად ინაწილებენ თემებს და აცნობენ ჯგუფს, შემდეგ თითოეული ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას. გარდა იმისა, რომ აღნიშნული აქტივობა დროის ეფექტურად გამოყენებაში მეხმარება, მოსწავლეებს თანამშრომლობის, პასუხისმგებლობის, გუნდურობის უნარებს უვითარებს. ასევე წარმატებით ვიყენებ მეთოდს „სასწავლო გაჩერებები“, რომელიც იმითაა საინტერესო, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა გაჩერებაზე, სხვადასხვა დავალება ხვდებათ. ეს მეთოდი რეპროდუქციული სისტემით შესწავლისას გამოვიყენე. პირველ გაჩერებაზე მოსწავლეებისთვის გამზადებული მქონდა უხმო ფილმი, ჩანასახოვანი შრეებიდან ორგანოების ჩამოყალიბების შესახებ. მეორე გაჩერებაზე მიკროსკოპში უნდა დაეთვალიერებინათ კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი. მესამე გაჩერებაზე უნდა დაემთავრებინათ მეიოზის სქემა, ხოლო მეოთხე გაჩერებაზე – ფერადი წებოვანი სტიკერები (ყველა ჯგუფს თავისი ფერი ჰქონდა) მიეწებებინათ საილუსტრაციო პლაკატზე, სადაც დავალება იყო მოცემული. ყველა ჯგუფს უნდა შეესრულებინა ყველა დავალება და ნამუშევრები ადგილზე დაეტოვებინათ. საწყის ადგილზე დაბრუნებულ ჯგუფს სხვა ჯგუფების ნამუშევრები ხვდებოდა და აკეთებდნენ ანალიზს.

არანაკლებ სახალისო და ეფექტურია ქეისებით სწავლებაც. ეს მეთოდი ადრეული ქორწინების თემის შესწავლის დროს გამოვიყენე. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ როლურ თამაშებში, საინტერესოდ წარმოადგენდნენ მცენარის ქსილემას და ფლოემას (პრეზენტაციისას ყველა აქტივობის ფოტოები წარმოვადგინეთ). დავასრულეთ მუშაობა სასწავლო პროექტზე „ფოტოსინთეზი“. პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა აქტივობა განვახორციელეთ: ლაბორატორიული სამუშაო, დაკვირვება, ინფორმაციის მოძიება, დახარისხება, პრეზენტაციები, ინტეგრირებული გაკვეთილი (ინგლისური ენიდან ვთარგმნეთ ინფორმაცია ფოტოსინთეზის შესახებ). პროექტი დავასრულეთ კედლის გაზეთის გამოშვებით.

ასევე საინტერესო იყო ტელეფონის მიზნობრივი გამოყენება სასწავლო პროცესში. ინტეგრირებულ გაკვეთილზე მოსწავლეებმა ტელეფონი ტექსტის სათარგმნად გამოიყენეს. შეძლებისდაგვარად, საგაკვეთილო პროცესში ვიყენებ ვიდეოფილმებს, შემდეგ ვაანალიზებთ და ვმართავთ დისკუსიას.

საგაკვეთილო პროცესი სახალისო, აქტიური, მიზანზე და შედეგზე ორიენტირებული იქნება, თუ აქტივობები მიზნობრივად იქნება შერჩეული და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფილი. ამისათვის მასწავლებელი დიდ დროს უნდა უთმობდეს გაკვეთილის დაგეგმვას, მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილი შეიძლება სულ სხვა მიმართულებით წარიმართოს, მაინც საჭიროდ ვთვლი წინასწარ მომზადებას.

რაც შეეხება კლასგარეშე აქტივობებს, წელს პირველი კლასგარეშე აქტივობა გვქონდა ბორჯომის ეროვნულ ნაკრძალში, დავათვალიერეთ ნაკრძალის მუზეუმი, გავიარეთ მოკლე საფეხმავლო ბილიკი და დავასუფთავეთ ნაკრძალის ის ტერიტორია, რომელიც დავლაშქრეთ; სახალისო იყო ასევე შემდეგი აქტივობაც – მოსწავლეები, კლასების მიხედვით, ჯგუფებად დაიყვნენ (თვითონ გადაწყვიტეს ასე). თითოეულ ჯგუფს დაურიგდა ერთნაირი რესურსი და კვერცხი. ამ რესურსის გამოყენებით კვერცხი უნდა ჩამოეტანათ პირველ სართულზე (ცხადია, კიბის გამოყენება არ შეიძლებოდა). მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ აქტივობაში, ერთმა ჯგუფმა მოახერხა დავალების შესრულება.

შემეცნებითი მნიშვნელობის იყო კიდევ ერთი აქტივობა, როცა ჩვენი სკოლის მერვეკლასელები შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეს შეუერთდნენ – ხელნაკეთი ბუკლეტები გაავრცელეს ბორჯომის ხალხმრავალ ადგილებში. აღნიშნულმა აქტივობამ ბორჯომის ტელევიზიაც დააინტერესა.

თინათინ ბერიძე
ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი

ინოვაციური სამოდელო გაკვეთილის გეგმის ნიმუში

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
სწავლების საფეხური, კლასი: საბაზო, VIII კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 5 (სსსმ მოსწავლე არ არის)
გაკვეთილის თემა: ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედას“
გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეები სიღრმისეულად გაიაზრებენ ი. ჭავჭავაძის ლექსს ,,ქართვლის დედას“;
- შეძლებენ ვერბალური და არავერბალური საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას;
- დაამუშავებენ ინფორმაციას სხვადასხვა საშუალებით (წერა, მეტყველება, მარკერი);
- შეძლებენ ტექსტის გაგება-გაანალიზებას და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

ესგ-ს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები:
ქართ.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.

- მსჯელობს სათანადო არგუმენტაციის მოხმობით და თანმიმდევრულად ავითარებს თავის აზრს.

ქართ.VIII. 5. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე.

- დაწვრილებით შეისწავლის ტექსტის შინაარსს, ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე და მათზე დაყრდნობით ახსნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

ქართ. VIII. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

- მონიშნავს ტექსტში ინტერპრეტაციისთვის გაუგებარ ადგილებს.

კლასის ორგანიზების ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალური, წყვილში მუშაობა.
მოსწავლეთა წინარე ცოდნა: შესწავლილი აქვთ ი. ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“, „აჩრდილის“ VII და IX თავები.
მეთოდები/სტრატეგიები: გონებრივი იერიში, ვარაუდების გამოთქმა, კითხვა-პასუხი, არგუმენტირებული მსჯელობა, ურთიერთსწავლება, ფურცელზე ჩანიშვნები.
გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45წთ.
რესურსები: კომპიუტერი, პროექტორი, ფლიფჩარტი, თაბახის ფურცლები, მარკერები, სახელმძღვანელო.
მოსწავლეთა შეფასების ფორმა: განმავითარებელი შეფასება, მოსწავლეთა თვითშეფასება და მასწავლებლის დაკვირვება.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობის აღწერა	**დრო**	**აქტივობის მეთოდი**	**აქტივობის მიზანი**	**კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები**	**სასწავლო რესურსი**	**მოსწავლის შეფასება**	**აქტივობის სავარაუდოდ მისაღწევი შედეგი**
აქტივობა 1. გამოწვევა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით. 1. ფერწერულ ტილოზე დაკვირვება (ნახატი დ. კაკაბაძისა). მასწავლებლის ინსტრუქცია: დააკვირდით ეკრანზე ნაჩვენებ ფერწერულ ტილოს და ამოიცანით ავტორის ჩანაფიქრი. – როგორ ფიქრობთ, ვისი სიმბოლური სახეა ნახატზე? – რაზე დაგაფიქრათ ამ ნახატმა? დაწერენ სტიკერებზე და გააკრავენ ფლიფჩარტზე (მსჯელობა).	5წთ	ვარაუდების გამოთქმა სოკრატესეული დიალოგი	არავერბალური მასალით გადმოცემული ინფორმაციის გააზრება და ინტერპრეტირება	მთელი კლასი	ფლიფჩარტის ფურცელი, პროექტორის გამოყენება, სტიკერები	მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა ჩართულობასა და ქცევებზე	მოსწავლეთა დაინტერესება ახალი მასალით
აქტივობა 2. ვარაუდების გამოთქმა 1. გამოთქვან ვარაუდები, თუ რას შეიძლება შეეხებოდეს გაკვეთილის თემა. მოსწავლეების ვარაუდების შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მათ, თემიდან გამომდინარე, განსაზღვრონ რა შეიძლება იყოს გაკვეთილის მიზანი. მიზნის განსაზღვრის შემდეგ კი, ისევ მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს და სთხოვს, დამოუკიდებლად განსაზღვრონ რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ გაკვეთილის მიზანი განახორციელონ. ამის შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს მოსწავლეთა პასუხებს და განუმარტავს გაკვეთილის თემასა და მიზანს, ასევე გაკვეთილის ტიპს (სწავლის სწავლება), აქვე შეახსენებს ქცევის წესებს და შეფასების რუბრიკებს (დანართი №).	5წთ						
აქტივობა 3. მასწავლებლის მიერ ახალი მასალის ახსნა **2. დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე** მასწავლებელი თვალსაჩინოდ აკრავს გაუგებარ სიტყვათა მნიშვნელობებს და აწვდის აქტივობის ინსტრუქციას. სთხოვს, სურვილის მიხედვით, ერთ-ერთმა მოსწავლემ მხატვრულად წაიკითხოს ლექსი, შემდეგ ხუთ ნაწილად დაყოფილი ტექსტი დაამუშაონ ინდივიდუალურად (ჩუმი კითხვა), ისარგებლონ გაუგებარი სიტყვათა განმარტებით და ჩაინიშნონ მთავარი დეტალები (ქართველი დედის მისია, დანიშნულება, ეპიგრაფის მნიშვნელობა, ქრისტეს მცნება და სხვა), დამუშავებული მასალა გააცნონ აუდიტორიას (ტექსტის გამთლიანება).	13წთ	ტექსტზე დამოუკიდებელი მუშაობა, ურთიერთსწავლება, ჩანიშვნების გაკეთება, ნამუშევრის პრეზენტაცია მეთოდი „მოზაიკა“	მოსწავლე ლექსში „ქართვლის დედას“ გაეცნობა ქართველი დედის დამახასიათებელ თვისებებს.	ინდივიდუალური, წყვილში მუშაობა	სახელმძღვანელო, ფლიფჩარტის ფურცელი, თაბახის ფურცლები	მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა ჩართულობაზე, ზეპირი შეფასება-კომენტარი.	მოსწავლეები შეძლებენ მიღებული ინფორმაციის დახარისხებას და მსჯელობას.
აქტივობა 4. მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია (პრეზენტაციას გააკეთებს ერთი მოსწავლე და სხვები შეავსებენ განსხვავებული მოსაზრებებით)	3წთ	პრეზენტაცია		პრეზენტაცია			
აქტივობა 5. ახალი მასალის სიღრმისეული წვდომა მასწავლებელი აწვდის ინსტრუქციას. მოსწავლეებს სთხოვს, ლექსიდან ამოიწერონ მნიშვნელოვანი ფრაზები, გამოიყენონ „რეიტინგის მეთოდი“ და დაალაგონ სიძლიერის მიხედვით. შემდეგ, 2-3 წინადადებით, დაწერონ და აღწერონ, რატომ მოეწონათ ეს ფრაზა და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.	10წთ	იდეების გენერირება, არგუმენტირებული მსჯელობა, „რეიტინგის“ მეთოდი, წერა მაგიდის ირგვლივ	მოსწავლე, 2-3 წინადადებით, აღწერს რატომ მოეწონა ეს ფრაზა. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას.	ინდივიდუალური	თაბახის ფურცლები	მასწავლებლის დაკვირვება, სიტყვიერი წახალისება-კომენტარი	მოსწავლეები შეძლებენ მნიშვნელოვანი ფრაზების ამოწერას და მსჯელობას.
აქტივობა 6. გაკვეთილის შეჯამება მასწავლებელი მოსწავლეებს აფასებინებს გაკვეთილს შემაჯამებელი კითხვების მეშვეობით (ბლუმის ტაქსონომიაზე დაყრდნობით). 1. ვინ უნდა მოამზადოს, ილიას აზრით, ხვალინდელი დღე? 2. როგორ უნდა აღიზარდოს მომავალი ქართველი? 3. რა მნიშვნელობა ენიჭება მომავლის შექმნაში „ქრისტეს მცნებას“? 4. როგორ უკავშირდება ეპიგრაფი ლექსის მთავარ სათქმელს? 5. როგორ ფიქრობთ, რატომ არის დედა წარსულის, აწმყოსა და მომავლის გამაერთიანებელი? მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების ცხრილს, მასწავლებელი ავსებს მოსწავლეზე დაკვირვების სქემას და აწვდის განმავითარებელ შეფასებას ეტაპობრივად, ყველა ძირითადი აქტივობის შემდეგ.	7წთ	მინი-დისკუსია	მოსწავლეებმა სწორად გააანალიზონ გაკვეთილის ჩატარებაში თავიანთი წვლილი			რუბრიკა და ზეპირი კომენტარი, მოსწავლეთა თვითშეფასება შეფასების რუბრიკები	მოსწავლეები შეძლებენ გაკვეთილის შეჯამებას და შესრულებული ქმედებების სწორად შეფასებას.
საშინაო დავალება – წერილობით, რა არის ლექსის მთავარი სათქმელი.	2წთ	ახსნა-განმარტება		მთელი კლასი			

შეფასების ფორმები, დანართის სახით, თან ერთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

დანართი 1

მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა სააზროვნო უნარ-ჩვევებზე

(პირობითი ნიშნების ჩაწერა: ხშირად ავლენს – „+“, ნაკლებად ავლენს – „-“, ვერ ავლენს – „?“)

მოსწავლის გვარი და სახელი	**I აქტივობა** ახალი იდეების მოფიქრება გამოწვევის ფაზაზე	**II აქტივობა** შეარჩევს მეთოდს, დამოუკიდებლად იაზრებს ახალ მასალას, სწორად პასუხობს კითხვებს	**III აქტივობა** შეუძლია არგუმენტირებული მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოხატვა	**IV აქტივობა** სწორად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს
1				
2				
3				
4				
5				

მასწავლებელი:.....

დანართი 2

თვითშეფასების სქემა

ინსტრუქცია: მონიშნეთ შესაბამისად

№	**ცოდნა და უნარები**	**დიახ**	**ნაწილობრივ**
1	წავიკითხე და გავიგე ტექსტის შინაარსი		
2	მოტივირებული ვარ აქტიური მოსმენისთვის		
3	მოვინიშნე და ამოვიწერე ტექსტიდან საჭირო ციტატა და გავაკეთე კომენტარი		
4	გამოვიყენებ ლექსიკონს სიტყვათა განმარტებისთვის		

5	წინარე ცოდნა გამოვიყენე ახალი ცოდნის გაგებისათვის		
6	ახალი ცოდნა დავაკავშირე სხვა საგანში მიღებულ ცოდნასთან		
7	გამოვიყენე კითხვის მრავალფეროვანი მეთოდები ტექსტის გაგების, გააზრების და საკუთარი მოსაზრების გამოხატვისთვის		
8	დავამუშავე ინფორმაცია დავალების შესაბამისად		
9	ტექსტიდან ამოვკრიბე ფაქტობრივი ინფორმაცია მოქმედების, ვითარების, მოვლენათა თანმიმდევრობის		
10	გავიგე ტექსტის მთავარი სათქმელი, გავაკეთე ანალიზი, ჩამოვაყალიბე დასკვნა		

რეფლექსია

მე-8 კლასში ჩავატარე სამოდელო გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტარატურაში. გაკვეთილის ტიპი იყო ინოვაციური.

გაკვეთილის თემა იყო ილია ჭავჭავაძის „ქართვლის დედას“. მიზანი: მოსწავლეების მიერ ლექსის სიღრმისეულად გააზრება; ვერბალური და არავერბალური საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება, ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით დამუშავება; ტექსტის გაგება-ანალიზი და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

გაკვეთილს წარვმართავდი გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიხედვით. მნიშვნელოვანი გადახვევა-მოდიფიცირება არ დამჭირვებია. ვფიქრობ, რომ გაკვეთილზე გამოყენებული სასწავლო მეთოდები შეესაბამებოდა წინასწარ განსაზღვრულ საგაკვეთილო მიზნებს. თავდაპირველად მოვაგვარეთ საორგანიზაციო საკითხები და მოსწავლეებს ვკითხე მათი მოლოდინის და მოტივაციის შესახებ საგაკვეთილო პროცესის მიმართ. შევეცადე, მათი მზაობა, პოზიტიური დამოკიდებულება და მოლოდინი შემენარჩუნებინა მთელი გაკვეთილის მანძილზე.

გაკვეთილის თემის, მიზნის, მოსალოდნელი შედეგების, ასევე აქტივობებისა და მეთოდების გასაცნობად გამოვიყენე „სოკრატული დიალოგი“. მოსწავლეებს ვანახე PP საპრეზენტაციო მასალა და ვთხოვე, დაკვირვებოდნენ და ამოეცნოთ თუ რა იყო გამოსახული სლაიდებზე. მათი სავარაუდო პასუხების მოსმენის და ანალიზის შემდეგ, განვუმარტე გაკვეთილის თემა, მიზანი, მოსალოდნელი შედეგები, დაგეგმილი აქტივობები და მეთოდები, ასევე, ინოვაციური გაკვეთილის არსი და შეფასების რუბრიკები: მოსწავლეთა თვითშეფასება და მასწავლებლის დაკვირვება.

წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეებს დავუსვი სხვადასხვა დონის სააზროვნო კითხვები (ვცდილობდი, დავყრდნობოდი „ბლუმის ტაქსონომიას“). მოსწავლეების პასუხები, ხშირ შემთხვევაში, იყო დამაჯერებელი, გამყარებული არგუმენტებით.

გაკვეთილის მიზნების მიღწევას სწორად დაგეგმილი აქტივობების ეფექტურად განხორციელებამ შეუწყო ხელი: ძალიან კარგი იყო, რომ წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, გამოწვევის ფაზაზე, სათაურის გასააზრებლად, პროექტორით წარმოვადგინე ფერწერული ტილო (დ. კაკაბაძე) – ვისი სახე-სიმბოლოა ტილოზე წარმოჩენილი, რაზე დაგაფიქრათ ამ ნახატმა? შემდეგ ვთხოვე, თავიანთი მოსაზრებები სტიკერებზე დაეწერათ და ემსჯელათ, რის საფუძველზეც მოსწავლეებმა არა მარტო გაიხსენეს ადრე შესწავლილი მასალა, არამედ დაუკავშირეს ახალს და აქტიურად ჩაერთვნენ საგაკვეთილო პროცესში.

შემდეგ მოსწავლემ მხატვრულად წაიკითხა ლექსი. მოსწავლეებს მივეცი ხუთ ნაწილად დაყოფილი ლექსი და ვთხოვე, მათთვის მოსახერხებელი „ჩუმი კითხვის“ მეთოდით (ჩანიშვნა იქნებოდა ეს თუ მარკერის გამოყენება) ეხელმძღვანელათ სიტყვათა განმარტებებით და შემდეგ მოეთხროთ აუდიტორიისთვის. ტექსტის გამთლიანება მოვახდინე „მოზაიკის მეთოდით“, რომლის გამოყენებამ მოსწავლეებს ხელი შეუწყო ლექსის აღქმასა და გაგებაში. დროდადრო მათ ვაწვდიდი განმავითარებელ შეფასებას იმის მიხედვით, თუ რა ნაწილი შეასრულეს კარგად და რა ნაწილი მოითხოვდა გაუმჯობესებას.

შემდეგი დავალების შესასრულებლად გამოვიყენე „რეიტინგის მეთოდი“. მოსწავლეებმა, ინდივიდუალურად, ლექსიდან ამოიწერეს სტიკერებზე მათთვის მნიშვნელოვანი ფრაზები და გააკრეს ფლიფჩარტზე. მსჯელობით, ფრაზები დაალაგეს სიძლიერის მიხედვით – რაც პირველ ადგილზე დააწებეს, აღწერეს 3-4 წინადადებით; „წერა მაგიდის ირგვლივ“, მიუწერეს კომენტარები და ერთ-ერთმა მოსწავლემ გამართა პრეზენტაცია. ამ გზით მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაეცნენ ტექსტის შინაარსს და გააკეთეს სათანადო არგუმენტირებული დასკვნები. მოსწავლეებს დროულად ვაწვდიდი პოზიტიურ უკუკავშირს.

შემდეგ დავსვი შემაჯამებელი კითხვები, რომელთა საშუალებითაც შეაჯამეს მიღებული ცოდნა, გააანალიზეს ლექსი, გამოიტანეს დასკვნები, ისაუბრეს იმ განცდებზე, რომლებიც კითხვის დროს დაეუფლათ, წარმოაჩინეს თუ რა იყო მათთვის საინტერესო, ასევე ჩაინიშნეს, რის გაგებას ისურვებდნენ პოეტის შემოქმედების შესახებ. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ ილია ჭავჭავაძის ლექსს ,,ქართვლის დედას“.

ეფექტურად გამოვიყენე მრავალფეროვანი საგაკვეთილო რესურსები, რომლებიც შეესაბამებოდა გაკვეთილის თემას. მსვლელობისას აქტიურად გამოვიყენეთ სახელმძღვანელო (ავტორი – ვ. როდონაია, მ. ხუციშვილი), დამატებითი ლიტერატურა და ინტერნეტმასალა (დ. კაკაბაძის ფერწერული ტილო).

მოსწავლეებს მივეცი წერითი საშინაო დავალება – რა არის ლექსის მთავარი სათქმელი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გაკვეთილის წარმატებით ჩატარებაში დიდი დახმარება გამიწია, ჯერ გეგმის შედგენამ შიდა დაკვირვების გაკვეთილის შესახებ სქემის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემდეგ – გაკვეთილის პროცესში ჩემი მოქმედების ამ სქემასთან შესაბამისობაში წარმართვამ.

ჩემსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობისა და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით წარიმართა, მაქსიმალურად ვცდილობდი, ვყოფილიყავი აქტიური მსმენელი.

მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს ქცევის წესების კარგი ცოდნა როგორც საერთო საკლასო, ისე დამოუკიდებელი და წყვილებში მუშაობის დროს. მთელმა კლასმა დაამტკიცა, რომ იციან, როგორ უნდა დროის ეფექტურად გამოყენება.

სქემის მოთხოვნების გათვალისწინებით, შევეცადე მოსწავლეებისთვის შემეთავაზებინა მამოტივირებელი სასწავლო რესურსი, სქემები, ფიზიკური გარემო შეესაბამებოდა საკლასო ორგანიზაციის ფორმას, რადგან კლასში 5 მოსწავლეა, ამიტომ ვარჩიე მთელ კლასთან და წყვილებთან მუშაობა. ამან სასურველი შედეგი გამოიღო. სასწავლო რესურსი ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იყო, რადგან გათვალისწინებული მქონდა მათი შესაძლებლობები და სურვილები.

მთელი გაკვეთილის განმავლობაში ვცდილობდი, ერთმანეთთან დამეკავშირებინა საგაკვეთილო და გრძელვადიანი მიზნები და შევძელი ამის გაკეთება. ტექსტზე მუშაობის დროს, ვხელმძღვანელობდი იმ პრინციპით, რომ გამემდიდრებინა მოსწავლეების ლექსიკური მარაგი, სწორად გამომეყენებინა აკადემიური ტერმინები; ვცდილობდი, ყველა აქტივობის წინ, გამომეკვეთა სამოქმედო ინსტრუქციები და მიზნები, რამაც მოსწავლეების მობილიზებაში კარგი როლი შეასრულა; შეფასების სქემის მოთხოვნას შევუსაბამე სასწავლო სტრატეგიები, თანმიმდევრული ვიყავი კითხვების დასმაში და შევეცადე, თავად მოსწავლეებსაც დაესვათ კითხვები, წარემართათ მსჯელობა, გაეკეთებინათ დასკვნები; კლასის მოსწავლეთა დონე საშუალოზე მაღალია, ამიტომ იოლად შევძელი სტრატეგიების გამოყენება, გაკვეთილი იყო ხალისიანი და დინამიური, ყველა ეტაპზე პროცესში ჩართული იყო ყველა მოსწავლე.

გაკვეთილის წარმატებით ჩატარებაში ხელი შემინყო შეფასების რუბრიკების გათვალსაჩინოებამ და მათი გამოყენებით შეფასების წარმართვამ. გამოვიყენე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა, მოსწავლეზე დაკვირვება და თვითშეფასება. შევეცადე, მიზნობრივი ვყოფილიყავი განმავითარებელი შეფასების დროს, წარმატებით გამოვიყენე მოსწავლეთა შეფასების ხერხიც. მოსწავლეთა შეფასების დროს ვცდილობდი, არ დამერღვია ობიექტურობის პრინციპი და ვფიქრობ, შევძელი ამის გაკეთება.

გაკვეთილის პროცესში გეგმის მოდიფიცირების საჭიროება არ დამდგარა. თუმცა, გამოიკვეთა ხარვეზი – ზოგიერთი მოსწავლე არ იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში. საჭიროა გავითვალისწინო მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტელექტუალური შესაძლებლობები და მეტად დიფერენცირებული დავალებები შევთავაზო.

ჩატარებული გაკვეთილის მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ მივაღწიე დასახულ მიზანს – მოსწავლეებმა არსებული ცოდნა და გამოცდილება დაუკავშირეს ახალ მასალას, რითაც შევძელი დაგეგმილ შედეგზე გასვლა.

მარინა ბერიძე
სსიპ თემურ ზაქარაძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის
სოფელ ხარაულის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. „ქართული ენა და ლიტერატურა“ (VIII კლასი. გამომცემლობა „სწავლანი“. 2012 წელი);
2. ეროვნული სასწავლო გეგმა (http://ncp.ge/files/ESG/2011-2016/sazogadoebrivi%20mecnierebebi%20-%20ncp.pdf).

ინოვაციური ელემენტებით ჩატარებული გაკვეთილი

თემა: რა ამოძრავებს სისხლს

როცა ჩემივე წარსული გამოცდილება და მოგონებები საშუალებას არ მაძლევს დავიგიწყო სკოლის პერიოდის კადრები და მინდა ჩავასწორო „ტვინის კალმით“ ის, რაც არ მომწონდა იმდროინდელ განათლებაში, ბუნებრივია, იმავე კადრების განმეორებას და ცოდნის იმგვარი სტილით დამახსოვრებას ჩემს მოსწავლეებს არ ვუსურვებ.

ჩემს გაკვეთილზე, დღეს, მთავარი სამიზნე ბავშვია, ამიტომ, თითოეული სწორად მიწოდებული საზრდო სამომავლოდ ქვეყნის პროდუქტიულობას გაზრდის. მიმაჩნია,რომ მასწავლებელი მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით უნდა გეგმავდეს გაკვეთილებს. თუ იცი, შენს მოსწავლეებს რა აბედნიერებს, მაშინ ადვილია მათი გაბედნიერება. სახალისო აქტივობები შევარჩიე თემის მიზნიდან გამომდინარე, დავგეგმე და ჩავატარე ინოვაციური გაკვეთილი. მოვიფიქრე ერთ-ერთი აქტივობა „წიგნის თარო“ – ეს მეთოდი დამეხმარა გაკვეთილის პროცესის შეფასებისას, როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. დავხაზე ვერტიკალური ხაზები ისე, რომ ვიზუალურად მართლაც წიგნის თაროს ჰგავდა. გაკვეთილის დაგეგმვისას რამდენი აქტივობაც მქონდა, იმდენი სვეტი გავაკეთე.მოსწავლეებს გავაცანი ინსტრუქცია: ყოველი კარგად შესრულებული აქტივობის შემდეგ, თაროზე, პირობითად, განთავსდება ერთი წაკითხული წიგნი (ვერტიკალური ფორმის წებოვანი ფერადი ფურცელი). გაკვეთილის ბოლოს, წიგნის თაროზე დაკვირვებით, ვაფასებთ რამდენად კარგად წარიმართა სასწავლო პროცესი.

I აქტივობა: განწყობისა და ყურადღების მობილიზების მიზნით, ჯგუფებს მივეცი დავალება – წინა გაკვეთილზე, ექიმთან ვიზიტის დროს, თითოეული მოსწავლის გადამოწმებული გულისცემის სიხშირეზე დაკვირვებით, აეგოთ სვეტოვანი დიაგრამა და მოემზადებინათ პრეზენტაცია – რატომ შეიცვალა რამდენიმე მოსწავლის პულსი ვარჯიშის შემდეგ? რამდენია ნორმალური პულსი ადამიანისთვის? არის თუ არა ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის ერთნაირი გულისცემის სიხშირე? თაროზე, პირობითად, განვათავსე „წაკითხული წიგნი“.

II აქტივობა: სვეტოვანი დიაგრამის აგების შემდეგ, ვთავაზობ „კოდის გახსნას“ იმ კითხვებზე დაყრდნობით, რომელიც დამეხმარება შემდეგ აქტივობაზე გადასასვლელად.
(კითხვა:
1. ორგანიზმის წითელი მდინარე?
5 3 5 0 3 3 – სისხლი;
2. სად მოძრაობს სისხლი?
5 3 5 0 3 9 1 5 7 2 2 3 3 – სისხლძარღვებში;
3. რა გადააქვს სისხლს?
5 1 4 1 1 1 1-ჟანგბადი,
5 1 3 2 2 1 3 4 3 2 2 3 2 5 2 1 2 1 3-საკვები ნივთიერებები
(კოდის გახსნის ნიმუში: მათემატიკური ციფრების ქვეშ მოთავსებულია ქართული ანბანის ასოები:

1	2	3	4	5
აბგდ	ევზთ	იკლმ	ნოპ	ურს
6	7	8	9	0
ტუფ	ქღყ	შჩც	ძწჭ	ხჯჰ)

III აქტივობა: კოდის გახსნის შემდეგ, ვთავაზობ ხელნაკეთ სისხლძარღვებს. მათზე დაკვირვების საფუძველზე, პასუხობენ შემდეგ კითხვებს: რა ტიპის სისხლძარღვია? რომელია ყველაზე წვრილი სისხლძარღვი? რომელ სისხლძარღვს აქვს სქელი და მკვრივი კედლები? პასუხებს ასაბუთებენ და გამოაქვთ დასკვნა, თუ სად მოძრაობს სისხლი. შესრულებული აქტივობის შემდე წიგნის თაროს კიდევ ემატება „წაკითხული წიგნი“.

IV აქტივობა: ვთავაზობ „წიგნის თაროზე“, წაკითხულ წიგნებს შორის განთავსებულ, წასაკითხ წიგნს სახელწოდებით „გული სიყვარულის ორგანოა“. დავალების პირობა: ჩათვალეთ, რომ ეს განსახილველი წიგნია, არ გაქვთ წაკითხული, მაგრამ სურვილი წკითხვისა დიდია. დაიწყეთ წიგნის კითხვა და, გულთან დაკავშირებით, ჩამოთვალეთ ზმნები. „ასოციაციურ რუკაზე“ ჩამოვწერ მოსწავლეების პასუხებს და ამ ზმნებისგან შეადგენენ წინადადებებს. წიგნის თაროზე განთავსდება ერთი წებოვანი ფურცელი.

V აქტივობა: გრამატიკული წინადადებების შედგენის შემდეგ, ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით, ვთავაზობ ტექსტზე მუშაობას (გვ96) – წაიკითხონ, გაიაზრონ და წაკითხული ტექსტიდან საკვანძო საკითხები მომაწოდონ. ჩამოვწერ ფლიფჩარტზე და, კლასთან ერთად, ვკითხულობ შევსებულ ვარიანტს. საბოლოოდ, ჯგუფებს ექნება ინფორმაცია – რა ამოძრავებს სისხლს?თაროს კიდევ ერთი წიგნი შეემატება.

VI აქტივობა: ტექსტზე მუშაობის შემდეგ, ჯგუფებს შესასრულებლად ეძლევათ სახელმძღვანელოში მოცემული დავალება (სავარჯიშო 1), წიგნის თაროზე იდება „წაკითხული წიგნი“.

VII აქტივობა: მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის ათვისების შემოწმების მიზნით, ვაძლევ „დასასრულებელ წინადადებებს“ და ვაჯამებ გაკვეთილს. წიგნის თაროზე კიდევ ერთი წიგნი განთავსდება.

VIII აქტივობა: ვაფასებ განმავითარებელი შეფასებით.

IX აქტივობა: შეფასება – „მასწავლებელი როგორც ცოცხალი რესურსი“ – გულის ფორმის გამოჭრილ ქაღალდზე, წარწერით „გულს უხარია თქვენთან ერთად გაკვეთილის ჩატარება“, ვთხოვ მოსწავლეებს დაწერონ, ერთი წინადადებით, გაკვეთილის შესახებ გულის ფორმის წებოვან ფურცელზე და დამაწებონ „გულზე“. ამ აქტივობით მოსწავლეებისთვის თავისუფალი სივრცე შევქმენი და ნდობის ფაქტორი გავზარდე.

დავუბრუნდით წიგნის თაროს და მიღწეული შედეგები ერთობლივად შევაფასეთ.

ალბათ არაფერია ამ ქვეყანაზე იმაზე კარგი, როცა ბავშვს მიზანმიმართულ განათლებას გადასცემ. მასწავლებელს კი, ყოველდღიურად უწევს ფიქრი, ხვალინდელი გაკვეთილი დღევანდელზე უკეთესი გამომივიდესო.

რუსუდან ხინიკაძე
ციხისძირის საჯარო სკოლის
ბუნებისმეტყველების მასწავლებელი

ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ სწავლებისათვის

VII კლასის ქართული ლიტერატურის პროგრამაში შეტანილია ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“.

დღევანდელი მეშვიდეკლასელები არ მოსწრებიან „აფხაზეთის ომს“. ზოგს გაუგონია საქართველოს ამ კუთხისა და ამ ომის შესახებ, ზოგს არც გაუგონია, ყოველ შემთხვევაში, მათ ეს კუთხე არ უნახავთ და რა გასაკვირია, რომ არ უყვარდეთ. ეს მოთხრობა მოწოდებაა, რომ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს აფხაზეთი! არა მარტო გვახსოვდეს... ეს მხარე მათი მძიმე მემკვიდრეობაა, მათი ტვირთი... უფრო მეტიც, მათი ჯვარია...

მოთხრობის შესწავლამდე, მის უკეთ გასააზრებლად მოსწავლეებს მივეცი დავალება, მოეძიებინათ მასალა აფხაზეთის, კონკრეტულად, ამ ომის შესახებ და განემარტათ, თუ რა იყო ომი. ასევე, ოფიციალური მონაცემები: რა შედეგი მოჰყვა ამ ომს აფხაზებისთვის, რა შედეგი მოჰყვა ქართველებისთვის, ვინ დარჩა მოგებული, ვინ – წაგებული.

შევაჯამეთ მათ მიერ მოტანილი მასალა, რომ ომი არის სისხლი, დასახიჩრებული ცხედრები და ადამიანები, ბომბები და ტყვიამფრქვევები... ზოგმა დაკარგა ოჯახის წევრები, ზოგმა – სახლ-კარი, ზოგმა – სიცოცხლე, ზოგმა– ღირსება, ზოგმა – ყველაფერი და ზოგიც გადარჩა...

ნუგზარ შატაიძე ამ მოთხრობით სვამს კითხვას: ვინც გადარჩა – გადარჩა? სწორედ ამ კითხვის პასუხია მოსაძებნი.

ომის აუცილებელი თანმხლები მოვლენაა დევნილები და ლტოლვილები. ამ ორ ტერმინს მუდმივად ურევენ ერთმანეთში, ამიტომ მოსწავლეებთან ერთად განვმარტე ვინ არის დევნილი და ვინ – ლტოლვილი.

დევნილი – საქართველოს კანონმდებლობით, არის საქართველოს მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, ვინც იძულებული გახდა, დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილდა (საქართველოს ფარგლებში) იმ მიზნით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მის ოჯახის წევრთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. დევნილთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია 1996 წლის 28 იანვრის კანონით.

ლტოლვილი – საქართველოს კანონმდებლობით, ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა იმის გამო, რომ იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულებებისათვის და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო. ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა, მათი უფლება-მოვალეობანი და დაცვის გარანტიები განსაზღვრულია საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის კანონით ლტოლვილთა შესახებ.

ამ მოთხრობაში ავტორი გვიყვება დევნილი ბიჭის ისტორიას. ის სრულიად იმედგაცრუებული მიდის მამის მოსაძებნად რუსეთისგან ოკუპირებულ ქალაქ ტყვარჩელში, სადაც ომამდე ლაღად და ბედნიერად ცხოვრობდა. ბიჭის მამა, ავადმყოფობის გამო, აფხაზეთში დარჩა, დედა და შვილი კი გამოერიდნენ ომს და თბილისში დასახლდნენ, თითქოსდა სამშვიდობოს გამოაღწიეს.

ყველა ადამიანი არ არის ერთნაირი, არც ნებისყოფა აქვს ერთნაირი და არც ნერვები. ყველას ვერ მოვთხოვთ გმირობას... ხოდა, ბიჭის დედაც სუსტი ნებისყოფის აღმოჩნდა, ვერ გაუმკლავდა განსაცდელს, ვეღარ დაიწყო ცხოვრება თავიდან – გალოთდა, სვამდა ყოველდღე, როგორც თვითონ ამბობდა, „ეშმაკი არ ასვენებდა“... მდგომარეობიდან გამოსული ჯავრს შვილზე იყრიდა, „დაბალ ღობეზე“, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე... სცემდა გამეტებით, უმოწყალოდ, მაგრამ ბიჭი ცემას და უსამართლობას იტანდა, იმედგაცრუება ვერ აიტანა, უნდობლობა. თანაც ვინ გახდა მისთვის უცხო – დედა, ერთადერთი ახლობელი ადამიანი: „უეცრად იმ ახვარი გოჩას არეული სიფათი დამიდგა თვალწინ; გამახსენდა მისი ავად მოელვარე თვალები...“ მოღალატე დედას გამოექცა და ქუჩას მიანდო თავისი ბედი.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენს გმირს სახელი არ აქვს. მოსწავლეები ჩემ მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ არ დაარქვა ავტორმა მთავარ პერსონაჟს სახელი, პასუხობენ, რომ ეს არ არის ერთი კონკრეტული ბიჭის ისტორია, ეს თბილისის ქუჩებს თავშეფარებული დევნილი ბავშვების ზოგადი სახეა – უპატრონოებისა და „პატრონიანების“... გასათვალისწინებელია ისიც, რომ დედაც უსახელოა, ისიც ზოგადი სახეა ცხოვრებადანგრეული ქალისა.

ბიჭი დედას კი გამოექცა, მაგრამ მძიმე მოგონებებს და სასტიკ რეალობას რას უზამდა? სინამდვილესთან შეგუების თავისებური გამოსავალიც იპოვა: *„მძულს ამაზე ფიქრი, ყოველთვის გავურბივარ, მაგრამ ზოგჯერ, მინდა თუ არა, მაინც ამომიტივტივდება ხოლმე მეხსიერების ზედაპირზე და მეც გულმოდგინედ ვცდილობ მის ჩაძირვას. ბოლო ხანებში ჩემს შიგნით გამომრთველის მსგავს რაღაცას მივაგენი, ის ამბავი რომ გამახსენდება, მაშინვე – ტკაც! – და გამოვრთავ, აღარ ვწვალობ...“*

პატარა მაწანწალებს თბილისის ქუჩებში ერთი გულისხმიერი ადამიანიც არ გამოუჩნდათ. არადა, ხომ არ იმალებოდნენ – ქურდობდნენ, მათხოვრობდნენ და სიცივისგან თავის დასაცავად „კაიფობდნენ“ კიდეც – „როცა კაიფობ, აღარ გცივა...“

ბიჭს გვრდით მეგობარი მოუკვდა, გაიყინა თუ აცეტონით მოიწამლა, არავინ იცოდა. შეშინებულმა ვერც კი გაამხილა, ისე გამოიქცა, გაშორდა იმ ადგილს. მის ირგვლივ უიმედობა სუფევდა, არავის ენდობოდა: „წუპაკაზე კრინტი არავისზე დამიძრავს, მეშინოდა, ჩემთვის არ დაებრალებინათ“. ეს ამბავი თბილისში მოხდა, აფხაზეთიდან მოშორებით, სამშვიდობოს... გადარჩა წუპაკა? ის საცოდავი ყველას უთვისტომო ეგონა, ასეც ამბობდა, არავინ მყავსო... სიკვდილის შემდეგ მისი და გამოჩნდა, ლუიზა. ის გოგო, თურმე, ცირკთან იდგა... გადარჩა ლუიზა?

ბიჭი ადამიანებს კატეგორიებად ყოფდა, ლუკმა-პურის საშოვნელი თვისება შეიმუშავა, როგორ მიეღო მოწყალება, როგორ ეთხოვა ფული, ვისთვის და რა სიტუაციაში: *„უნდა იცოდე, ვის სთხოვო, თავი როგორ შეაცოდო, ყველა კი არ მოგცემს, ყველას არცა აქვს“.* ამაზე უნდა ფიქრობდეს ბავშვი? ითვალისწინებს ამას დევნილის უფლება?

ბიჭმა თითქოს იპოვა გამოსავალი – მამა, ოკუპირებულ აფხაზეთში დარჩენილი იმედი... და გადაწყვიტა მის მოსაძებნად წასვლა. ამ გადაწყვეტილების შესრულება ადვილი არ იყო. თვითონ ამ ყველაფერს საბედისწერო კლდიდან გადმოხტომას ადარებს: *„მეჩვენებოდა, რომ იმ კლდის თავზე ვიდექი და გადმოსახტომად ვემზადებოდი. ჯერ კიდევ შეიძლებოდა უკან ჩამოსვლა... მაგრამ ამგვარი ფიქრი საშინელ სირცხვილად მიმაჩნდა და ამიტომ მაშინვე ვიშორებდი თავიდან!“*

ზუგდიდამდე მატარებლით წავიდა. მატარებელში იხსენებს ოჯახურ იდილიას... არ ენატრება არც სიმდიდრე და არც ფუფუნება, მხოლოდ სიმშვიდე და იმედი სჭირდება.

ბიჭი არ ცხოვრობდა თბილისში, ის ამ ქალაქს თავს აფარებდა, გარშემო კი გულცივი და თანაგრძნობისგან დაცლილი ადამიანები ეხვია. პირველი მხარდაჭერა ენგურის ხიდზე იგრძნო – უცნობმა ქალმა შვილიშვილად გააცნო მესაზღვრეებს და ასე გაიყვანა სამშვიდობოს. მერეღა დაინტერესდა მისი ვინაობით: *„მადლიერების გრძნობით მივაჩერდი, ახლა ეს დედაბერი საკუთარი ბებიასავით მიყვარდა, გული ამომიჯდა, ყელში ხორკლიანი გორგალი მომაწვა და კინაღამ ღრიალი მოვრთე“.*

ამ კეთილმა ქალმა ეს არ ჩათვალა საკმარისად და ბიჭი თავის დისშვილს გააყოლა ოჩამჩირეში, რომელმაც უსასყიდლოდ წაიყვანა ოჩამჩირემდე და შემდეგ თავის ახლობლებთან მიიყვანა ღამის გასათევად.

ბიჭი აფხაზურ ოჯახში მოხვდა. ამ ოჯახში სასაუბრო ენა რუსულია, თუმცა, ცოლიც და ქმარიც მშვენივრად ლაპარაკობდნენ ქართულად. მათ ქართველი დედები ჰყავდათ, რა თქმა უნდა, მშობლიური ენაც შესანიშნავად იცოდნენ. მაშ, რატომ ლაპარაკობდნენ რუსულად? მათ რუსული სკოლა ჰქონდათ დამთავრებული და იმიტომ. რუსული განათლება შემზადება იყო იმისთვის, რაც შემდეგ მოხდა. აქ მოსწავლეებმა გაიხსენეს გასულ წელს ნასწავლი ინფორმაცია – *„აფხაზმა ბევრად ადრე გაიწვდინა ხელი რუსეთისკენ. რუსეთმაც ბევრად ადრე ჩაუშვა ღუზა აფხაზეთის სანაპიროზე.*

როდესაც ქართული ანბანი რუსულმა ჩაანაცვლა, რუსმაც შავი ზღვის ყურეებს დაადგა თვალი.

რუსულმა ენამ აფხაზსა და ქართველს შორის გაუცხოების კედელი აღმართა. ორი მოძმე ხალხის – აფხაზებისა და ქართველების – ურთიერთობისთვის მესამე ენა გახდა საჭირო! ასე გაბატონდა რუსული“.

აფხაზების რუსულ სკოლებში მასობრივი შეყვანა ნელი მოქმედების ნაღმი იყო, რომელიც საჭირო სიტუაციაში აუცილებლად აფეთქდებოდა. რუსული განათლება უდრიდა რუსულ ორიენტაციას...

ბიჭი, თავისი ცხოვრების სინამდვილიდან გამომდინარე, ეჭვით უყურებდა ყველას, აქაც, ამ ოჯახის დიასახლისს, ზიტას, თავისი ნამდვილი სახელი არ უთხრა.

ზიტამ და დაურმა უმასპინძლეს ბიჭს, ღამე გაათევინეს, დილით ასაუზმეს და გულთბილად გამოისტუმრეს: *„შევნიშნე, როგორი თვალებით მიყურებდა ზიტა“... მერე კი „შენ იცი, გია, აქეთ რომ იქნები, აუცილებლად შემოგვიარე...“* ბიჭს გული გაუთბა: *„უეცრად მომინდა, ზიტასთვის ჩემი ნამდვილი სახელი მეთქვა, მაგრამ მივხვდი, რომ არ გამოდიოდა...“*

დაურმა ბიჭი გამოაცილა და ტყვარჩელამდე საბარგო მანქანას გააყოლა, მატარებელი უკვე აღარ დადიოდა: *„ისე მემშვიდობებოდა, თითქოს დროებით მივდიოდი სადღაც და მალე უკან უნდა დავბრუნებულიყავი.“*

ეს იყო რიგითი აფხაზური ოჯახისა და ქართველი დევნილი ბიჭის შეხვედრა. ამ ეპიზოდიდან გამომდინარე, რა პირადი მტრობა ჰქონდათ ქართველებსა და აფხაზებს? მათ შორის რუსული ენაა...

ბიჭი ჩავიდა ტყვარჩელში, დახვდა სრულიად სხვა ქალაქი, თავისი აოხრებული სახლიდან მკლავმოგლეჯილი დათუნია წამოიღო – ბედნიერი ბავშვობის სახსოვარი. ბოლოს ერთი ძველი მეზობელიც ნახა, ეს ქალი, მარო ბებო, ცარიელ კორპუსში ცხოვრობდა. ბიჭს საბოლოო იმედიც გაუცრუდა – გადარჩენის გზა მამასაც მოენახა – აფხაზ ქალზე დაქორწინებულიყო და ორი გოგონაც ჰყავდა... ეს ბოლო წვეთი იყო... თუმცა, მოხუცმა იმ ღამეს აღარ გამოუშვა: *„არ გაგიშობ, არა... სად უნდა წახვიდე ახლა! – პირზე ტკბილი ღიმილი მოეფინა“.* ქალმა უმასპინძლა, მოეფერა, დაარიგა, რომ დები გაეცნო, მოჰფერებოდა, ეხვეწა, დარჩენილიყო, მაგრამ ბიჭმა არ დაუჯერა...

თბილისში პირდაპირ სადგურზე წავიდა, იყიდა პარკები, წებო და იმ ღამეს „იმოგზაურა აფრიკაში“ – მივიდნენ სპილოები, მარტორქები, ჟირაფები, ზებრები, ლომები, ანტილოპები... „სულ ბოლოს ორი გიენაც მოვიდა“...

ტექსტის დასრულების შემდეგ ვნახეთ ეპიზოდები გიორგი ოვაშვილის ფილმიდან „გაღმა ნაპირი“, რომელმაც კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე. ზოგი თვლიდა, რომ ფილმში უკეთესად იყო გადმოცემული ტექსტში აღწერილი ფაქტები, ზოგი კი უპირატესობას მოთხრობას ანიჭებდა. T დიაგრამის გამოყენებით გამოვარკვიეთ თუ რა განსხვავება იყო ტექსტსა და ფილმს შორის, რის შემდეგაც გავმართეთ დისკუსია. სადისკუსიო კითხვა იყო : გადარჩა თუ დაიღუპა ბიჭი? აქ აზრი კვლავ ორად გაიყო.

I გადარჩა – არგუმენტები: *„მატარებელში არ დამეძინა, ათას რამეზე ვფიქრობდი, ვიგონებდი გალელ დედაბერს, რომელმაც იქითობისას ენგურის ხიდზე გადამიყვანა, მის დისშვილ გივის, ზიტას და დაურის, მარო ბებიას...“ „დედაჩემს თავისი ნიშნობის ბეჭედს მივუტან და მივუგდებ.“ „მინდოდა, გერასიმესთვის მკლავი მიმეკერებინა, მაგრამ აღარაფრის თავი აღარ მქონდა“...*

II დაიღუპა – არგუმენტები: *„დილით პირდაპირ სადგურში წავედი, ვიყიდე წებო და პარკები...“ „სულ ბოლოს ორი გიენაც მოვიდა“*(გიენა მოდის ბოლოს, სისხლზე).

აღნიშნულ ნაწარმოებთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მივიჩნიე ნაეკითხათ „აფხაზი გოგოს წერილი“, დათო ტურაშვილის „აჩიბაბა და ორმოცი ყაჩაღი“, ენახათ ფილმი „ბამბაზიის სამოთხე“.

ამ მოთხრობამ წარმატებით გასცა პასუხი კითხვას: ვინც გადარჩა, გადარჩა? ჩვენს გმირს ორივე მშობელი ჰყავს: დედა – თბილისში, მამა – აფხაზეთში... რამდენი ობოლი ინატრებდა მის მდგომარეობას... მაგრამ, არა, ის უთვისტომო და მიუსაფარია... ომი არ უნდა დაიწყოს, იმიტომ, რომ არასდროს მთავრდება. ფიზიკურად გადარჩენა არ ნიშნავს გადარჩენას, სხვა თუ არაფერი, მოგონებაც კი მძიმე ტვირთია...

ამიტომ, კითხვაზე, ვინც გადარჩა – გადარჩა? პასუხი ცალსახაა – ვერ გადარჩა!

ნუგზარ შატაიძე გენიოსია და კლასიკოსი, თუნდაც მხოლოდ ამ ერთი მოთხრობით.

თამარ ნაჩხატაშვილი
სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი. გვ.459;*
2. *სამოქალაქო განათლების ლექსიკონი;*
3. *ნუგზარ შატაიძე – „მოგზაურობა აფრიკაში“.*

ღიმილაკებით გადმოცემული პერსონაჟთა ემოციები

დღეს თითქმის წარმოუდგენელია ადამიანებთან ონლაინ ურთიერთობა ღიმილაკების საშუალებით ემოციის გამოხატვის გარეშე. ღიმილაკები განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს სოციალურ ქსელებში.

დღევანდელ სწრაფ და ცვალებად სამყაროში პედაგოგებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ იმისათვის, რომ მათი პროფესიული ცოდნა თანამედროვე და ახალი ინფორმაციით იყოს გამდიდრებული. მასწავლებელი არ უნდა ჩამორჩეს ახალი ეპოქის მოთხოვნებს, დაეუფლოს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს და აქტიურად გამოიყენოს ისინი სასწავლო პროცესში. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსწავლეები საკმაოდ კარგად იცნობენ ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ღიმილაკებს. საგაკვეთილო პროცესში ღიმილაკები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი ერთ-ერთი ეფექტური აქტივობა.

მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება – როგორ დავგეგმე და ჩავატარე სამოდელო გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მესამე კლასში, სადაც მოსწავლეებმა, ღიმილაკების გამოყენებით, შეძლეს წაკითხულის გააზრება, პერსონაჟის ემოციებისა და გრძნობების აღწერა.

სტანდარტთან შესაბამისობა:

ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

მოსწავლე:

• იყენებს საყრდენებს/მინიშნებებს (მაგ., შეთავაზებული მარტივი გრაფიკული მაორგანიზებლების) ინფორმაციის დასახარისხებლად.

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

მოსწავლე:

• საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;

• ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;

• ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.);

• გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს).

გაკვეთილის თემა: იაკობ გოგებაშვილის „გულკეთილი ქვრივი“

დრო: 45 წუთი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა უნდა შეძლონ:

• ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება, გეგმის შედგენა;

• პერსონაჟის ემოციების/განწყობის ამოცნობა და გამოსახვა ღიმილაკების საშუალებით;

• ემოციის/განწყობის შესაბამისი ზედსართავი სახელის დასახელება.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1 (3წთ). თემისა და მიზნის გაცნობა

მოსწავლეებს ვაცნობ გაკვეთილის თემას და მიზანს. ვუხსნი როგორი სამუშაო ელოდებათ გაკვეთილის დროს. ვაცნობ კლასის ორგანიზების ფორმებს. შევახსენებ იმ მეთოდებსა და აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც მოუწევთ მუშაობა. ასევე, მოსწავლეებს გავაცნობ შეფასების რუბრიკებს, რომელთაც საგაკვეთილო პროცესში გამოვიყენებთ. მოსწავლეები გაიხსენებენ ქცევის წესებს.

აქტივობა 2 (3წთ) ღიმილაკების შესახებ ვიდეომასალის ჩვენება

მოსწავლეთა მოტივაციისა და წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, იმაში დასარწმუნებლად, რამდენად კარგად იცნობენ ციფრულ სივრცეში გავრცელებულ სიმბოლოებს – ღიმილაკებს, მასწავლებელი მათ აჩვენებს ვიდეოს „ბავშვები და ღიმილაკები“. შემდეგ კი, ბავშვებთან ერთად, საუბრობს ვიდეოსა და, ზოგადად, ღიმილაკების შესახებ – რა იციან ღიმილაკების შესახებ, თუ იყენებენ რეალურად, რა განცდა გაუჩნდათ ვიდეოს ნახვისას და სხვ.

აქტივობა 3 (5წთ) ინტერაქტიული მინი-ლექცია ემოციების შესახებ

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ემოციების შესახებ, რომ ძირითად ემოციებს წარმოადგენს: ბრაზი, სევდა, შიში, ბედნიერება. მოსწავლეებს, სავარაუდოდ, მათ შესახებ მეტ-ნაკლებად ექნებათ წარმოდგენა. შემდეგ კი, მასწავლებელი ეკითხება, როგორ გამოხატავენ ისინი ამ ემოციებს. მოსწავლეები ჯერ გარეგნულად – მიმიკისა და ჟესტის საშუალებით გამოხატავენ ჩამოთვლილ ემოციებს, შემდეგ კი, სავარაუდოდ, გაიხსენებენ ზოგიერთი ემოციის სხეულებრივ მინიშნებებს. მაგ.: ბედნიერება – ღიმილი, სიცილი, მშვიდი; მოწყენილი – ცრემლები, ტირილი, მოღუშული, თავი დახრილი; ბრაზი – წითელი სახე, შეჭმუხნული წარბები, დაკრეჭილი კბილები; შეშინებული – ფართოდ გახელილი თვალები, სწრაფი გულისცემა, კანკალი. მოსწავლეთა პასუხები მასწავლებელს დაფაზე გადააქვს.

აქტივობა 4 (10წთ) ტექსტის ეპიზოდებად დაყოფა-დასათაურება, გეგმის შედგენა

ტექსტის წაკითხვამდე, მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ინსტრუქციას. უხსნის, რომ წაიკითხავს ტექსტს ეპიზოდებად, მოსწავლეები კი ყურადღებით მოისმენენ, უპასუხებენ შეკითხვებს, შემდეგ კი, მიეცემათ დრო ეპიზოდის დასასათაურებლად. მასწავლებელი სთხოვს, გადაშალონ სახელმძღვანელოები და მიადევნონ თვალი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას „გულკეთილი ქვრივი“. მასწავლებელი ტექსტს ლოგიკურ ნაწილებად ყოფს (შენიშვნა: მოცემულ შემთხვევაში, ტექსტი 6 ნაწილად დაიყო, მასწავლებელს შეუძლია უფრო მეტ ან ნაკლებ ლოგიკურ ნაწილად დაყოს). მასწავლებელი ხმამაღლა, პაუზების დაცვითა და შესაბამისი ინტონაციით, კითხულობს ტექსტს. თითოეული ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ, სვამს მარტივ შეკითხვებს ტექსტის ირგვლივ, რათა დარწმუნდეს, კარგად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა წაკითხული მასალა, შემდეგ სთხოვს, დაასათაურონ მონაკვეთი. ყველაზე ლოგიკური და ორიგინალური სათაური იწერება დაფაზე. პარალელურად, სიუჟეტის განვითარების საფეხურების ან ეპიზოდების მიხედით დაყოფილი ტექსტის შესაბამისი სათაურები თანმიმდევრობით ინომრება მასწავლებლის მიერ.

აქტივობა 5 (10წთ) პერსონაჟთა ემოციების გამომხატველ ცხრილზე მუშაობა

თვალსაჩინოებისთვის მასწავლებელი დაფაზე ხაზავს მარტივ ცხრილს, რომელშიც მარცხენა მხარეს, ერთმანეთის ქვეშ, მოსწავლეების დახმარებით, ჩამოწერს მოთხრობის პერსონაჟებს, ზემოთ კი, ერთმანეთის გვერდით, დაწერს ტექსტის ნაწილების ნუმერაციას.

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს გადასცემს რესურსების თითო კომპლექტს: მრგვალად გამოჭრილ ფერად ფურცლებს, ფერად ფანქრებს, წებოს და ფლიფ-ჩარტს, რომელზედაც გამოსახულია ცხრილი.

ამის შემდეგ, ჯგუფებს აძლევს დავალების ინსტრუქციას: მრგვალად გამოჭრილ ფერად ფურცლებზე დახატონ ემოციის გამომხატველი ღიმილაკები. ისინი უნდა გამოხატავდნენ იმ განწყობა/ემოციას, რომელსაც განიცდის ეს პერსონაჟი ტექსტის თითოეულ მონაკვეთში და დააწებონ ტექსტის მონაკვეთის შესაბამისი ციფრის ქვეშ.

აქტივობა 6 (6წთ) პრეზენტაცია

მოსწავლეთა სურვილის მიხედვით შერჩეული პრეზენტატორები წარმოადგენენ საკუთარი ჯგუფის ნამუშევარს, ხოლო მასწავლებელი მათ დაფაზე აკრავს და განიხილავს მთელ კლასთან ერთად.

აქტივობა 7 (4წთ) ენობრივი მასალის გააქტიურება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ზედსართავი სახელი და მისი კითხვები. შემდეგ კი, თითოეულ ღიმილაკს (ემოციის გამომხატველ გამომეტყველებას) შეურჩიონ შესაბამისი სიტყვა – ზედსართავი სახელი. სავარაუდოდ, მოსწავლეთა პასუხები იქნება ასეთი: მხიარული, ბედნიერი, მოწყენილი, გაბრაზებული, შეშინებული და ა.შ.

აქტივობა 8 (3წთ) მოსწავლეთა ჩართულობით გაკვეთილის შეჯამება/შეფასება

მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, აჯამებს გაკვეთილს. ამისათვის სვამს შეკითხვებს და ასაუბრებს მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ როგორ იმუშავეს, რა გაუჭირდათ, რამ გაახალისათ? საინტერესო იყო თუ არა ტექსტი და მასზე მუშაობა? რატომ? რაში და როგორ გამოიყენებენ დღეს მიღებულ ცოდნას? შემდეგ მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს, აძლევს განმავითარებელ შეფასებას. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ურიგებს თვითშეფასების რუბრიკას და სთხოვს, შეაფასონ საკუთარი თავი.

აქტივობა 9 (1წთ) საშინაო დავალების მიცემა

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებად, დახატონ მოთხრობის ერთი ეპიზოდის ილუსტრაცია.

შეფასება: მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეუძლიათ წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, პერსონაჟის ემოციებისა და განწყობის ამოცნობა ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში, ემოციის შესაბამისი ზედსართავი სახელების დასახელება.

მეთოდური მითითება:

ამ აქტივობის მოდიფიცირება და გამოყენება თავისუფლად არის შესაძლებელი წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვასთან დაკავშირებული შედეგების მისაღწევად. ეს შედეგებია:

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

მოსწავლე:

- გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს;

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

მოსწავლე:

- აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით.

შედეგი: აღნიშნულ გაკვეთილზე მიზნობრივად გამოყენებულმა სტრატეგიებმა უზრუნველყო მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა. შესაბამისად, სასწავლო პროცესი გახდა სახალისო და საინტერესო. მოსწავლეებმა შეძლეს: ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება, გეგმის შედგენა; პერსონაჟის ემოციების/განწყობის ამოცნობა და გამოსახვა ღიმილაკების საშუალებით; ემოციის/განწყობის შესაბამისი ზედსართავი სახელის დასახელება.

დაბოლოს, **დასკვნის** სახით ვიტყვი, რომ გრაფიკული ღიმილაკები საუკეთესო საშუალებაა პერსონაჟისა თუ პირადი ემოციების გადმოსაცემად.

ნინო ვაშალომიძე
სსიპ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური) 2018-2024;
2. ქართული ენა და ლიტერატურა, I-VI კლასები, გ ზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2011;
3. ქართული ენა და ლიტერატურა, ი. იაშვილი, ნ. მხეიძე, მ. აბესაძე, 2018.

„აღიარების ენა“ მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში

მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა ბევრი მკვლევარის, ფსიქოლოგის, და სხვა დაინტერესებული ადამიანების კვლევის და მსჯელობის საგანი ყოფილა. ეს ურთიერთობა დაწერილი და დაუწერელი კანონებით რეგულირდება, თუმცა, ბევრ შემთხვევაში, ამ კანონების უგულებელყოფა და კიდევ მრავალი ფაქტორი განაპირობებს მოსწავლე-მასწავლებელს შორის ურთიერთობის დაძაბვას, რაც, ხშირად, კონფლიქტში გადაიზრდება ხოლმე. ეს უკანასკნელი კი, მოგეხსენებათ, უარყოფითად აისახება მოსწავლეზე ყველა ასპექტში (აკადემიური მოსწრება, ქცევა , დამოკიდებულებები და სხვა). ბევრი იწერება და ბევრი კვლევაც ტარდება იმის თაობაზე, თუ როგორ დარეგულირდეს უთანხმოებები, კონფლიქტები. ფსიქოლოგები გვირჩევენ, პედაგოგებმა გამოვიყენოთ კომუნიკაციის ეფექტური ხერხები. როგორც მოგეხსენებათ, დაძაბულობა, უთანხმოება, კონფლიქტი მოსწავლე-მასწავლებელს შორის მხოლოდ დაბალი აკადემიური მოსწრების ან ქცევის გამო არ ხდება, ეს შესაძლოა გამოიწვიოს მასწავლებლის არასწორმა კომუნიკაციამ, თუნდაც არაფორმალურ გარემოში (მაგ; ექკურსიაზე). ხშირად პედაგოგები პირველ წარმოდგენას მოსწავლეებზე მათი გარეგნობიდან ან ჩაცმულობიდან გამომდინარე იქმნიან და შესაბამისი მოლოდინებიც აქვთ.

ფსიქოლოგები გვირჩევენ და პრაქტიკაც გვიჩვენებს, რომ ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი ხერხი „აღიარების ენის“ გამოყენებაა. „აღიარების ენა“ ნიშნავს მიიღო ადამიანი ისეთი, როგორიც არის. ფსიქოლოგმა და მეცნიერმა, თომას გორდონმა „აღიარების ენა“ გამოიყენა მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის დარეგულირებაში და, როგორც თვითონ აღწერს მისსავე წიგნში „როგორ გავხდე კარგი მშობელი“, ძალიან კარგი შედეგი მიიღო.

როდესაც გავეცანი წიგნს, გადავწყვიტე, მისი მეთოდი მოსწავლეებთან ურთიერთობაში გამომეყენებინა. როგორც გორდონი აღნიშნავს, „აღიარების ენას“ დიდი ძალა აქვს და მისი გამოყენება აისახება ქცევაში, საქმიანობაში, შემოქმედებაში, პროდუქტიულობაში. ის ნოყიერ ნიადაგს ქმნის მოზარდის განვითარებისთვის, პოტენციალის რეალიზებისთვის. ხშირად მშობლები თვლიან, რომ ბავშვის ხშირი შექება, საქციელის მოწონება, მისი, როგორც პიროვნების აღიარება, უარყოფითად აისახება აღზრდაზე. იმავე აზრისაა ზოგიერთი მასწავლებელიც. ამ დროს, ბავშვის აღიარების შემთხვევაში, პირიქით ხდება.

როგორ უნდა გამოვიყენოთ „აღიარების ენა“ სასკოლო ცხოვრებაში, კონკრეტულად კი მოსწავლე-მასწავლებლის ურითიერთობაში? როცა ადამიანს ისეთს ვიღებთ, როგორიც არის, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღზრდის და განვითარების პროცესებზე, მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკრეტული ცვლილებების მოსახდენად და სხვა. აღიარება ურთიერთობას უშუალოს ხდის, მოსწავლე გახსნილია, გულის გადაშლის საშუალება ეძლევა. როცა არ აღიარებენ, პირიქით, თავისთავში იკეტება, მუდმივად თავდაცვით პოზიციაშია, ეზრდება დისკომფორტი და დაბალია მეტაკოგნიციის დონეც. აღიარების ენის გამოხატვის სხვადასხვა ხერხი არსებობს:

- აღიარების დემონსტრირება;
- არავერბალური გამოხატვა;
- ჩაურევლობა, როგორც აღიარების გამოხატვა;
- პასიური მოსმენა;
- ვერბალური გამოხატვა.

❖ აღიარების დემონსტრირების ერთ-ერთი საშუალება საუბარია. თუმცა, როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდება მოსწავლე-მასწავლებელს შორის, დამოკიდებულია საუბრის ფორმაზე. საუბრის დასაწყისი უნდა იყოს კეთილგანწყობილი, რომ მოსწავლემაც ისურვოს „აღიარების ენით“ საუბარი. ჩვენი საუბრის უნარზეა დამოკიდებული, დახმარებას შევძლებთ თუ ზიანს მოვუტანთ. მაგ., თუ მოსწავლესთან საუბარს დამოძღვრით დავიწყებთ, ჩვენდამი ნდობა არ გაჩნდება, შესაბამისად, საუბარი არაეფექტური იქნება, გულწრფელ პასუხებს ვერ მივიღებთ. პირველ რიგში, ჩვენ უნდა დაგვეტყოს გულწრფელობა. საუბარი დავიწყოთ დადებითი კონტექსტით, მაგ., მოსწავლე გამოგვეცხადა თანატოლებისგან მკვეთრად განსხვავებული იმიჯით (მყვირალად შეღებილი თმა ან უცნაური ვარცხნილობა და სხვა). სავარაუდოდ, გარშემომყოფებისგან მან უკვე მიიღო შენიშვნები, შესაძლოა გაკიცხვაც (მათ შორის მშობლებისგან), იგივე მოლოდინი აქვს ჩვენგანაც, მაგრამ თუ ვეტყვით: „ნინი, იმიჯი შეგიცვლია, რაღაცები მომწონს,“ ნიშნავს, რომ მისი იმიჯი ნაწილობრივ მაინც დავაფასეთ, ანუ ვაღიარეთ და „იმედი გავუცრუეთ“. ეს აღიარების გამოხატულებაა. ვფიქრობ, ამის შემდეგ ადვილად შევძლებთ იმის გარკვევას, თუ რაში დასჭირდა ან რატომ მოუნდა იმიჯის მკვეთრი შეცვლა. ნინისთან ამ თემაზე საუბარი, ვფიქრობ, დასაწყისშივე აუცილებელია, რადგან, როგორც ცნობილია, მსგავს ქცევებს სერიოზული მიზეზები აქვს და შემდგომში მისი ქმედებები, შესაძლოა, რადიკალურ ფორმაშიც კი გადაიზარდოს.

❖ არავერბალური გამოხატვა ნიშნავს ჟესტებით, პოზიციით, სახის გამომეტყველებით ან სხვა ქცევით მივანიშნოთ მოსწავლეს ჩვენი დამოკიდებულება მისდამი და ეს აუცილებლად დადებით კონტექსტში (მაგ., ცერა თითის აწევით ვანიშნებთ, რომ რაღაც მოგვეწონა) უნდა იყოს.

❖ ვერბალური გამოხატვა უშუალოდ სიტყვებით გამოხატვას ნიშნავს. ამ შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან, გარდა საუბრისა, აუცილებელია ვიყოთ აქტიური მსმენელიც, ვასაუბროთ მოსწავლე საკუთარ თავზე, პრობლემებზე და ა.შ. რაც უნდა მიუღებელი აზრები ჰქონდეს არ ვაკრიტიკებთ. ამ დროს მოსწავლე გრძნობს, რომ ჩვენ მის გვერდით ვართ (არ ვაკრიტიკებთ) და უჩნდება იმედი, რომ დავეხმარებით.

❖ აღიარების გამოხატვა შესაძლებელია პასიური მოსმენითაც. ეს მეთოდი ეფექტურად მუშაობს, როცა ნდობა უკვე მოპოვებული გვაქვს (წინარე მეთოდებით). ამ დროს, ხშირად ვიყენებთ დუმილის მეთოდს, მაგრამ ვაგრძნობინებთ, რომ ვუსმენთ (თვალებით კონტაქტი). პასიური მოსმენით საშუალებას ვაძლევთ, განთავისუფლდეს ტვირთისგან, დაიცალოს ბრაზისგან და ზიზღისგან (თუ ამასთან გვაქვს საქმე), შესაძლოა, მან თვითონ იმსჯელოს და მივიდეს სწორ დასკვნამდე.

მაგ., მოსწავლე: დღეს გვანცამ ძალიან მაწყენინა.
მასწ.: მართლა?
მოსწ.: გვანცამ მითხრა ბევრს ლაპარაკობო.
მასწ.: გასაგებია.
მოსწ.: ამ დროს თვითონაც ძალიან ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ არავინ ეუბნება და თვითონ კი ვერ ამჩნევს.
მასწ.: ჰმ!
მოსწ.: ჯოგია მე თვითონ ვუთხრა, მაგრამ არ ვეჩხუბები, რჩევის სახით ვეტყვი და ალგათ, გამიგებს.
მასწ.: (დუმს)
მოსწ.: ხო, ჯოგია ასე ვძნა, თორემ მუდმივად თვითონ რომ მაძლევს შენიშვნას, გული მტკივა და შესაძლოა მეგობარი დავკარგო. მოდი, ხვალვე ვეტყვი, რომ მწყინს და მეტჯერ ალარ მითხრას, ალგათ გამიგებს.

ამ ეპიზოდში კარგად ჩანს დუმილის ფასი. ამ დროს მოსწავლე ვაღიარეთ და ის ვითარდება.

ჩაურევლობა, როგორც „აღიარების ენა“, გამოყენებადია, როცა მოსწავლეები მსჯელობენ თემაზე საგაკვეთილო ან თუნდაც არასაგაკვეთილო პროცესში. ვიყოთ დამკვირვებელი, ჩავერთოთ ან მათი თხოვნით, ან მაშინ, როცა მოსალოდნელია, რომ მსჯელობა კამათში გადაეზარდოთ. ეს ნიშნავს, რომ ვაღიარებთ მათ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და პატივს ვცემთ მათ ნააზრევს.

ამრიგად, „აღიარების ენის“ გამოყენებით, ჩვენ:

❖ ვალაგებთ მოსწავლესთან ურთიერთობას;
❖ ვიმაღლებთ ნდობის ხარისხს;
❖ მცირდება ტაბუდადებული თემების რაოდენობა ან საერთოდ ქრება;
❖ ვაკონტროლებთ მის ქცევას;
❖ მოსწავლე კონსტრუქციულად ვითარდება;
❖ ხელს ვუწყობთ მასში დადებითი ცვლილებების განხორციელებას.

რჩევები კოლეგებს:

❖ ხშირად გამოიყენეთ აღიარების ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები;
❖ ვეცადოთ, მოსწავლესთან ერთად მოვაგვაროთ პრობლემები, ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა „აღიარების ენა“;
❖ კომუნიკაციისას ვიყოთ ნაკლებ კრიტიკულები, ზოგჯერ საერთოდ არ ვაკრიტიკოთ;
❖ ვესაუბროთ მათთვის გასაგებ ენაზე;
❖ ვაგრძნობინოთ თავი ჩვენ თანატოლად: დავანგრიოთ სტერეოტიპი – „მოსწავლე არასდროს არაა მასწავლებელზე მეტი“.

ნატო კვარაცხელია
დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ირგანჩაის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების კონსულტანტ-მასწავლებელი, „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის მონაწილე

გამოყენებული ლიტერატურა:
1. თ. გორდონი, „როგორ გავხდე კარგი მშობელი“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – 2014 წელი;
2 ი. ლომაძე, „მოსწავლე-მასწავლებელი“, ურთიერთობა და თანასწორი შესაძლებლობები, mastsavlebeli.ge – 22.05.2017 წელი;
3. მ. ჯალიაშვილი, მოსწავლე და პედაგოგი – ურთიერთობის ეთიკა, mastsavlebeli.ge, 30.07.2018 წელი.

Ինչպե՞ս հաղթահարենք խտրականությունը

Դասի պլան

1.	Դպրոց	Նինոծմինդայի շրջանի գ.Գանձայի թիվ 2 հանրային դպրոց
2.	Ուսուցիչ	Նեկտար Գարիբյան
3.	Ուսուցման մակարդակը	Բազային
4.	Դասի անցկացման ամսաթիվը	27.12.2018
5.	Դասարան	X
6.	Աշակերտների թիվը	19
7.	Սահմանափակ կարողություններ ունեցող աշակերտների թիվը	0
8.	Առարկա	Քաղաքացիական կրթություն
9.	Դասի տևողությունը	45րոպե
10.	Թեմա	Ինչպե՞ս հաղթահարենք խտրականությունը: Ի՞նչ է բուլինգը
11.	Դասի նպատակը	Աշակերտները ծանոթանում են թե ինչ է իրենից ներկայացնում բուլինգը և թե ինչպես կարելի է հաղթահարել խտրականության այս տեսակը:
12.	Ազգային ուսումնական ստանդարտները	X2. Աշակերտը կարողանում է վերլուծել մարդկային արժեքների էությունը: X5. Աշակերտը կարողանում է մտածել, մասնակցել և համագործակցել սոցիալական հիմնախնդիրները լուծելու համար:
13.	Աշակերտների նախնական գիտելիքները և կարողությունները	Աշակերտները կարողանում են տարբերել խտրականության տեսակները, կարողանում են բացատրել և վերլուծել մարդկային փոխհարաբերությունները և գնահատել տարբեր իրավիճակներ:
14.	Գնահատում և ինքնագնահատում	Աշակերտները գնահատվում են զարգացնող գնահատման տեսքով:

Ակտիվություն	Մեթոդաբանություն	Ընդգրկվածություն	Ռեսուրս	Ժամանակ
1. Ուսուցիչը ստուգում է աշակերտների ներկայությունը դասի պրոցեսին և նպատակ ունենալով բարձրացնել նրանց մոտիվացիան ծանոթացնում է նրանց գնահատման աղյուսակի հետ:	1. Պարզաբանում	1. Ընդհանուր դասարան	1. Գնահատման աղյուսակ	1. 5րոպե
2. Ուսուցիչը որպեսզի հասկանա թե որտեղի՞ց պետք է սկսի ստուգում է աշակերտների սկզբնական գիտելիքները: Հարցնում է թե ի՞նչ է խտրականությունը և ի՞նչ տեսակներ գոյություն ունեն:	2. Սխեմայի լրացում «խրտականությունե և նրա տեսակները»	2. Ընդհանուր դասարան	2. Գրատախտակ, կավիճ, քաղկրթության ոժանդակ ձեռնարկ	2. 5րոպե
3. Ուսուցիչը հանձնա-ռարում է աշակերտնե-րին դիտել «Բուլինգը որպես դրոցական խտրականության դրսևորման ձև»խորագրով տեսանյութը:	3. Տեսանյութի դիտում և քննարկում	3. Ընդհանուր դասարան	3. Համակարգիչ	3. 10րոպե
4. Ուսուցիչը աշակերտներին բաժանում է 3 խմբի և հանձնարարում նրանց ընտրել բուլինգի տեսակներից մեկը և պատրաստվելշնորհանդեսի:	4. Շնորհանդես «Բ ուլինգը և նրա տեսակները»	4. Խմբային	4. Թուղթ,մարկերնր, մատիտներ,գունավոր թղթեր,կպճուն ժապավեններ	4. 15րոպե
5. Ուսուցիչը հանձնարարում է աշակերտներին մտածել բուլինգի առաջացման պատճառների մասին և որոշել բուլինգի հաղթահարման հնարավոր ուղիները:	5. Պատի թերթի ստեղծում «Ինչ է անհարաժեշտ մեզ բուլինգը հաղթահարելու համար»	5. Ընդհանուր դասարան	5. Թերթ,մարկերներ,կպչուն ժապավեններ,գունավոր թղթեր	5. 5րոպե
6. Ուսուցիչը հանձնարարում է աշակերտներին գտնել բուլինգի օրինակներ իրենց դպրոցում և որոշել դրանց հաղթահարման հնարավոր ուղիները:	6. Տնային առաջադրանքի հանձնարարում	6. Անհատական	6. Տետր, գրիչ	6. 5րոպե

РОГОРР ДАВЧЛЛОРОТ ДОНСКРОМОНАЦИА, РА АРОН ЖУЛОНГО

РЕФЛЕКСИА

ՍՍՈՅ ՆՈՆՈՇՄՈՆԴՈՒ ՄՈՒՆՈՑԻՊԱԼԻՏԵՏԻ ՍՈՓԵԼ ԳԱՆՁԻ №2 ՍԱՀՄԱՐՈ ՍԿՈԼԻ ՍԱՄՈՒՀԱԼԱՎՈ ԳԱՆԱԹԼԵԳԻՆ ՄԱՍՆԱՎԼԵԳԵԼՄԱ, **ՆԵԿՏԱՐ ԳԱՐԻԳԻԱՆՄԱ**, X ԿԼԱՍԻՆ ՄՈՍՆԱՎԼԵԳԵՆԹԱՆ, ՀԱԱՏԱՐԱ ՂԻԱ ԳԱԿՎԵԹՈՒԼԻ ԹԵՄԱՅԻ: „ՐՈԳՈՐ ԴԱՎՁԼՈՎՈԹ ԴՈՆՍԿՐՈՄՈՆԱՑԻԱ, ՐԱ ԱՐՈՆ ԺՈՒԼՈՆԳՈ“.

ԳԱԿՎԵԹՈՒԼԻՆ ՄԻԶԱՆՈ ՈՎՈ ԱՎԵՏՈՒՐԻ ԵՎ ԳԱՆՎԻԹԱՐԵԳՈՒԼԻ ՄՈՒՀԱԼԱՎԵԵԳԻՆ ԱՂԶՐԴԱ, ՐՈՄ ՄՈՍՆԱՎԼԵՆ ՇԵՎԵՂԼՈՍ ԱԹՎԻՍԵԳՈՒԼԻ ՑՈՎԴՆԻՆ ՊՐԱՎԵՏԻԿԱՅԻՆ ԳԱՄՈՎԿԵՆԵԳԱ, ԱՆՈՒ ՐԵԱԼՈՒՐ ԿԵԿՈՎՐԵԳԱՅԻՆ ԱԴԱՄԻԱՆՈՒ ՈՒՂԼԵԳԵԳԻՆ ԴԱՐՂՎԵՎԻՆ ԳԱՄՈՎԼԵՆԱ ԴԱ ԱՄ ՈՒՂԼԵԳԵԳԻՆ ԴԱՑՎԱ.

ՄՈՍՆԱՎԼԵՆԵԳՄԱ ԳԱԻԳԵՆ, ՐԱ ԱՐՈՆ ԺՈՒԼՈՆԳՈ ԴԱ ՐՈԳՈՐ ՇԵՎԵՂԼԵԳԱ, ԱՎՑԻԼՈՆ ԹԱՎԻԴԱՆ ՀԱԼԱԴՈՎԳՈՒՆ ԷՍ ՍԱԽԵ. ԳԱՆՈՒԽՈՒԼԵՆ ԴՈՆՍԿՐՈՄՈՆԱՑԻՈՒՆ ՍԱԽԵԵԳԻՆ, ԳԱՎՈՒՍԼԵՆԵՆ ՍԿՈԼԱՅԻՆ ԺՈՒԼՈՆԳՈՒՆ ՇԵՄԹԽՎԵՎԵԳԻՆ, ԳԱԱԱՆԱԼԻԶԵՆ, ՈՄՍՋԵԼԵՆ, ԹՎ ՐԱ ՈՒՆԴԱ ԳԱԱԿԵԹՈՒՆ ԹՈԹՈՎՈՒԼՄԱ ՄՈՍՆԱՎԼԵՄ, ՐՈՄ ԹԱՎԻԴԱՆ ԱՎՑԻԼՈՆ ԺՈՒԼՈՆԳՈ, ՐՈԳՈՐ ՄՈԱՎՁՈՒՈՆ ԿՈՄԱՐՈՄՈՆՍ. ՄՈԱՄԶԱԴԵՆ ԿԵԴԼԻՆ ԳԱԶԵԹԻ „ԱՐԱ ԺՈՒԼՈՆԳՆ!“.

Գանձայի №2 հանրային դպոցի X դասարանի աշակերտների հետ անցկացվեց բաց դաս. «Ինչպես հաղթահարենք խտրականությունը:Ինչ է բուլինգը թեմայով»: Դասն սկսվեց նախ խտրականության եւ նրա տեսակների վերաբերյալ բացատրություններով եւ համապատասխան սխեմայի լրացումով: Այնուհետեւ աշակերտները բուլինգը առանձնացրեցին որպես դպրոցական խտրականության դրսեւորման տեսակ եւ բացատրեցին նրա էությունը: Հետո դիտեցին տեսանյութ դպրոցական բուլինգի վերաբերյալ: Դիտելուց հետո տեղի ունեցավ տեսանյութի վերլուծություն: Աշակերտներն արտահայտեցին իրենց մտքերը բուլինգի վերաբերյալ: Հետո տեղի ունեցավ շնորհանդես, որին մասնակցեցն նախապես կազմված երեք խմբերը եւ ներկայացրեցին իրենց խմբային աշխատանքը կապված բուլինգի տեսակների հետ: Առաջին խումբը ընտրել էր ֆիզիկական բուլինգը, երկրորդը՝ բառային բուլինգը, երրորդը՝ հուզական բուլինգը: Շնորհանդեսից հետո աշակերտները սկսեցին թվարկել բուլինգի առաջացման պատճառները: Որոշեցին թե որ եւ ինչպիսի երեխաներն են հանդես գալիս բուլինգի նախաձեռնողների եւ ովքեր՝ բուլինգի զոհերի դերերում: Քննարկումից հետո աշակերտներին հանձնարարվեց որոնել եւ գտնել բուլինգը հաղթահարելու կամ այն կանխարգելելու հնարավոր ուղիները: Տարբեր առաջարկներ լսելուց եւ ընդհանուր եզրակացության գալուց հետո ստեղծվեց դասարանում նոր պատի թերթ «Ինչ է անհրաժեշտ բուլինգը հաղթահարելու համար»: Աշակերտներն իրենց մտքերը գրի առան գունավոր թերթիկների վրա եւ փակցրեցին համապատասխան տեղերում: Այնուհետեւ առաջադրվեց անհատական տնային աշխատանք «Հիշել առակներ, ասացվածքներ խոսքի ուժի մասին»:Որպեսզի երեխաները ևս մեկ անգամ զգան թե որքան կարեւոր է բանավոր խոսքը այսօրվա մեր իրականության մեջ:

საშინაო დავალების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

საშინაო დავალება სწავლა/სწავლების ნაწილია, წერილობით შესასრულებელი იქნება თუ ზეპირად სასწავლი. თუ მოსწავლე ჩართულია სწავლის პროცესში, ის მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს დავალების შესრულებისას, ასეთი მოსწავლეები უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილსა და პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავენ სკოლისა და სწავლის მიმართ.

თანამედროვე პირობებში, საჯარო სკოლების საშუალო საფეხურზე, ხშირად პრობლემები იქმნება მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების შესრულების მხრივ. შესაბამისად, კლებულობს მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, ქვეითდება სწავლის ხარისხი, რასაც, საბოლოოდ, აკადემიური მოსწრების დაქვეითებამდე მივყავართ. საშინაო დავალება სწავლა/სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სხვადასხვა ქვეყნის სასკოლო განათლების სისტემაში საშინაო დავალებისადმი განსხვავებული მიდგომები არსებობს. მრავალი ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემაში საშინაო დავალება სწავლების სავალდებულო ნაწილია, ზოგიერთ ქვეყანაში კი თვლიან, რომ საშინაო დავალება საჭირო აღარ არის და იზღუდება ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკით. ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა არასწორია. დოზირებული და სწორად შერჩეული საშინაო დავალება დადებით შედეგს იძლევა სასწავლო პროცესში. გარდა იმისა, რომ საშინაო დავალების შესრულებით გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცება ხდება, ამასთან, მოსწავლე ეჩვევა დამოუკიდებელ მუშაობას, უჩნდება მეტი ცოდნის შეძენის სურვილი და, როგორც აღვნიშნე, უყალიბდება პოზიტიური დამოკიდებულება სკოლის, მასწავლებლისა და სასწავლო პროცესის მიმართ.

39 წელია ისტორიას ვასწავლი სოფლის მცირეკონტინგენტიან სკოლაში. მოსწავლეთა პრაქტიკულ მეცადინეობას, უპირველესად, საშინაო დავალების შესრულებაზე ვაგებ, რადგანაც იგი აფართოებს სწავლის შესაძლებლობებს და აიძულებს მოსწავლეს, შინაც არ შეწყვიტოს სწავლის პროცესი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გაკვეთილზე, რაც უნდა კარგად ჩატარდეს იგი, ხდება მასალის ხანმოკლე დამახსოვრება. ხანგრძლივ მეხსიერებაში ცოდნის გადატანას გამეორება, ანუ გარკვეული სახის სამუშაო სჭირდება, ამ როლს კი, მეტწილად, საშინაო დავალება ასრულებს. ე.ი. საშინაო დავალება საშუალებას გვაძლევს, ცოდნა ოპერატიული მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში გადავიტანოთ. ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში საშინაო დავალების სწორი ორგანიზებისათვის:

– მკაფიოდ ვაყალიბებ საშინაო დავალების მიზანს;

– შემუშავებული მაქვს დავალების კონტროლის მექანიზმი;

– საშინაო დავალების ორგანიზაციის საშუალებები, პირობები და მოტივაცია.

ვიყენებ საშინაო დავალების შემდეგ სახეებს: დიფერენცირებულს, ჯგუფურს, ინდივიდუალურს, შემოქმედებითს, საერთოს – მთელი კლასისთვის. ყოველთვის ვცდილობ, საშინაო დავალება იყოს მრავალფეროვანი, რათა ხელი შევუწყო მოსწავლეებში სხვადასხვა პიროვნული თვისების ჩამოყალიბებას. დავალების მიცემისას, თავდაპირველად, მოსწავლეებს ვაცნობ საშინაო დავალების მიზანს, შემდეგ კი დაწვრილებით ვუხსნი, როგორ, რა რესურსით, რომელ წყაროზე დაყრდნობით შეასრულონ. მიცემულ დავალებას აუცილებლად ვამოწმებ მომდევნო გაკვეთილზე. როცა მოსწავლე დაინახავს, რომ მასწავლებელი არ აკონტროლებს დავალებას, კარგავს პასუხისმგებლობის გრძნობას და აღარ ასრულებს დავალებას. ამიტომ, უნდა ვაჩვენოთ, რომ მის მიერ შესრულებული დავალება ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია.

დიფერენცირებულ საშინაო დავალებას სხვადასხვა აკადემიური დონის მოსწავლეთათვის ვიყენებ. მაგ.: „ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები“ და „ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების როლი ელინისტური კულტურის განვითარებაში“ ან კიდევ: „თამარ მეფის დახასიათება“ და „მმართველობის სისტემა თამარ მეფის ეპოქაში“. მაგრამ ასეთ დავალებებს მე კი არ ვურჩევ კონკრეტულ მოსწავლეს, არამედ მათ ვაძლევ არჩევანის საშუალებას. ასეთი ნაბიჯით მტკივნეულად აღარ ვეხები მოსწავლეთა თავმოყვარეობას და არჩევანს მათსავე თვითშეფასებაზე ვტოვებ.

ჯგუფურ დავალებას, მეტწილად, მაშინ ვაძლევ მოსწავლეებს, როცა დიდი მოცულობის ინფორმაციაა მოსაძიებელი, ან კიდევ, როცა პროექტზე ვმუშაობთ. ინდივიდუალურ დავალებებს პრაქტიკაში უფრო ნაკლებად ვიყენებ, რადგან შრომა მეტი უნდა მასწავლებლის მხრიდან და ფიზიკურად შეუძლებელია ამ ტიპის დავალების შესრულების სისტემატური კონტროლი. მთელი კლასისათვის საერთო დავალება ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს და შემოწმებაც იოლია.

განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო შემოქმედებითი ტიპის დავალება. ამ დროს, პირველ რიგში, თვით მასწავლებელი უნდა იყოს შემოქმედი, რათა სწორად შეარჩიოს დავალების ფორმა და, შემოქმედებითი ტკბობის ნაცვლად, შემოქმედებითი კრახი არ განაცდევინოს მოსწავლეებს. მეორე რიგში კი – ადეკვატურად შეძლოს დავალების შეფასება. საშინაო დავალებად მოსწავლეებს ვთავაზობ ასეთ თემებს: ისტორიული ანალოგიები, ისტორიულ პირთა პორტრეტები, ინტერვიუ ისტორიულ პირებთან, გააცოცხლე გმირი, ქართული ხელოვნების საგანძური, ისტორიის ერთი დღე, რა მოხდებოდა, რომ... და ა.შ. მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი სკოლის ორმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა და მოსწავლეთა კონფერენციაში, სადაც მეორე ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს.

საშინაო დავალება წარმოადგენს მოსწავლეთა პროგრესის შეფასების მნიშვნელოვან კომპონენტს. თუმცა, არის თუ არა საშინაო დავალება ეფექტიანი, ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი, პასუხი არ არსებობს. განათლების სპეციალისტებს შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. ამ თემაზე ჩატარებული კვლევების შედეგებიც განსხვავებულია – ერთნი თვლიან, რომ საშინაო დავალება მოსწავლეთა შორის უთანასწორობის გამძაფრებას უწყობს ხელს, რადგან დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელ ბავშვებს იმის შესაძლებლობა არ აქვთ, რომ მშობლები დაიხმარონ დავალების შესრულებაში, არ აქვთ იზოლირებული და კომფორტული სამუშაო სივრცე, ტექნოლოგიური საშუალებები (კომპიუტერი/ინტერნეტი), რომელთა გამოყენებასაც, დღეს, ხშირად ითვალისწინებს საშინაო დავალების ფორმატი; ექსპერტთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საშინაო დავალება სწორედ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის, დამოუკიდებელი მუშაობის სწავლის და მოსწავლის მიერ მუშაობის სასურველი ტემპის შესაძლებლობებს გვთავაზობს.

საკუთარმა პედაგოგიურმა პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ მოსწავლეთა სოციალური მდგომარეობა არანაირ გავლენას არ ახდენს საშინაო დავალების შესრულებაზე; თუ მოსწავლეს დავალების შესრულების სურვილი აქვს, იგი მთელი თავისი შესაძლებლობების მობილიზებას ახდენს. მოსწავლის დაინტერესება, მოტივაცია, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, კლასგარეშე მუშაობის უნარი და ცოდნის გამყარება, რეალურ კონტექსტში წარმოდგენა, საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა და ჩართულობა – აი, ის ასპექტები, რომლებზეც საშინაო დავალებამ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს. ჩემი დაკვირვებით, მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალების შეუსრულებლობა გამოწვეულია:

–მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებისათვის საშინაო დავალების მიცემის დროს დავალების ინსტრუქციის არქონით;

– საშინაო დავალების სირთულით;

– საშინაო დავალების შეუმოწმებლობით ან არადროული და არასრულყოფილი შემოწმებით;

– პედაგოგთა და მშობელთა შორის ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობით.

საშინაო დავალების შესრულებითა და პრაქტიკული მუშაობით, მოსწავლეები კარგად ითვისებენ და განიმტკიცებენ ხოლმე გაკვეთილზე მიღებულ უნარ-ჩვევებს, უმჯობესდება მათი კომუნიკაციის კულტურა, უკეთესად სწვდებიან შესასწავლ მასალას, მეტად მოტივირებული და ჩართული არიან სასწავლო პროცესში. მშობლებს კი შესაძლებლობა ეძლევათ, თვალ-ყური ადევნონ შვილის სასკოლო საქმიანობას.

მერი ბეჭანიძე

ზვიად დავითაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაღელეს საჯარო სკოლის ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა

1. საშინაო დავალება და პრაქტიკა – სასწავლო პროცესის ორი მნიშვნელოვანი პროცესი, მაია ფირჩხაძე, 2013;

2. საშინაო დავალების გავლენა სწავლის ეფექტიანობაზე, თეო ნეფარიძე, 2013;

3. საშინაო დავალება დასჯა არ არის (რეკომენდაციები მშობლებსა და მასწავლებლებს), ნანა ლომიძე, 2015;

4. საშინაო დავალება, ოლიკო ბოჭორიშვილი, 2016;

5. საშინაო დავალების რაგვარობა და მიზანმიმართულება სწავლების საბაზო საფეხურზე, მ. ნებიერიძე, გ. თვალაბეიშვილი, ნ. ხმალაძე, სამაგისტრო ნაშრომი, ილიას უნივერსიტეტი, 2015;

6. საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში, ი. კუტალაძე, 2012.

ზმნის დრო. მოგზაურობა დროის მანქანით

როგორ ვასწავლოთ III-IV კლასების მოსწავლეებს ზმნის დრო?

ცხადია, არ კმარა მხოლოდ განმარტება და ე.წ. წესების დამახსოვრება, არამედ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის გამოყენება ტრანსფერის დროს.

მინდა, გაგიზიაროთ საკუთარი გამოცდილება, როგორ ვიმოგზაურე, ჩემს საყვარელ მოსწავლეებთან ერთად, დროის მანქანით სხვადასხვა დროში.

თავდაპირველად ვუამბე მსოფლიოში პირველი ავტომობილის, ძრავიანი თვითმავალი ეტლის შესახებ, რომელსაც ორზე მეტი თვალი აქვს და მისი შექმნის იდეა ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის. ვაჩვენე ვიდეობმული.

https://www.youtube.com/watch?v=cKI-3MZiGVA

აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში, გრამატიკული კანონზომიერებების სწავლებასთან ერთად, ხდება მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარება.

ვიდეობმულის ჩვენების შემდეგ მოსწავლეებს ვკითხე:

– როდის ხდება მოქმედება? ძველად, ანუ წარსულში, ახლა, თუ მომავალში? პასუხების მოსმენის შემდეგ ეკრანზე გამოვაჩინე ფოტო წარწერით:

იყო წარსულში (ძველად)

შემდეგ ვკითხე, რა იცოდნენ უახლესი მანქანების შესახებ. მათ მიერ შემოთავაზებული საინტერესო პასუხების მოსმენის შემდეგ ვაჩვენე 2019 წლის საუკეთესო მანქანის ფოტო წარწერით:

არის ახლა

ბოლოს დავსვი კითხვა: თქენი აზრით, როგორი მანქანები იქნება მომავალში?

პასუხების მოსმენის შემდეგ შევთავაზე 2020 წლის ავტოშოუზე წარსადგენი Hyundai-ს ციფრული გასაღები, სმარტფონის აპლიკაცია, რომელიც ჩაანაცვლებს მანქანის ტრადიციულ გასაღებს და ვაჩვენე ფოტო წარწერით:

იქნება მომავალში

ამის შემდეგ ეკრანზე გაჩნდა ჩანაწერი:

დავიმახსოვროთ!

ზმნა გამოხატავს მოქმედებას დროში.

საპრეზენტაციო პროგრამაში წინასწარ მომზადებული თამაშით განვამტკიცებინე მიღებული ცოდნა (სწორ პასუხზე დაწკაპებით მოსწავლეები პრაქტიკულად სწავლობენ ზმნის დროის გამოცნობას).

– გსურთ, ვიმოგზაუროთ დროში? – ვკითხე თამაშის დასრულების შემდეგ.

მოსწავლეებმა სიხარულით მიიღეს შეთავაზება და სურვილისამებრ აირჩიეს, რომელ დროში სურდათ მოგზაურობა. მივეცი რამდენიმე აუცილებელი რჩევა, რომ მოგზაურობის დროს შესაძლებელია როგორც საინტერესო ადგილების მონახულება, ასევე გამორჩეულ პიროვნებებთან შეხვედრა და მათგან ინტერვიუს აღება.

თავდაპირველად, მოსწავლეებმა შექმნეს საავტორო „დროის მანქანების“ ილუსტრაციები, „ჩასხდნენ“ და ასე დაიწყო დაუვიწყარი მოგზაურობა...

„მე წარსულ დროში ვიმოგზაურე. მეფე დავით აღმაშენებელს შევხვდი. ვკითხე: ძნელი არ იყო, 16 წლის რომ მეფე გახდით? ყველაზე მეტად რომელი ბრძოლა იყო ძნელი?.. რა გავაკეთოთ, რომ საქართველო ისევ ძლიერი იყოს?..“

„მე მომწონს ახლანდელი დრო, იმიტომ, რომ ჩვენს ბებიებს და ბაბუებს კომპიუტერი არ ჰქონდათ, ჩვენ კი გვაქვს... მაგრამ არ მომწონს, რომ ყველაფერი ძვირია. გაჭირვებული ბავშვები მეცოდებიან და ჩემი დროის მანქანით საჭმელი, შოკოლადები და სათამაშოები მივუტანე...“

„მომავალში ადამიანი არაფერს არ სწავლობს, არ მუშაობს, ყველაფერს რობოტები აკეთებენ“...

„წარსულ დროში შემხვდა თამარ მეფე, მომიყვა ამბები: კარგია თუ არა მეფობა და როგორი ადამიანები არიან წარსულში, ძალიან მომეწონა წარსული...“

„ვარ აწმყო დროში. არ გვყავს მეფე, გარეთ კორპუსების მეტი არაფერი არის. ხეები მოჩეხილია. ბენზინის სუნი დგას...“

„წარსულ დროში კაპიტან ამერიკას შევხვდი და ვუთხარი: მოღალატე ნუ იქნები, დაბრუნდი ჩვენს დროში, კიდევ ბევრი კეთილი საქმე უნდა გააკეთო...“

თითოეული ნამუშევარი მართლაც უნიკალური და განუმეორებელია.

სახალისო გრამატიკის გარდა, მოსწავლეებმა უამრავი რამ შეიმეცნეს, გაიფართოვეს წარმოსახვის თვალსაწიერი, დაასაბუთეს, დააკავშირეს ფაქტები და მოვლენები ერთმანეთთან. მთლიანობაში, აღნიშნულმა აქტივობამ ხელი შეუწყო 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას.

სცადეთ თქვენც!

ლელა მანგოშვილი

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა „ბინულის“ ქართული ენის (I-VI) მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. გ ზამკვლევი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I-VI კლასები). ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი http://ncp.ge/files/subjects/;

2. http://www.leonardodavincisinventions.com/mechanical-inventions/-leonardo-da-vincis-car/;

3. https://www.gulf.ge/ge/blog/.

როგორ ვასწავლოთ თემა „საკოორდინატო სიბრტყე“

სასწავლო პროცესი მოსწავლეთათვის ხშირად „მოსაწყენი“ და „ერთფეროვანია“. მესმის კიდეც მათი, ისწავლო „ის, რაც წიგნშია, მათთვის ძალიან რთულია, მოსაწყენია...“. ვეთანხმები, რომ მათემატიკის სწავლა შინაგანი მოტივაციის გარეშე შეუძლებელია, ის მაქსიმალურ ყურადღებას და მობილიზებას მოითხოვს. ამის მიღწევას კი აადვილებს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც სასწავლო პროცესს მეტად საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის. ხშირად ვფიქრობ, რისი გაკეთება შემიძლია იმ მწირი რესურსით, რაც მაქვს? ყოველთვის ვცდილობ, შეძლებისდაგვარად, რაიმე ახალი ვაჩვენო მათ, ახალი მეთოდი შევთავაზო, რათა „ჩავთრიო“ მათემატიკის უზარმაზარ სამყაროში...

საკითხის „საკოორდინატო ბადე“, „საკოორდინატო სიბრტყე“ სწავლება ჩემთვის სირთულე იყო იმ მხრივ, რომ ახალი დაფები დახაზული არ არის (თუ სპეციალურად არ დაახაზვინე). მხოლოდ სახელმძღვანელოს მრავალფეროვანი და მწირი (მრავალფეროვანი კი არის, თუმცა ყველა სავარჯიშო განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს, განსხვავებულ ცოდნაზეა მორგებული) სავარჯიშოთა სისტემით მიზნის მიღწევა ძალიან რთულია.

გარკვეული ფიქრისა და ძიების შემდეგ ბევრ საინტერესო მასალას მოვუყარე თავი. დავაკონკრეტებ თითოეულ მათგანს:

1. მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) „ლამაზი“ სურათი, რომელზეც დავასახელებინებთ ამა თუ იმ ობიექტის კოორდინატებს.





2. მოსწავლეებს ურიგდებათ წინასწარ მომზადებული მასალა 1-ის მსგავსი რესურსი, რომელზეც მითითებულია, რომელი უჯრა რა ფერით გააფერადონ. დავალების სწორად შესრულების შედეგად კი, მიიღებენ რაიმე ნახატს, მაგალითად, ამ შემთხვევაში – მასალა 2-ს (კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გაითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ისეთ კოორდინატებსა და ფერებს შესთავაზებს, რომ მოსწავლეებმა მათთვის საინტერესო ნახატი მიიღონ).





(მსგავსი მზა მასალების მოძიება შესაძლებელია ლინკზე https://www.pinterest.com/pin/510947520200919366/)

3. საკოორდინატო სიბრტყის შესწავლისას (როგორც მეხუთე, ისე მეშვიდე კლასში), მოსწავლეთა დიდ დაინტერესებას იწვევს თამაში „ჩაძირობანა“. თამაშობს ორი მოსწავლე, ისინი წინასწარ თანხმდებიან, რამდენუჯრიან ბადეზე განალაგონ, წინასწარ შეთანხმებული რაოდენობის, გემები (ორივეს თანაბარი რაოდენობა, მაგალითად, 2 ერთუჯრიანი გემი, 1 ორუჯრიანი გემი, 1 სამუჯრიანი გემი). მოსწავლეები, წინასწარ შეთანხმებული წესით, ასახელებენ სავარაუდო კოორდინატებს და მოწინააღმდეგის გემებს „ესვრიან ჭურვებს“. გამარჯვებულია ის, ვისი გემიც ჩაძირვას გადაურჩება.

4. მოცემული ნახატები განათავსონ მითითებულ უჯრაში:





5. მოსწავლეები იღებენ დავალების ინსტრუქციას: აიღეთ მითითებული წერტილები და, მოცემული თანმიმდევრობით, შეაერთეთ მონაკვეთებით (მოსწავლეებისთვის დარიგებული ინსტრუქციის პარალელურად, დაფაზე გასაკრავად, რამდენიმე თაბახის ფურცელი მივაწებე ერთმანეთს და დავხაზე საკოორდინატო ბადე. გამოძახებული მოსწავლეები მასზე მარკერით დაიტანდნენ მოცემულ წერტილებს, რათა ნამუშევრის გადამოწმების საშუალება ჰქონოდათ).

მასალა:

1) (-5; -3), (-4;-5), (-3; -7), (-2; -4), (-1; 0) ხაზის დასასრული
2) (-7; 1), (-8; 4), (-9; 7), (-8; 10), (-7; 10), (-5; 9), (-3;7), (-2; 6), (0; 7), (2; 6), (3; 7), (5; 9), (7; 10), (9; 7), (8; 4), (7; 1), (3; 4), (0; 1), (-3;4), (-7; 1) ხაზის დასასრული
3) (-5; 0), (-4; 0), (-2; -1), (-4; -1), (-5; 0) ხაზის დასასრული
4) (5; -3), (4; -5), (3; -7) ხაზის დასასრული
5) (7; 1), (8; -3), (9; -7), (8; -7), (7; -6), (4; -9), (1; -10), (-1; -10), (-4; -9), (-7; -6), (-8; -7), (-9; -6), (-8; -2), (-7; 1) ხაზის დასასრული
6) (5; 0), (4; -1), (2; -1), (4;0), (5; 0) ხაზის დასასრული
7) (1; 0), (2; -4), (3; -6), (1; -8) ხაზის დასასრული
8) (-4; -1), (-4; 0), (-3; -1) ხაზის დასასრული (შიდა არე გააფერადე)
9) (-3; -7), (-1; -8), (1; -8), (2; -6), (1; -5), (-1; -5), (-2; -6), (-1; -8) ხაზის დასასრული (შიდა არე გააფერადე)
10) (4; 6), (7; 9), (7; 5), (6; 4), (4; 5), (4; 6) ხაზის დასასრული (შიდა არე გააფერადე)
11) (4; -1), (4; 0), (3; -1) ხაზის დასასრული (შიდა არე გააფერადე)
12) (-7; 4), (-7; 9), (-4; 6), (-4; 5), (-6; 3), (-7; 4) ხაზის დასასრული (შიდა არე გააფერადე)

ამ მითითებების შესრულების შემდეგ მიიღებენ ნახატს:



მსგავსი მზა აქტივობების მოძიება შესაძლებელია შემდეგ ლინკზე: https://www.pinterest.com/pin/776096948265532881/

6. ამოვბეჭდოთ რაიმე სურათი, დავჭრათ ტოლ ნაწილებად, თითოეულ ნაწილს კუთხეებში კოორდინატები დავაწეროთ ისე, რომ თუ კოორდინატების მიხედვით დავალაგებთ, მივიღებთთ საწყის ნახატს (გამოსახულებას). რესურსი ძალიან მარტივი დასამზადებელია, არ მოითხოვს ფინანსებს და მოსწავლეთა მხრიდანაც დიდ დაინტერესებას იწვევს, სულმოუთქმელად ელოდებიან „რა აეწყობა“ (ერთ კლასში პიზის დახრილი კოშკი შევიტანე და მალევე, აწყობის დასრულების გარეშეც, ამოიცნეს. ამიტომ ისეთი ნახატი უნდა შეირჩეს, რომ, სრული აწყობის გარეშე, ერთიანი სურათი არ შეიქმნას).

7. შესაძლებელია, მოსწავლეებს შესთავაზოთ რაიმე სახის შიფრის გასაღები, მაგალითად, შემდეგი ცხრილის სახით და ვთხოვოთ მათ, მისწერონ ერთმანეთს, წყვილებში, რაიმე სიტყვა/წინადადება. მაგალითად, „დილა“-ს შესაბამის დაშიფრულ ტექსტს ასეთი სახე ექნება: (1;3), (2;3), (2;5), (1;6), ანუ ასო-ბგერების შესაბამისი კოორდინატები.

6	ა	მ	ნ	ყ	შ	
5	ბ	ლ	ო	ღ	ჩ	
4	გ	კ	პ	ქ	ც	
3	დ	ი	ჟ	ფ	ძ	ჰ
2	ე	თ	რ	უ	წ	ხ
1	ვ	ზ	ს	ტ	ჭ	ჯ
	1	2	3	4	5	6

8. საინტერესო აქტივობას გვთავაზობს გამომცემლობა „ელფის“ მეხუთე კლასის სახელმძღვანელო „მე მიყვარს მათემატიკა“(გვ.100-101), ნახატზე/ნახაზზე დატანილია მოსწავლის მიერ შესასრულებელი აქტივობები:



9. ასევე ძალიან საინტერესო და მოსწავლეთათვის საყვარელი აქტივობაა „მუშაობა კომპიუტერთან“. თუ სასკოლო რესურსი ამის საშუალებას იძლევა, გამოვიყენოთ რამდენიმე აქტივობა ინტერნეტით დატვირთულ კომპიუტერთან (შეგვიძლია თვითონაც შევქმნათ, თუმცა მზა მასალაც ბევრი მოიძებნება). კარგი მასალაა საკოორდინატო სიბრტყეებზე (ოღონდ რუსულენოვანია) learningapps.org-ზე, https://learningapps.org/index.php?category=2&subcategory=873&s= – მოცემულ ლინკზე გაეცნობით ძალიან ბევრ ტესტ-თამაშს (ამავე საიტზე, საძიებო ველებით, შეგიძლიათ ქართულენოვანი მასალებიც მოიძიოთ); ასევე საკმაოდ კარგი მასალაა ქართულენოვან საიტზე https://ka.khanacademy.org/math/basic-geo/basic-geo-coord-plane, რომელიც შებრუნებული საკლასო ოთახის მსგავსადაც შეიძლება გამოვიყენოთ, წინასწარ მივაწოდებთ მოსწავლეებს ვიდეოს ლინკს და შემდეგ განვიხილავთ საკლასო გარემოში, ამავე ლინკზე საკითხის შემაჯამებელ ტესტებსაც ნახავთ.

10. საინტერესო სამუშაოა პროგრამა Geogebra-ც, მოსწავლეს, ეტაპობრივად, აწოდებ დავალებებს. მაგალითად: 1) აიღე წერტილი A(-3;8), შემდეგ B(9;8), დაასახელე მათ შორის მანძილი. 2) რა ფიგურა აიგება მოცემული წერტილების თანმიმდევრულად შეერთებით? (დასახელებული იქნება რაღაც კონკრეტული წერტილები).

11. საკითხი სხვა სასწავლო საგნებთან ინტეგრაციის საშუალებასაც იძლევა, მაგალითად: ჭადრაკი – მოსწავლეებს დაფაზე ვაჩვენებთ წერტილის კოორდინატის როლს; გეოგრაფია – გლობუსის, რუკის გმოყენებით, მოსწავლეს დავასახელებინებთ ამა თუ იმ წერტილის კოორდინატებს, და პირიქით, კოორდინატების მიხედვით მოძებნოს ტერიტორია გლობუსზე/რუკაზე.



მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს დაანახოს კავშირი მათემატიკის სხვა მიმართულებებთან – გეომეტრიასთან, მონაცემთა ანალიზთან, სტატისტიკასთან და შეეცადოს „წააკითხოს“ სხვადასხვა სახის წერტილოვანი დიაგრამა (ლარის კურსის ცვლილება წლების მიხედვით, ამა თუ იმ პროდუქტის ფასის მერყეობა და სხვა რამ ყოველდღიური ცხოვრებიდან).

ამრიგად, მოცემულ სტატიაში შევეცადე წარმომეჩინა იმ მრავალფეროვანი აქტივობების ჩამონათვალი (თუმცა, რა თქმა უნდა, არასრული), რომლებიც სახალისოს და საინტერესოს გახდის სწავლა-სწავლების პროცესს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამივე საფეხურზე ვასწავლი და დაკვირვებამ მიჩვენა, რომ რაც უფრო „ლამაზია“ აქტივობა, თავისი შინაარსითა და შესაბამისი რესურსით, მით უფრო აქტიური და შედეგიანია სასწავლო პროცესი, ჩართულია მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა, რაც დასახული ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას განაპირობებს.

ნინო გორგილაძე
სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. https://ka.khanacademy.org;
2. https://learningapps.org/;
3. https://www.pinterest.com;
4. „მე მიყვარს მათემატიკა“, მე-5 კლასი, გამომცემლობა „ელფი“.

რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს მასწავლებელი

„ყველა ორგანიზაციის ფუნდამენტური პრობლემა დინამიური და ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნებაა.“

დღეს ბევრი ისმის სკოლების ეფექტიანობა-ეფექტურობაზე. ზოგადად, ორგანიზაციის ეფექტურობა თვალსაჩინოა, როცა ქცევა რეგულირდება არაფორმალური სისტემებით და მხოლოდ ბიუროკრატიული მექანიზმების დოგმებზე არ არის დამოკიდებული.

არაფორმალური ურთიერთობები ორგანიზაციის კულტურას აყალიბებს. სკოლის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია, როცა ადამიანთა გარკვეულ ნაწილს ერთად უწევს სხვადასხვა ამოცანების შესრულება. ინტერაქციის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, საერთო მიზნებია, მასწავლებლები წარმოადგენენ თავიანთ საჭიროებებს. თავიანთი ფასეულობებით და პროფესიონალიზმით, ისინი ეფექტურები მაშინ არიან, როდესაც არაოფიციალურ სტრუქტურებს ქმნიან და პროფესიული მიზნებით არიან დაკავშირებულნი.

მასწავლებლებისთვის შესაძლებლობის მიცემა, თავისუფლად ითანამშრომლონ კოლეგებთან, ხელს უწყობს მათ, იყვენენ შემოქმედებითები და განავითარონ ინოვაციები.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, სკოლების სტრუქტურის ცვლამ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვამ სწავლა-სწავლების პროცესში, გარკვეულწილად, მასწავლებლები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა:

- ეფექტური და ეფექტიანი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო გზების მოძიება;
- საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.

არაფორმალური ურთიერთობების განვითარება-სხვადასხვა ჯგუფების ჩამოყალიებება ხელს უწყობს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას და ზრდის პედაგოგის პროფესიული განვითარების ტემპს. სკოლა იღებს მაღალკვალიფიციურ მასწავლებელს, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია მოსწავლის აკადემიურ შედეგებთან.

სამი ფაქტორი, რომელიც თანამშრომლობას ეფექტურს ხდის:

1. მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, როცა სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს ერთნაირი მიდგომები და მოლოდინები აქვთ მათ მიმართ;
2. ხანგრძლივი თანამშრომლობა და კომუნიკაცია ზრდის მასწავლებლის საგნობრივ და მეთოდურ კომპეტენციას;
3. თანამშრომლობა და კომუნიკაცია ხელს უწყობს სკოლის გუნდური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.

კოლეგებთან თანამშრომლობის საუკეთესო საშუალებაა სამუშაო შეხვედრები, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა სკოლის კულტურის განსავითარებლად. საჭიროებების გამოკვეთა და საერთო მიზნის გარშემო კონცენტრირება ამაღლებს მოტივაციას, იზრდება პასუხისმგებლობა და სიახლეების ძიების, ათვისების და პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა. ამაში საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა. საჭიროებებიდან გამომდინარე, კოლეგებთან ერთად შემუშავებული გეგმით, ჩავატარე სამუშაო შეხვედრები, რომელიც მიზნად ისახავდა მასწავლებლების მხრიდან შემოთავაზებული საკითხების დეტალურ განხილვას და ახალი სტრატეგიების შემუშავებას. გთავაზობთ შეხვედრების გეგმას, რომელიც ჩვენს სკოლაში განხორციელდა.

შეხვედრის თარიღი	შეხვედრის თემატიკა	შეხვედრის მიზანი	შენიშვნა
30.05.2019წ.	1. საორგანიზაციო საკითხები; 2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა; 3. სასწავლო გეგმების ტიპები.	მონაწილეებმა: • გამოკვეთონ ჯგუფის სამოქმედო გეგმის საკითხები; • გაიაზრონ სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელობა; • განიხილონ სასწავლო გეგმების ტიპები.	ჩატარდა
3.05.2019წ.	1. თემატური დაგეგმვა; 2. კვირეული დაგეგმვა; 3. გაკვეთილის გეგმის ძირითადი კომპონენტები.	• შეძლონ კოორდინირება გეგმის ტიპებს შორის; • გაკვეთილის ფაზებისა და გაკვეთილის გეგმის კომპონენტების გააზრება; • მეთოდისა და აქტივობის არსის გაცნობიერება.	ჩატარდა
4.06.2019წ.	1. საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვნება; 2. ტექსტურ რედაქტორში Word smart art გამოყენების პრინციპების გაცნობა და რესურსების შექმნა; 3. გაკვეთილის დაგეგმვა.	• შეძლონ საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვნების და სპეციფიკის გაცნობიერება (10წთ). • შეძლონ რესურსების ნიმუშის შექმნა (30წთ). • გაკვეთილის ერთობლივად დაგეგმვა და გეგმის ნიმუშების პრეზენტაცია (20წთ).	ჩატარდა

შეხვედრებზე განხილული თემები პედაგოგებმა საკუთარ პრაქტიკაში განავრცეს, დახვეწეს გაკვეთილის გეგმები და გაამრავალფეროვნეს თავიანთი შექმნილი ელექტრონული რესურსებით. მსგავს აქტივობებს მომავალშიც ვგეგმავთ, რადგან თითოეულმა მონაწილემ ეს პროცესი პოზიტიურად შეაფასა. მე კი, როგორც ამ შეხვედრების ორგანიზატორი, დიდ მადლობას ვუხდი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს, ამ შესაძლებლობისთვის.

სამუშაო შეხვედრები ეხებოდა მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო თემებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვა; სასწავლო გეგმის ტიპები და კომპონენტები; საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვნება; smart art-ის პრინციპების გაცნობა და რესურსების შექმნა; გაკვეთილის დაგეგმვა მრავალფეროვანი აქტივობებით.

შერჩეული თემები მეტად აქტუალური იყო, გავიაზრე სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელობა და სასწავლო გეგმის ტიპები, კოორდინირება გეგმის ტიპებს შორის; მნიშვნელოვანი სიახლე იყო ჩემთვის ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების შექმნა და, მათი დახმარებით, გამრავალფეროვნებული გაკვეთილის დაგეგმვა, რასაც აქტიურად გამოვიყენებ პედაგოგიურ პრაქტიკაში. მადლობას ვუხდი ჩემს კოლეგებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის – **მზია კობაიძე**, სსიპ №174 საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი.

სამუშაო შეხვედრები მეტად საინტერესო იყო, ეხებოდა ჩვენთვის საჭირო საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ გაკვეთილის მიზნის დაკონკრეტებას. ჩემთვის ახალი იყო სმარტარტის გამოყენებით რესურსის შექმნა. შეძენილ ცოდნას აქტიურად გამოვიყენებ პედაგოგიურ პრაქტიკაში – **მანანა ივანიძე**, სსიპ №174 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი.

ნატალია ჭყონია
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი, სსიპ №174 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. (Folet, 1924), (Scott, 1992);
2. (Newmann & Weladge, 1995).

პრაქტიკოს პედაგოგებს, გამოცდაზე წარუმატებლობის შემთხვევაში, უფასო ტრენინგებს შესთავაზებენ

✔პრაქტიკოს მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ შესაბამისი გადამზადების პროგრამა გაიარონ როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომაზე ხელმეორედ გამოცდაზე გასვლის შემთხვევაში. გადამზადების პროგრამაში პრაქტიკოსი პედაგოგებისთვის შეთავაზებული ტრენინგები იგულისხმება.

✔იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებიც პირველ ჯერზე წარმატებით ვერ ჩააბარებენ გამოცდას, საშემოდგომო გამოცდებამდე სახელმწიფო 80-90 საათიან ტრენინგებს შესთავაზებს.

„მას შემდეგ, რაც გამოცხადდება საგნობრივი და პროფესიული უნარების გამოცდაზე რეგისტრაცია, პრაქტიკოს მასწავლებლებს საშუალება ექნებათ, დარეგისტრირდნენ შესაბამის ტრენინგებზე, ხოლო თუ მასწავლებელს დასჭირდება განმეორებით გამოცდაზე გასვლა, მას სახელმწიფო შესთავაზებს გრძელვადიან 80-90 საათიან ტრენინგებს. აღნიშნულ მოსამზადებელ ტრენინგებში მასწავლებლები კრედიტქულებს ვერ მიიღებენ“, – აცხადებენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში.

✔პრაქტიკოსი პედაგოგებისთვის განკუთვნილი ტრენინგები არ იქნება ერთი ცენტრის მიერ ჩატარებული. სამინისტროს ინფორმაციით, მუშავდება პაკეტი – პროფესიული განვითარების აკრედიტაციის კურსები, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებს მიეცემათ საშუალება, გაიარონ ხარისხის კონტროლი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში და შესთავაზონ მასწავლებლებს ტრენინგები.

პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებიც 2019 წლის ბოლომდე სტატუსს ვერ აიმაღლებენ, დროებით ხელშეკრულებას გაუფორმებენ

✔პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებიც 2019 წლის ზაფხულში დაადასტურებენ მინიმალურ კომპეტენციას და აიმაღლებენ სტატუსს, მიიღებენ გაზრდილ ანაზღაურებას, ახალი სასწავლო წლის დადგომისას, 2019 წლის სექტემბრიდან.

✔იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად მოთხოვნები ნაწილობრივ აქვთ შესრულებული, შესაძლებლობა მიეცემათ, აიმაღლონ სტატუსი დამატებითი კრედიტქულების მოპოვებით, 2019 წლის ბოლომდე.

✔სურვილის შემთხვევაში, მათ, განმეორებით, მინიმალური კომპეტენციის დადასტურებისა და სტატუსის ამაღლების შესაძლებლობა ექნებათ 2019 წლის შემოდგომაზე.

✔ყველა ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2019 წლის ბოლომდე, ვერც ერთი შესაძლებლობის ფარგლებში, ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას და ვერ აიმაღლებს სტატუსს, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, შეძლებს პროფესიული საქმიანობა გააგრძელოს – დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე ხელფასის შენარჩუნებით.

✔დროებითი კონტრაქტის ვადის განსაზღვრა შეუძლებელია ცენტრალიზებულად და მიმდინარე სასწავლო წელზე მეტი ხნით ვერ დაიდება.

„იმისათვის, რომ განათლების ხარისხი ამაღლდეს, სკოლაში კომპეტენციადადასტურებული მასწავლებელი უნდა მუშაობდეს. მათ ამის საშუალება ზაფხულში და შემოდგომაზე მიეცემათ. შემოდგომამდე კი სახელმწიფო მათი გადამზადების პროცესს უზრუნველყოფს. რაც შეეხება კონტრაქტის ვადას, მიმდინარე სასწავლო წელზე ზევით ვეღარ დაიდება. ჩვენი მთავარი მიზანია, სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, მოსწავლეებს არ შეექმნათ რაიმე ტიპის შეფერხება და მიიღონ სრულფასოვანი განათლება“, – აცხადებს **მანანა რატიანი**.

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე გარამია

19 ლარი

19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ს! უნიკალური შესაძლებლობა მარტივად მოემზადოთ გამოცდისთვის! კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

სასწავლო პროექტები

11 ლარი

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

~~10 ლარი~~
7 ლარი

~~9 ლარი~~
6 ლარი

ფასდაკლება

7 ლარი
ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი
ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



4 ლარი
თამაზ ვასაძე
ქართული ენიერი ენიერი ენიერი
ენიერ ენიერ ენიერ
ენიერ ენიერ ენიერ



12 ლარი
თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი – 3 ლარი 80 თეთრი